• Օսլոյի լիազորությունները ազգային փոքրամասնությունների լեզվական իրավունքներին և Պարզաբանական գրությունը

• Լունդյան լիազորությունները ազգային փոքրամասնությունների հանրային -քաղաքական կյանքում ակտիվ մասնակցության մասին՝ Պարզաբանական ցուցմունքներով

Վրացական օրենսդրության մեջ կան առանձին աշխատություններ մարդու իրավունքների պաշտպանության մասին: Օրենսդրության մեջ հակա-խտրական դրությունը մի առանձնահատուկ պայման է պետության մեջ մարդու իրավունքների պաշտպանության համար:

Սահմանադրության համաձայն բոլոր մարդիկ իձնե ազատ և հավասար են օրենքի առաջ՝ անկախ ռասայից, մաշկի գույնից, լեզվից, սեռից, կրոնից, քաղաքական և այլ հայացքներից, ազգային, էթնիկական և սոցիալական պատկանելությամբ, ծագումով նյութական և լեզվական դրությամբ, ապրելավայրով (հոդված 14): Երկրի բոլոր քաղաքացիների օրինական հավասարությունը անկախ ազգային կամ ռասային ծագումից, ապահովում է քաղաքացիության մասին Վրաստանի օրենքը (հոդված 4): Հակա-խտրական դրությունը բովանդակում են Վրաստանի քրեական օրենսգրքի 142, 142-1 հոդվածներում, Քրեա-գործընթացային օրենսգրքի 9 հոդվածում:

Սահմանադրությունը թույլատրում է կրոնական հավատքի և այլ ուղղությունների լրիվ ազատություն և այլն (հոդված 9):

Գոյություն ունեն սան դրություններ՝ ուղղված փոքրամասնությունների ներկայացուցիչներին: Երկրի սահմանադրության 38 հոդվածում մշակույթի և լրատվական միջոցների օրենքներն են:

Վրաստանում գոյություն ունի լեզվական քաղաքականության համար առանձին օրենսդրական տեսություն: Որոշ սահմանադրական դրույթներ (հոդված 8 (պետական լեզվի մասին), հոդված 85՝ 2 բաժին (դատական օրենսդրության լեզվի մասին)) գործում է միջնակարգ կրթության մասին Օրենքը (հոդված 4), Պետական ծառայության մասին Օրենքը (հոդված 12), Զաղաքացիության մասին Օրենքը (հոդվածներ 26, 28), Գովազդի մասին Օրենքը (հոդված 4 բաժին 2), Աշխարհագրական տեղանունների մասին Օրենքը (հոդվածներ 7, 24), Վրաստանի խորհրդարանի աշխատակարգը (հոդված 1 բաժին 8) Քրեա- գործընթացային (հոդված 17) և Զաղաքացիական-գործընթացային (հոդված 9) օրենսգրքերը:

2005թ. հոկտեմբերի 13-ին վավերացվեց ազգային փոքրամասնությունների իրավունքների պաշտպանության մասին Եվրոպական շրջանակային կոնվենցիան: Խորհրդարանի որոշումով ընդունվեց ազգային փոքրամասնություններին պատկանող անհատների պշտպանության և ինտեգրացման բնագավառում քաղաքական կոնցեպցիան:

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია

1948 წლის 10 დეკემბერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ დაამტკიცა და გამოაცხადა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, რომლის სრული ტექსტიც აქა არის მოცემული. მიიღო რა ეს ისტორიული მნიშვნელობის გადაწყვეტილება, ასამბლეამ მოწოდებით მიმართა ორგანიზაციის წევრ ყველა სახელმწიფოს, გამოაქვეყნონ დეკლარაციის ტექსტი და ყველაფერი იღონონ “მისი გავრცელების, საჯაროობისა და განმარტებისათვის, უმთავრესად სკოლებში და სხვა სასწავლო დაწესებულებებში, ქვეყნების ან ტერიტორიების პოლიტიკური სტატუსის განურჩევლად”.

პრეამბულა

ვინაიდან ადამიანთა ოჯახის ყველა წევრისათვის დამახასიათებელია ღირსებისა და თანასწორი და განუყოფელი უფლებების აღიარება წარმოადგენს თავისუფლების, სამართლიანობისა და საყოველთაო მშვიდობის საფუძველს; და

ვინაიდან ადამიანის უფლებათა უგულებელყოფამ და აბუჩად აგდებაში გამოიწვია ბარბაროსული აქტები, რაც აღაშფოთებს კაცობრიობის სინდისს და რომ ისეთი მსოფლიო შექმნა, რომელშიც ადამიანებს ექნებათ სიტყვისა და რწმენის თავისუფლება და რომელშიც ისინი იცხოვრებენ შიშისა და გაჭირვების გარეშე, გამოცხადებულია, როგორც ადამიანთა მალალი მისწრაფება; და

ვინაიდან აუცილებელია უფლებებს იცავდეს კანონის ძალა იმის უზრუნველსაყოფად, რათა ადამიანი იძულებული არ გახდეს მიმართოს აჯანყებას, როგორც უკანასკნელ საშუალებას ტირანიისა და ჩაგვრის წინააღმდეგ; და

ვინაიდან აუცილებელია ხელის შეწყობა ხალხთა შორის მეგობრულ ურთიერთობათა განვითარებისათვის; და

ვინაიდან გაერთიანებული ერების ხალხებმა წესდებაში დაადასტურეს თავიანთი რწმენა ადამიანის ძირითადი უფლებებისადმი, ადამიანის პიროვნების ღირსებისა და ღირებულების და კაცებისა და ქალების თანასწორუფლებიანობისადმი, გადაწყვიტეს ხელი შეუწყონ სოციალურ პროგრესსა და ცხოვრების უკეთეს დონეს მეტი თავისუფლების პირობებში; და

ვინაიდან წევრმა სახელმწიფოებმა იკისრეს ვალდებულება გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან თანამშრომლობაში ხელი შეუწყონ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა საყოველთაო პატივისცემასა და დაცვას; და

ვინაიდან ასეთ უფლებათა და თავისუფლებათა საყოველთაო გაგებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ამ ვალდებულებების მთლიანად შესრულებისათვის

გენერალური ასამბლეა აცხადებს:

ადამიანის უფლებათა ამ საყოველთაო დეკლარაციას ისეთ ამოცანად, რომლის შესრულებას უნდა ელტვოდეს ყოველი ხალხი და სახელმწიფო რათა ყოველი ადამიანი და საზოგადოების ყოველი ორგანო, ნიადაგ გაითვალისწინებს რა ამ დეკლარაციას, მისიწრაფვოდეს სწავლა-განათლების მეშვეობით ხელი შეუწყოს ამ უფლებათა და თავისუფლებათა პატივისცემას და მათი საყოველთაო და ეფექტიანი აღიარება-განხორციელების უზრუნველყოფას ნაციონალური თუ საერთაშორისო პროგრესული ღონისძიებებით როგორც ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოთა ხალხებში, ასევე ამ სახელმწიფოების იურისდიქციისადმი დაქვემდებარებულ ტერიტორიათა ხალხებში.

მუხლი 1

ყველა ადამიანი იბადება თავისუფალი და თანასწორი თავისი ღირსებითა და უფლებებით. მათ მინიჭებული აქვთ გონება და სინდისი და ერთმანეთის მიმართ უნდა იქცეოდნენ ძმობის სულისკვეთებით.

მუხლი 2

1. ამ დეკლარაციით გამოცხადებული ყველა უფლება და ყველა თავისუფლება მინიჭებული უნდა ჰქონდეს ყოველ ადამიანს განურჩევლად რაიმე განსხვავების, სახელდობრ, რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა რწმენის, ეროვნული თუ სოციალური წარმომავლობის, ქონებრივი, წოდებრივი თუ სხვა მდგომარეობისა.

2. გარდა ამისა, დაუშვებელია რაიმე განსხვავება იმ ქვეყნის თუ ტერიტორიის პოლიტიკური, სამართლებრივი ან საერთაშორისო სტატუსის საფუძველზე, რომელსაც ადამიანი ეკუთვნის, მიუხედავად იმისა, თუ როგორია ეს ტერიტორია – დამოუკიდებელი, სამეურვეო, არათვითმმართველი თუ სხვაგვარად შეზღუდული თავის სუვერენიტეტში.

მუხლი 3

ყოველ ადამიანს აქვს სიცოცხლის, თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება.

მუხლი 4

არავინ არ არ უნდა იმყოფებოდეს მონობაში ან ძალმომრეობითი მორჩილების მდგომარეობაში. ყველა სახის მონობა და მონათვაჭრობა აკრძალურია.

მუხლი 5

არავის მიმართ არ უნდა იქნეს გამოყენებული წამება ან სასტიკი, არაადამიანური თუ მისი ღირსების დამამცირებელი მოპყრობა და სასჯელი.

მუხლი 6

ყოველ ადამიანს სადაც უნდა იმყოფებოდეს იგი, იმის უფლება აქვს, რომ აღიარებული იქნეს მისი სამართალსუბიექტობა.

მუხლი 7

ყველა ადამიანი თანასწორია კანონის წინაშე და განურჩევლად რაიმე განსხვავებისა, ყველას აქვს უფლება თანაბრად იყოს დაცული კანონის

საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტები

მიერ. ყველა ადამიანს აქვს უფლება თანაბრად იყოს დაცული ამ დეკლარაციის დამრღვევი ყოველგვარი დისკრიმინაციისაგან და ასეთი დისკრიმინაციის ყოველგვარი ნაქეზებისაგან.

მუხლი 8

ყოველ ადამიანს აქვს უფლება ეფექტიანად იქნას აღდგენილი უფლებებში კომპეტენტური ნაციონალური სასამართლოების მიერ იმ შემთხვევაში, როცა დარღვეულია მისთვის კონსტიტუციით თუ კანონით მინიჭებული ძირითადი უფლებები.

მუხლი 9

არავის დაპატიმრება, დაჭერა ან გაძევება არ შეიძლება თვითნებურად.

მუხლი 10

ყოველ ადამიანს მის უფლებამოვალეობათა განსაზღვრისათვის და მისთვის წაყენებული სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძველზე, აქვს იმის უფლება რომ, მისი საქმე საქვეყნოდ და სამართლიანობის ყველა მოთხოვნის დაცვით გაარჩიოს დამოუკიდებელმა და მიუკერძოებელმა სასამართლომ.

მუხლი 11

1. ყოველ ადამიანს, რომელსაც ბრალად ედება დანაშაულის ჩადენა, უფლება აქვს ითვლებოდეს უდანაშაულოდ მანამ, სანამ მისი დამნაშავეობა დადგენილი არ იქნება კანონიერი წესისამებრ საჯარო სასამართლო განხილვით, რომლის დროსაც მისთვის უზრუნველყოფილია დაცვის ყველა შესაძლებლობა.

2. არავის არ შეიძლება მსჯავრი დაედოს დანაშაულისათვის რაიმე ისეთი მოქმედების ჩადენის საფუძველზე, ანდა ისეთი უმოქმედობისათვის, რომლებიც ჩადენის დროს არ შეადგენდა დანაშაულს ნაციონალური კანონის ან საერთაშორისო სამართლის მიხედვით. არ შეიძლება აგრეთვე უფრო მძიმე სასჯელის დადება, ვიდრე ის, რომელიც შეიძლებოდა გამოყენებული ყოფილიყო იმ დროს, როცა ჩადენილ იქნა დანაშაული.

მუხლი 12

არავის მიმართ არ შეიძლება თვითნებური ჩარევა მის პირადსა და ოჯახურ ცხოვრებაში, თვითნებური ხელყოფა მისი საცხოვრებელი ბინის ხელშეუხებლობის, მისი კორესპონდენციის საიდუმლოების, ანდა მისი პატივისა და რეპუტაციისა. ყოველ ადამიანს აქვს უფლება დაცული იყოს კანონის მიერ ასეთი ჩარევისა და ხელყოფისაგან.

მუხლი 13

1. ყოველ ადამიანს აქვს უფლება დაუბრკოლებლად იცვლიდეს ადგილსამყოფელს და ირჩევდეს თავის საცხოვრებელ ადგილს ყოველი სახელმწიფოს ფარგლებში.

2. ყოველ ადამიანს აქვს უფლება დატოვოს ყოველი ქვეყანა, მათ შორის თავისი, და დაბრუნდეს თავის ქვეყანაში.

მუხლი 14

1. ყოველ ადამიანს აქვს უფლება ეძიოს დენისგან თავშესაფარი სხვა

ქვეყანაში და ისარგებლოს ამ თავშესაფრით.

2. ეს უფლება არ შეიძლება გამოყენებული იქნეს ისეთი დევნის შემთხვევაში, რომლის საფუძველს წამდვილად წარმოადგენს ჩადენა არაპოლიტიკური დანაშაულისა, ანდა ქმედებისა, რომელიც ეწინააღმდეგება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებსა და პრინციპებს.

მუხლი 15

1. ყოველ ადამიანს აქვს მოქალაქეობის უფლება.

2. არავის არ შეიძლება თვითნებურად ჩამოერთვას მოქალაქეობა ან უფლება თავისი მოქალაქეობის შეცვლისა.

მუხლი 16

1. სრულასაკონებას მიღწეულ კაცებსა და ქალებს უფლება აქვთ რასის, ეროვნების ან რელიგიის ნიშნით რაიმე შეზღუდვის გარეშე, დაქორწინდნენ და ოჯახი დააფუძნონ.

ისინი სარგებლობენ ერთნაირი უფლებებით დაქორწინებისას, ქორწინებაში ყოფნის დროს და განქორწინებისას.

2. დაქორწინება შესაძლებელია მხოლოდ ორივე მექორწინე მხარის თავისუფალი და სრული თანხმობისას.

3. ოჯახი არის საზოგადოების ბუნებრივი და ძირითადი უჯრედი და მას უფლება აქვს დაცული იყოს საზოგადოებისა და სახელმწიფოს მხრივ.

მუხლი 17

1. ყოველ ადამიანს აქვს უფლება ფლობდეს ქონებას როგორც ერთპიროვნულად, ასევე სხვებთან ერთად.

2. არავის არ უნდა ჩამოერთვას ქონება თვითნებურად.

მუხლი 18

ყოველ ადამიანს აქვს უფლება აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებისა: ეს უფლება მოიცავს თავისუფლებას თავისი რელიგიის თუ რწმენის შეცვლისა და თავისუფლებას თავისი რელიგიის თუ რწმენის აღმსარებლობისა, როგორც ერთპიროვნულად ასევე სხვებთან ერთად, მოძღვრებაში ღვთისმსახურებაში და რელიგიურ და რიტუალურ წესჩვეულებათა შესრულებაში საჯარო თუ კერძო წესით.

მუხლი 19

ყოველ ადამიანს აქვს უფლება მრწამსის თავისუფლებისა და მისი თავისუფლად გამოთქმისა: ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას დაუბრკოლებლად იქონიოს თავისი მრწამსი და ეძიოს მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები ყოველგვარი საშუალებით და სახელმწიფო საზღვრებისგან დამოუკიდებლად.

მუხლი 20

1. ყოველ ადამიანს აქვს უფლება მშვიდობიანი კრებებისა და ასოციაციების თავისუფლებისა.

2. არავის იძულება არ შეიძლება რაიმე ასოციაციაში შესასვლელად.

მუხლი 21

1. ყოველ ადამიანს აქვს უფლება მონაწილეობდეს თავისი ქვეყნის მართვა-გამგეობაში ან უშუალოდ, ანდა თავისუფლად არჩეულ წარ-

მომადგენელთა მეშვეობით.

2. ყოველ ადამიანს აქვს უფლება თანაბარ საფუძველზე შევიდეს თავისი ქვეყნის სახელმწიფო სამსახურში.

3. ხალხის ნება უნდა იყოს საფუძველი მთავრობის ძალაუფლებისა: ეს ნება უნდა გამოხატავდეს პერიოდულ და გაუყალბებელ არჩევნებში, რომლებიც უნდა ტარდებოდეს საყოველთაო და თანასწორი საარჩევნო უფლებების პირობებში, ფარული კენჭისყრით ან სხვა თანაბარმნიშვნელოვანი ფორმების მეშვეობით, რომლებიც უზრუნველყოფენ ხმის მიცემის თავისუფლებას.

მუხლი 22

ყოველ ადამიანს, როგორც საზოგადოების წევრს, აქვს სოციალური უზრუნველყოფის უფლება და უფლება განახორციელოს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ დარგებში, ნაციონალური მეცადინეობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის მეშვეობით და ყოველი სახელმწიფოს სტრუქტურისა და რესურსების შესაბამისად, ის უფლებები რომლებიც აუცილებელია მისი ღირსების შენარჩუნებისა და პიროვნების თავისუფალი განვითარებისათვის.

მუხლი 23

1. ყოველ ადამიანს აქვს შრომის, სამუშაოს თავისუფალი არჩევის, შრომის სამართლიანი და ხელსაყრელი პირობებისა და უმუშევრობისაგან დაცვის უფლება.

2. ყოველ ადამიანს აქვს უფლება თანაბარი შრომის თანაბრად ანაზღაურებისა ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე.

3. ყველ მუშაკს აქვს უფლება იღებდეს სამართლიანსა და დამაკმაყოფილებელ გასამრჯელოს, რომელიც უზრუნველყოფს ღირსეულ ადამიანურ არსებობას თვითონ მისათვის და მისი ოჯახისათვის და რომელსაც, როცა აუცილებელია ემატება სოციალური უზრუნველყოფის სხვა სახსრები.

4. ყოველ ადამიანს აქვს უფლება შექმნას პროფესიული კავშირები და შევიდეს პროფესიულ კავშირებში თავისი ინტერესების დასაცავად.

მუხლი 24

ყოველ ადამიანს აქვს დასვენებისა და მოცალეობის უფლება სამუშაო დღის გონივრული შეზღუდვისა და ანაზღაურებული პერიოდული შებუღების უფლების ჩათვლით.

მუხლი 25

1. ყოველ ადამიანს აქვს უფლება ჰქონდეს ცხოვრების ისეთი დონე, საკვების, ტანსაცმლის, ბინის, სამედიცინო მოვლისა და საჭირო სოციალური მომსახურების ჩათვლით, რომელიც აუცილებელია თვითონ მისი და მისი ოჯახის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის შესანარჩუნებლად, და უფლება უზრუნველყოფილი იყოს უმუშევრობის, ავადმყოფობის, ინვალიდობის, ქვრივობის, მოხუცებულობის ან მისგან დამოუკიდებელ გარემოებათა გამო არსებობის საშუალებათა დაკარგვის სხვა შემთხ-

ვევაში.

2. დედობა და ჩვილი ყრმის ასაკი იძლევა განსაკუთრებული მზრუნველობითა და დახმარებით სარგებლობის უფლებას. ყველა ბავშვი, დაბადებული ქორწინებაში თუ ქორწინების გარეშე, უნდა სარგებლობდეს ერთნაირი სოციალური დაცვით.

მუხლი 26

1. ყოველ ადამიანს აქვს განათლების უფლება. განათლება დანყებითი და ზოგადი მაინც, უფასო უნდა იყოს. დანყებითი განათლება უნდა იყოს სავალდებულო; ტექნიკური და პროფესიული განათლება კი საყოველთაოდ ხელმისაწვდომი, უმაღლესი განათლება კი ერთნაირად მისაწვდომი ყველასათვის თვითუფლის უნარისამებრ.

2. განათლება მიმართული უნდა იყოს ადამიანის პიროვნების სრული განვითარებისა და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა პატივისცემის გადიდებისაკენ. განათლებამ ხელი უნდა შეუწყოს ყველა ხალხის, ყველა რასობრივი თუ რელიგიური ჯგუფის ურთიერთგაგებას, შემწყნარებლობასა და მეგობრობას და ხელი უნდა შეუწყოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოღვაწეობას მშვიდობის შესანარჩუნებლად.

3. მშობლებს აქვთ პრიორიტეტის უფლება აირჩიონ რა სახის განათლება სურთ თავიანთი მცირეწლოვანი შვილებისათვის.

მუხლი 27

1. ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მონაწილეობდეს საზოგადოების კულტურულ ცხოვრებაში, ტკებოდეს ხელოვნებით, მონაწილეობდეს მეცნიერულ პროგრესში და სარგებლობდეს მისი სიკეთით.

2. ყოველ ადამიანს აქვს უფლება დაცული იყოს მისი მორალური და მატერიალური ინტერესები, როგორც შედეგი იმ მეცნიერული, ლიტერატურული და მხატვრული ნაშრომებისა, რომელთა ავტორსაც იგი წარმოაგდენს.

მუხლი 28

ყოველ ადამიანს აქვს უფლება ისეთ სოციალურსა და საერთაშორისო წესრიგზე, რომლის პირობებში შესაძლებელია ამ დეკლარაციაში ჩამოთვლილ უფლებათა და თავისუფლებათა მთლიანად განხორციელება.

მუხლი 29

1. ყოველ ადამიანს აქვს მოვალეობანი საზოგადოების წინაშე, რადგან მხოლოდ საზოგადოებაშია შესაძლებელი მისი პიროვნების თავისუფალი და სრული განვითარება.

2. თავის უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელებისას ყოველი ადამიანი უნდა განიცდიდეს მხოლოდ ისეთ შეზღუდვას, როგორც კანონითაა დადგენილი მარტოდენ იმ მიზნით, რათა უზრუნველყოფილ იქნეს სხვების უფლებათა და თავისუფლებათა ჯეროვანი აღიარება და პატივისცემა და დაკმაყოფილდეს ზნეობის, საზოგადოებრივი წესრიგისა

საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტები

და საერთო კეთილდღეობის სამართლიანი მოთხოვნები დემოკრატიულ საზოგადოებაში.

3. ამ უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელება არავითარ შემთხვევაში არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებსა და პრინციპებს.

მუხლი 30

ამ დეკლარაციაში არაფერი არ უნდა განიმარტოს, როგორც მინიჭება რომელიმე სახელმწიფოსათვის, პირთა ჯგუფისა თუ ცალი პირებისათვის უფლებისა ეწოდნენ ისეთ საქმიანობას ან ჩაიდინონ ისეთი ქმედებები, რომლებიც მიმართულია ამ დეკლარაციაში ჩამოთვლილ უფლებათა და თავისუფლებათა მოსასპობად.



საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ

პრეამბულა

ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები, რომლებიც ითვალისწინებენ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებით გამოცხადებული პრინციპების შესაბამისად ადამიანთა ოჯახის ყველა წევრისათვის დამახასიათებელი ღირსების, მათი თანასწორი და განუყოფელი უფლებების აღიარება არის თავისუფლების, სამართლიანობისა და საყოველთაო მშვიდობის საფუძველი;

აღიარებენ, რომ ეს უფლებები გამომდინარეობენ ადამიანისათვის დამახასიათებელი ღირსებიდან,

აღიარებენ, რომ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის თანახმად, თავისუფალი, შიშისა და გაჭირვებისაგან თავისუფალი ადამიანის პიროვნების იდეალს განხორციელება შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ შეიქმნა ისეთი პირობები, როცა თითოეული შეძლებს ისარგებლოს თავის ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებებით, ისევე როგორც თავისი პოლიტიკური და ეკონომიკური უფლებებით,

ითვალისწინებენ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებით სახელმწიფოები ვალდებული არიან წახალისონ ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა საყოველთაო პატივისცემა და დაცვა,

ითვალისწინებენ, რომ თითოეული ცალკეული ადამიანი, აქვს რა ვალდებულებანი სხვა ადამიანებისა და იმ კოლექტივის მიმართ, რომელსაც ეკუთვნის, უნდა ილწვოდეს ამ პაქტით აღიარებული უფლებათა წახალისებისა და დაცვისათვის, შეთანხმდნენ შემდეგი მუხლებს გამო:

ნაწილი 1
მუხლი 1*

1. ყველა ხალხს აქვს თვითგამორკვევის უფლება. ამ უფლების ძალით ისინი თავისუფლად აქვსებენ თავიანთ პოლიტიკურ სტატუსს და თავისუფლად უზრუნველყოფენ თავიანთ ეკონომიურ, სოციალურ და კულტურულ განვითარებას.

2. ყველა ხალხს თავისი მიზნების მისაღწევად შეუძლია თავისუფლად მოიხმაროს თავისი ბუნებრივი სიმდიდრეები და რესურსები ისე, რომ ზიანი არ მიაყენოს ურთიერთსარგებლიანობის პრინციპებზე დაფუძნებული საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობიდან და საერთაშორისო სამართლიდან გამომდინარე რაიმე ვალდებულებას. არც ერთ ხალხს არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება წაერთვას საარსებო სახსრები, რომლებიც მას ეკუთვნის.

3. ამ პაქტის მონაწილე ყველა სახელმწიფო, მათ შორის ის სახელმწიფოები, რომლებსაც ეკისრებათ პასუხისმგებლობა არათვითმმართველი და სამეურნეო ტერიტორიების მართვისათვის, ხელს უნდა უწყობდეს თვითგამორკვევის უფლების განხორციელებას და პატივს სცემდეს ამ უფლებას.

ნაწილი II
მუხლი 2

1. ამ პაქტის მონაწილე თითოეული სახელმწიფო კისრულობს ვალდებულებას პატივი სცეს და მისი ტერიტორიის ფარგლებსა და მის იურისდიქციაში მყოფი ყველა პირისათვის უზრუნველყოს ამ პაქტით აღიარებული უფლებები: რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა მრწამსის, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობის, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადებისა თუ სხვა გარემოების გამო.

2. თუ ეს უკვე გათვალისწინებული არ არის არსებული საკანონმდებლო ან სხვა ღონისძიებებით, ამ პაქტის მონაწილე თითოეული სახელმწიფო კისრულობს ვალდებულებას განახორციელოს საჭირო ღონისძიებანი თავისი საკონსტიტუციო პროცედურებისა და ამ პაქტის შესაბამისად, რათა მიიღოს საკანონმდებლო ან სხვა ზომები, რომლებიც შესაძლოა საჭირო გახდეს ამ პაქტით აღიარებული უფლებების განხორციელებისათვის.

3. ამ პაქტის მონაწილე თითოეული სახელმწიფო კისრულობს ვალდებულებას:

a) ყველა პირი, რომლის ამ პაქტით აღიარებული უფლებანი და თავისუფლებანი შესახულია, უზრუნველყოს სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალებით, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს დარღვევა დაუშვეს

* საქართველოს პარლამენტი აღიარებს პირველ მუხლში ჩამოყალიბებულ დებულებებს იმ ინტერპრეტაციით, რომელიც აისახება ადამიანის უფლებათა ვენის 1993 წლის დეკლარაციაში (მე-2 პუნქტი).

ოფიციალურმა პირებმა;

ბ) უზრუნველყოს, რომ თითოეული პირის სამართლებრივი დაცვის უფლებას, ვინც კი ასევე დაცვას მოითოვს, ადგენენ კომპეტენტური სასამართლო, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ხელისუფლებანი ან სახელმწიფოს სამართლებრივი სისტემით გათვალისწინებული ყოველი სხვა კომპეტენტური ორგანო და განავითაროს სასამართლო დაცვის შესაძლებლობანი;

ც) უზრუნველყოფის კომპეტენტურ ხელისუფლებათა მიერ მათთვის მოცემული სამართლებრილი დაცვის საშუალებათა გამოყენება.

მუხლი 3

ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას უზრუნველყონ მამაკაცებისა და ქალების თანაბარი უფლება ისარგებლონ ამ პაქტით გათვალისწინებული ყველა მოქალაქეობრივი და პოლიტიკური უფლებით.

მუხლი 4

1. სახელმწიფოში საგანგებო წესების შემოღების დროს, როცა ერის სიცოცხლე საფრთხეშია და ეს ოფიციალურად გამოაცხადდეს ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოებს შეუძლიათ გადაუხვიონ პაქტით ნაკისრ თავიანთ ვალდებულებებს იმდენად, რამდენადაც ამას მოითხოვს მდგომარეობის სიმძაფრე, და განახორციელონ ღონისძიებანი იმ პირობით, რომ ეს ღონისძიებანი შეუთავსებელი არ იქნება საერთაშორისო სამართლით დაკისრებულ სხვა ვალდებულებებთან და მათ არ მოჰყვება დოსკრიმინაცია მხოლოდ და მხოლოდ რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიისა თუ სოციალური წარმოშობის საფუძველზე.

2. ეს დებულება არ შეიძლება საფუძველად დაედოს რაიმე გადახვევებს 6,7,8 (1 და 2 პუნქტები), 11, 15, 16 და 18 მუხლებიდან.

3. ამ პაქტის მონაწილე ყველა სახელმწიფომ, რომელიც იყენებს გადახვევის უფლებას, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის საშუალებით დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს ამ პაქტის მონაწილე სხვა სახელმწიფოებს, თუ რომელ დებულებებს გადაუხვია და რა მიზეზებმა მიაღებინა ასეთი გადაწყვეტილება. ამავე შეუამავლის საშუალებით მან უნდა შეატყობინოს აგრეთვე თარიღი, როცა შეწყვეტს ასეთ გადახვევას.

მუხლი 5

1. ამ პაქტში არ შეიძლება არაფრის განმარტება ისე, თითქმის ნიშნავდეს, რომ რომელიმე სახელმწიფოს, რომელიმე ჯგუფს ან რომელიმე პირს ჰქონდეს უფლება ეწეოდეს რაიმე საქმიანობას ან სჩადიოდეს რაიმე მოქმედებას, რომელთა მიზანია ამ პაქტით აღიარებული რომელიმე უფლებისა თუ თავისუფლების მოსპობა ან მათი შეზღუდვა უფრო მეტად, ვიდრე ეს პაქტი ითვალისწინებს.

2. არ შეიძლება შეიზღუდოს ან დაკნინდეს ადამიანის რომელიმე ძირითადი უფლება, რომელიც ამ პაქტის მონაწილე რომელიმე სახელმ-

ნიფოში აღიარებულია ან არსებობს კანონის, კონვენციების, წესების ან ზნე-ჩვეულებების ძალით, იმ საბაბით, რომ ამ პაქტით ასეთი უფლებები აღიარებული არ არის ან აღიარებულია ნაკლები მოცულობით.

ნაწილი III

მუხლი 6

1. სიცოცხლის უფლება თითოეული ადამიანის განუყოფელი უფლებაა. ამ უფლებას იცავს კანონი. არავის არ შეიძლება თვითნებურად წაართვან სიცოცხლე.

2. ქვეყნებში, რომლებსაც არ გაუქმებიათ სიკვდილით დასჯა, სიკვდილის განაჩენი შეიძლება გამოიტანონ მხოლოდ ყველაზე მძიმე დანაშაულისათვის იმ კანონის შესაბამისად, რომელიც მოქმედებდა დანაშაულის ჩადენის დროს და არ ეწინააღმდეგება ამ პაქტისა და გენოციდეს დანაშაულის თავიდან აცილებისა და მისთვის დასჯის შესახებ კონვენციის დებულებებს, ეს დასჯა შეიძლება აღსრულდეს მხოლოდ კომპეტენტური სასამართლოს მიერ გამოტანილი საბოლოო განაჩენის შესასრულებლად.

3. როცა სიცოცხლის წართმევა გენოციდეს დანაშაულს შეადგენს, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ამ მუხლში არაფერი არ აძლევს ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოებს უფლებას, რომ რაიმე საშუალებით გადაუხვიონ რომელიმე ვალდებულებას, რომელიც იკისრეს გენოციდეს დანაშაულის თავიდან აცილებისა და მისთვის დასჯის შესახებ კონვენციის დებულებათა შესაბამისად.

4. თითოეულს, ვისაც სიკვდილი მიუსაჯეს, უფლება აქვს ითხოვოს შეწყალება ან განაჩენის შერბილება, ამნისტია. შეწყალება ან სიკვდილის განაჩენის შეცვლა შეიძლება ნაბოძები იყოს ყველა შემთხვევაში.

5. სიკვდილის განაჩენის გამოტანა არ შეიძლება დანაშაულისათვის, რომელიც ჩაიდინეს თვრამეტ წლამდე ასაკის პირებმა, და მისი აღსრულება არ შეიძლება ფეხმძიმე ქალების მიმართ.

6. ამ მუხლში არაფერი არ შეიძლება იყოს იმის საფუძველი, რომ ამ პაქტის მონაწილე რომელიმე სახელმწიფომ გადადოს ან არ დაუშვას სიკვდილით დასჯის გაუქმება.

მუხლი 7

არავინ არ უნდა განიცდიდეს წამებას ან სასტიკ, არაადამიანურ ან მისი ღირსების დამამცირებელ მოპყრობასა თუ სასჯელს, კერძოდ, არც ერთ პირზე, თუ არ იქნა მისი თავისუფალი თანხმობა, არ შეიძლება სამედიცინო ან სამეცნიერო ცდების ჩატარება.

მუხლი 8

1. არავინ არ უნდა ცხოვრობდეს მონობაში; აკრძალულია ყველა სახეობის მონობა და მონათვაჭრობა.

2. არავინ არ უნდა ცხოვრობდეს დაბეჩავებულ მდგომარეობაში.

3. a) არავის არ უნდა დააძალონ იძულებითი თუ სავალდებულო შრომა;

ბ) იმ ქვეყნებში, სადაც დანაშაულისათვის სასჯელის სახით შეიძლება დაინიშნოს თავისუფლების აღკვეთა, რომელიც დაკავშირებულია საკატორლო სამუშაოებთან, მე-3 პუნქტი (ა) არ ითვლება დაბრკოლებად, რათა შესრულდეს საკატორლო სამუშაოები იმ კომპეტენტური სასამართლოს განაჩენით, რომელმაც ასეთი სასჯელი გამოიტანა;

ც) ამ პუნქტში ტერმინი “იძულებითი ან სავალდებულო შრომა” არ მოიცავს:

l) ნებისმიერი სახის სამუშაოს თუ სამსახურს, რომელიც ნახსენებში არ არის ხ ქვეპუნქტში, და რომელიც, როგორც წესი, უნდა შეასრულოს სასამართლოს კანონიერი განკარგულების საფუძველზე პატიმრობაში მყოფმა პირმა, ან ასეთი პატიმრობიდან პირობითად განთავისუფლებულმა პირმა;

ll) ნებისმიერი სამხედრო ხასიათის სამსახურს, ხოლო იმ ქვეყნებში, სადაც აღიარებულია სამხედრო სამსახურზე უარის თქმა პოლიტიკური თუ რელიგიურ-ეთიკური მოტივებით, ნებისმიერ სამსახურს, რომელიც კანონით გათვალისწინებულია ასეთი მოტივებით სამხედრო სამსახურზე უარის მთქმელ პირთათვის;

lll) ნებისმიერი სახის სამსახურს, რომელიც სავალდებულოა საგანგებო წესებისა თუ უბედურების დროს, რაც საფრთხეს უქმნის მოსახლეობის სიცოცხლესა თუ კეთილდღეობას;

lv) ნებისმიერი სახის სამუშაოსა თუ სამსახურს, რომელიც შედის ჩვეულებრივ მოქალაქეობრივ მოვალეობებში.

მუხლი 9

1. თითოეული ადამიანს აქვს თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება. არავინ არ შეიძლება თვითნებურად დააპატიმროს ან პატიმრობაში აიყვანოს. არავის არ შეიძლება თავისუფლება აღუკვეთონ სხვაგვარად, თუ არა ისეთ საფუძველზე და ისეთი პროცედურეს შესაბამისად, რომლებიც კანონით არის დაწესებული.

2. თითოეულ დაპატიმრებულს დაპატიმრების დროს ეუბნებიან მისი დაპატიმრების მიზეზებს და სასწრაფო წესით ატყობინებენ, თუ რა ბრალდებას უყენებენ.

3. სისხლის სამართლის ბრალდებით დაპატიმრებული თუ დაკავებული ყოველი პირი სასწრაფო წესით უნდა მიიყვანონ მოსამართლესთან ან სხვა თანამდებობის პირთან, რომელსაც კანონით უფლება აქვს აღასრულოს სასამართლო ხელისუფლება, და დაპატიმრებულ ან დაკავებულ პირს გონეზრული ვადის მანძილზე აქვს სასამართლო გარჩევისა, თუ განთავისუფლების უფლება. სასამართლო გარჩევის მოლოდინში პირის დაკავება საერთო წესი არ უნდა გახდეს, მაგრამ მათი განთავისუფლება შეიძლება დამოკიდებული იყოს სასამართლოში გამოცხადების, სასამართლო გარჩევის ყველა სტადიაში გამოცხადების და, საჭიროების

შემთხვევაში, განაჩენის აღსასრულებლად გამოცხადების გარანტიების წარდგენაზე.

4. თითოეულს, ვისაც თავისუფლება აღეკვეთა დაპატიმრებისა თუ პატიმრობაში აყვანის შედეგად, აქვს უფლება, რომ მისი საქმე გაარჩიოს სასამართლომ, რათა ამ სასამართლომ დაუყოვნებლივ გამოიტანოს დადგენილება, კანონიერია მისი დაკავება თუ არა, და გასცეს მისი განთავისუფლების განკარგულება, თუ უკანონოდ იყო დაკავებული.

5. თითოეულს, ვინც უკანონოდ დაპატიმრებისა თუ პატიმრობაში აყვანის მსხვერპლი გახდა, აქვს კომპენსაციის უფლება, რომელსაც სარჩელის ძალა ენიჭება.

მუხლი 10

1. ყველა თავისუფლებაარკვეთილ პირს აქვს უფლება, რომ ჰუმანურად მოექცნენ პატივი სცენ მის ადამიანის პიროვნებისათვის დამახასიათებელ ღირსებას.

2. a) იმ შემთხვევებში, როცა არ არის განსაკუთრებული გარემოებანი, ბრალდებულებს ათავსებენ მსჯავრდადებულისაგან ცალკე და უნესებენ ცალკე რეჟიმს, რომელიც შეესაბამება არამსჯავრდებულ პირთა სტატუსს;

b) არასრულწლოვან ბრალდებულებს ათავსებენ სრულწლოვანებისაგან ცალკე და უმოკლეს ვადაში წარუდგენენ სასამართლოს გადწყვეტილების გამოსატანად.

3. პენიტენციალური სისტემით პატიმრებისათვის გათვალისწინებული რეჟიმი, რომლის არსებითი მიზანია მათი გამოსწორება და ახლებური სოციალური აღზრდა. არასრულწლოვან სამართალდამრღვევებს აცალკევებენ სრულწლოვანებისაგან და უნესებენ მათი ასაკისა და სამართლებრივი სტატუსის შესაბამის რეჟიმს.

მუხლი 11

არავის არ შეიძლება აღეკვეთოს თავისუფლება მხოლოდ იმ საფუძველზე, რომ არ შეუძლია შეასრულოს რაიმე სახელმეკრულე ვალდებულება.

მუხლი 12

1. თითოეულს, ვინც კანონიერად იმყოფება რომელიმე სახელმწიფოს ტერიტორიაზე, ამ ტერიტორიის ფარგლებში უფლება აქვს თავისუფლად გადაადგილდეს და თავისუფლად აირჩიოს საცხოვრებელი ადგილი.

2. თითოეულ ადამიანს აქვს უფლება ნავიდეს ყოველი ქვეყნიდან, მათ შორის საკუთარი ქვეყნიდან.

3. ზემოთ აღნიშნული უფლებები არ შეიძლება გახდეს რაიმე შეზღუდვის ობიექტი, გარდა იმ შეზღუდვებისა, რომლების გათვალისწინებულია კანონით, საჭიროა სახელმწიფო უშიშროების, საზოგადოებრივი წესრიგის, მოსახლეობის ჯანმრთელობისა თუ ზნეობის ან სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისათვის და ეთავსება ამ პაქტით აღიარებულ სხვა უფლებებს.

4. არავის არ შეუძლება თვითნებურად ჩამოართვან თავის საკუთარ ქვეყანაში ჩასვლის უფლება.

მუხლი 13

უცხოელი, რომელიც კანონიერად იმყოფება ამ პაქტის მონაწილე რომელიმე სახელმწიფომ ტერიტორიაზე, შეიძლება გაასახლონ მხოლოდ კანონის შესაბამისად გამოტანილი გადაწყვეტილების შესასრულებლად, და თუ სახელმწიფო უშიშროების იმპერატიული მოსაზრებანი სხვას არ მოითხოვენ, მას უფლება აქვს წარმოადგენოს უდავი საბუთები თავისი გასახლების წინააღმდეგ, მოითხოვოს, რომ მისი საქმე გადასინჯოს კომპეტენტურმა ხელისუფლებამ ან პირმა, რომელსაც სპეციალურად დანიშნავს კომპეტენტური ხელისუფლება, რომ ამ მიზნით წარსდგეს ამ ხელისუფლების, პირისა თუ პირთა წინაშე.

მუხლი 14

1. ყველა პირი თანასწორია სასამართლოებისა და ტრიბუნალების წინაშე, თითოეულს აქვს უფლება მისთვის წაყენებული ყოველი სისხლის სამართლის ბრალდების განხილვისას, ან რომელიმე სამოქალაქო პროცესში მისი უფლება-მოვალეობის განსაზღვრისას, რომ მისი საქმე სამართლიანად და საჯაროდ გაარჩიოს კანონის საფუძველზე შექმნილმა კომპეტენტურმა, დამოუკიდებელმა და მიუკერძოებელმა სასამართლომ. შეიძლება, რომ პრესა და საზოგადოება არ დაუშვან მთელ სასამართლო გარჩევაზე, თუ მის ნაწილზე, მორალის, დემოკრატიულ საზოგადოებაში საზოგადოებრივი წესრიგისა თუ სახელმწიფო უშიშროების მოსაზრებით ან, როცა ამას მოითხოვს მხარეთა კერძო ცხოვრების ინტერესები ან ინდენად, რამდენადაც ეს, სასამართლოს აზრით, ძალზე საჭიროა განსაკუთრებულ ვითარებაში, როცა საჯაროობა შელახავს მართლმსაჯულების ინტერესებს; მაგრამ ყოველი სასამართლო დადგენილება სისხლის სამართლისა თუ სამოქალაქო საქმის გამო საჯარო უნდა იყოს, იმ შემთხვევების გარდა, როცა არასრულწლოვანთა ინტერესები სხვას მოითხოვენ ან, როცა საქმე ეხება მატრიმონიალურ დავას ან ბავშვთა მეურვეობას.

2. თითოეულს, ვისაც ბრალად სდებენ სისხლის სამართლის დანაშაულს, უფლება აქვს ჩაითვალოს უდანაშაულოდ, სანამ მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონის შესაბამისად.

3. თითოეულს აქვს უფლება მისთვის წაყენებული სისხლის სამართლის ბრალდების განხილვისას, როგორც მინიმუმში მიიღოს შემდეგი გარანტიები სრული თანასწორობის საფუძველზე:

a) სასწრაფო წესით და დანვრილებით შეატყობინონ იმ ენაზე, რომელიც ესმის, თუ რა ხასიათისაა და რა საფუძველზე წაუყენეს ბრალდება;

b) ჰქონდეს საკმარისი დრო და შესაძლებლობა, რათა მოემზადოს თავის დასაცავად და შეხვედეს მის მიერ არჩეულ დამცველს;

c) გაასამართლონ გაუმართლებელი გაჭიანურების გარეშე;

d) გაასამართლონ მისი თანდასწრებით და დაიცვას თავი პირადად ან მის

მიერ არჩეული დამცველის საშუალებით; თუ მას ჰყავს დამცველი, უნდა შეატყობინონ ეს უფლება და ყავდეს მისთვის დანიშნული დამცველი ყველა შემთხვევაში, როცა მართლმსაჯულების ინტერესები ამას მოითხოვს, უსასყიდლოდ იმ შემთხვევაში, როცა არა აქვს საკმარისი სახსრები ამ დამცველის ასანაზღაურებლად;

e) დაკითხვის მოწმენი, რომლებიც მის წინააღმდეგ აძლევენ ჩვენებას, ან ჰქონდეს უფლება, რომ ეს მოწმენები სხვამ დაჰკითხოს, და ჰქონდეს უფლება, რომ გამოიძახონ და დაჰკითხონ მისი მოწმენი იმავე პირობებით, რომლებიც არსებობს მის წინააღმდეგ გამოსული მოწმენებისათვის;

f) ისარგებლოს თარჯმნის უფასო დახმარებით, თუ არ ესმის ენა, რომელსაც სასამართლოში ხმარობენ ან არ ლაპარაკობს ამ ენაზე;

g) არავინ არ აიძულის, რომ ჩვენება მისცეს საკუთარი თავის წინააღმდეგ, ან თავი დამნაშავედ აღიაროს.

4. არასრულწლოვანთა მიმართ პროცესი ისე უნდა წარიმართოს, რომ გაითვალისწინონ მათი ასაკი და მათი ხელახალი აღზრდისათვის ხელშეწყობის სასურველობა.

5. თითოეულს, ვინც მსჯავრდებულთა რაიმე დანაშაულისათვის, აქვს უფლება, რომ მისი მსჯავრდადება და განაჩენი გადასინჯოს ზემდგომმა სასამართლო ინსტანციამ კანონის შესაბამისად.

6. თუ რომელიმე პირს საბოლოო გადაწყვეტილებით დასდეს მსჯავრი სისხლის სამართლის დანაშაულისათვის და თუ მისთვის გამოტანილი განაჩენი შემდგომში გააუქმეს ან მისთვის ნაბოძები იყო შეწყალება იმ საფუძველზე, რომ რაიმე ახალი ან ახლად აღმოჩენილი გარემოება უცილობლად ამტკიცებს, რომ მოხდა სასამართლო შეცდომა, მაშინ ეს პირი, რომელიც დაისაჯა ასეთი მსჯავრდების შედეგად, იღებს კომპენსაციას კანონის თანახმად, თუ არ დამტკიცდა, რომ აღნიშნული უცნობი გარემოება თავის დროზე ვერ აღმოაჩინეს მხოლოდ მისი ან ნაწილობრივ მისი მიზეზით.

7. არავის მეორედ გასამართლება ან დასჯა არ შეიძლება დანაშაულისათვის, რომლისათვისაც იგი უკვე საბოლოოდ იყო მსჯავრდადებული ან გამართლებული თითოეული ქვეყნის კანონის და სისხლის სამართლის პროცესუალური სამართლის შესაბამისად.

მუხლი 15

1. არავინ არ შეიძლება ცნონ დამნაშავედ რაიმე სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენისათვის რომელიმე ისეთი მოქმედებისა და შეცდომის შედეგად, რომელიც მისი ჩადენის მომენტში მოქმედი სახელმწიფოს შიდა კანონმდებლობისა თუ საერთაშორისო სამართლის შესაბამისად არ იყო სისხლის სამართლის დანაშაული. ასევე არ შეიძლება დაინიშნოს უფრო მძიმე სასჯელი, ვიდრე ის, რომელიც უნდა გამოეყენებინათ სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის მომენტში; თუ დანაშაულის ჩადენის შემდეგი კანონით ნესდება უფრო მსუბუქი სასჯელი, ამ კანონის მოქმედება ვრცელდება ამ დამნაშავეზე.

2. ამ მუხლში არაფერი არ უშლის ხელს, რომ ყოველი პირი გადაეცეს

საართაშორისო სამართლებრივი დოკუმენტაჲი

სასამართლოს და დაისაჯოს ყოველო მოქმედებისა თუ შეცდომისათვის, რომლებიც საერთაშორისო საზოგადოებრიობის მიერ აღიარებული სამართლის ზოგადი პრინციპების შესაბამისად ჩადენის მომენტში სისხლის სამართლის დანაშაული იყო.

მუხლი 16

თითოეულ ადამიანს, სადაც უნდა იყოს იგი აქვს უფლება, რომ ცნონ მისი სუბიექტობის უფლება.

მუხლი 17

1. არავინ არ უნდა განიცადოს თვითნებური ან უკანონო ჩარევა თავის პირად და ოჯახურ ცხოვრებაში, მისი საცხოვრებლის შეუვალობის ან მისი კორესპონდენციის საიდუმლოების თვითნებური ან უკანონო ხელყოფა, ან მისი ღირებისა და რეპუტაციის უკანონო ხელყოფა.

2. თითოეულ ადამიანს აქვს უფლება, რომ კანონმა დაიცვას ასეთი ჩარევისა თუ ხელყოფასაგან.

მუხლი 18

1. თითოეულ ადამიანს აქვს აზროვნების, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების უფლება. ეს უფლება შეიცავს თავისუფლებას ჰქონდეს ან ირებდეს რელიგიასა თუ მრწამსს საკუთარი არჩევნით და თავისუფლად აღიარებდეს თავის რელიგიასა და მრწამსს როგორც ერთპიროვნულად, ისე სხვებთან ერთად, საჯაროდ თუ კერძო წესით ასრულებდეს კულტს, რელიგიურ და რიტუალურ წეს-ჩვეულებებსა და მოძღვრებას.

2. არავინ არ უნდა განიცდიდეს იძულებას, რომელიც ლახავს მის თავისუფლებას იქონიოს ან მიიღოს რელიგია თუ მრწამსი საკუთარი არჩევანით.

3. რელიგიისა თუ მრწამსის აღიარების თავისუფლებას შეიძლება დაუნესდეს მხოლოდ ის შეზღუდვები, რომლებიც დადგენილია კანონით და საჭიროა საზოგადოებრივი უშიშროების, წესრიგის, ჯანმრთელობისა და მორალის, ისევე როგორც სხვა პირთა ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისათვის.

4. ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას, პატივი სცენ მშობელთა და შესაბამის შემთხვევებში, კანონიერ მეურვეთა თავისუფლებას უზრუნველყონ თავიანთი ბავშვების რელიგიური და წინობრივი აღზრდა საკუთარი მრწამსის შესაბამისად.

მუხლი 10

1. თითოეულ ადამიანს აქვს უფლება დაუბრკოლებლად ჰქონდეს საკუთარი აზრი.

2. თითოეულ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად გამოთქვას თავისი აზრი; ეს უფლება შეიცავს ტავისუფლებას, რომ სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად ეძიოს, მიიღოს და გაავრცელოს ყოველგვარი ინფორმაცია ზეპირად, წერილობით თუ პრესისა და გამობზატვის მხატვრული ფორმების საშუალებით ან სხვა საშუალებით საკუთარი არჩევანით.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული უფლებებით სარგებლობა განსაკუთრებულ მოვალეობას და განსაკუთრებულ პასუხ-

ისმგებლობას აკისრებს. მაშასადამე, იგი შეიძლება დაკავშირებული იყოს ზოგიერთ შეზღუდვასთან, რომლებიც უნდა იყოს კანონი დადგენილი და აუცილებელი:

- ა) სხვა პირთა უფლებებისა და რეპუტაციის პატივისცემისათვის;
- ბ) სახელმწიფო უშიშროების, საზოგადოებრივი წესრიგის, მოსახლეობის ჯანმრთელობისა თუ ზნეობის დასაცავად.

მუხლი 20

1. ომის ყოველგვარი პროპაგანდა უნდა აუკრძალოს კანონით.
2. ყოველგვარი გამოსვლა ეროვნული, რასობრივი თუ რელიგიური შუღლის სასარგებლოდ, რაც დისკრიმინაციის, მტრობისა თუ ძალადობის ნაქეზებაა, უნდა აიკრძალოს კანონით.

მუხლი 21

აღიარებულია მშვიდობიანი კრებების უფლება. ამ უფლებით სარგებლობას შეიძლება დაუწესდეს მხოლოდ ისეთი შეზღუდვები, რომლებიც შეესაბამება კანონის და საჭიროა დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი უშიშროების, საზოგადოებრივი წესრიგის, მოსახლეობის ჯანმრთელობისა და ზნეობის დაცვისა თუ სხვა პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის ინტერესებისათვის.

მუხლი 22

1. თითოეულ ადამიანს აქვს სხვებთან ასოციაციის თავისუფლების უფლება, მათ შორის უფლება შექმნას პროფკავშირები და შევიდეს პროფკავშირებში თავისი ინტერესების დასაცავად.

2. ამ უფლებით სარგებლობას შეიძლება დაუწესდეს მხოლოდ ისეთი შეზღუდვები, რომლებსაც კანონი ითვალისწინებს და რომლებიც საჭიროა დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უშიშროების, საზოგადოებრივი წესრიგის, მოსახლეობის ჯანმრთელობისა და ზნეობის დაცვის თუ სხვა პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის ინტერესებისათვის. ეს მუხლი ხელს არ უშლის, რომ ამ უფლებით სარგებლობის კანონიერი შეზღუდვები შემოიღონ იმ პირთათვის, რომლებიც შედიან შეიარაღებული ძალებისა და პოლიციის შემადგენლობაში.

3. ამ მუხლში არაფერი არ აზღვევს უფლებას სახელმწიფოებს, რომლებიც მონაწილეობენ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 1948 წლის კონვენციაში ასოციაციათა თავისუფლებისა და ორგანიზაციის უფლების დაცვის შესახებ, მიიღონ საკანონმდებლო აქტები აღნიშნული კონვენციით გათვალისწინებული გარანტიების საზიანოდ, ან კანონი გამოიყენონ ისეთნაირად, რომ ეს საზიანო იყოს ამ გარანტიებისათვის.

მუხლი 23

1. ოჯახი საზოგადოების ბუნებრივი და ზირითადი უჯრედია და აქვს უფლება, რომ იგი დაიცვან საზოგადოებამ და სახელმწიფომ.

2. მამაკაცებსა და ქალების რომლებმაც მიაღწიეს ქორწინების ასაკს, აქვთ უფლება შექმნან ოჯახი.

საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტები

3. არც ერთი ქორწინება არ შეიძლება მოხდეს მექორწინეთა თავისუფალი და სრული თანხმობის გარეშე.

4. ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი დაქორწინების, ქორწინებაში ყოფნისა და განქორწინების დროს მეუღლეთა თანასწორი უფლებებისა და მოვალეობების უზრუნველსაყოფად. განქორწინების შემთხვევაში გათვალისწინებული უნდა იყოს ყველა ბავშვის საჭირო დაცვა.

მუხლი 24

1. თითოეულ ბავშვს რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, ეროვნული თუ სოციალური წარმოსობის, ქონებრივი მდგომარეობისა თა დაბადების გამო ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე აქვს უფლება დაცვის ისეთ ღონისძიებებზე, რომლებიც მას, როგორც მცირეწლოვანს, უნდა გაუწიონ მისმა ოჯახმა, საზოგადოებამ და სახელმწიფომ.

2. თითოეული ბავშვი რეგისტრირებული უნდა იყოს დაუყოვნებლივ დაბადების შემდეგ და ჰქონდეს სახელი.

2. თითოეულ ბავშვს აქვს მოქალაქეობის მიღების უფლება.

მუხლი 25

თითოეულ მოქალაქეს მე-2 მუხლში ნახსენები რაიმე დისკრიმინაციის და დაუსაბუთებელი შეზღუდვათა გარეშე უნდა ჰქონდეს უფლება და შესაძლებლობა:

ა) მომანილობდეს სახელმწიფო საქმეთა წარმოებაში როგორც უშუალოდ, ისე თავისუფლად არჩეული წარმომადგენლობის საშუალებით;

ბ) მისცეს ხმა და არჩეულ იქნეს ნამდვილ პერიოდულ არცევნებში, რომლებიც ეწყობა საყოველთაო და თანასწორი საარჩევნო უფლებების საფუძველზე ფარული კენჭისყრით და უზრუნველყოფს ამარჩევლების ნება-სურვილის თავისუფალ გამოვლინებას;

გ) თავის ქვეყანაში თანასწორობის საერთო პირობებით შეეძლოს სახელმწიფო სამსახურში შესვლა.

მუხლი 26

ყველა ადამიანი თანასწორია კანონის წინაშე და ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე აქვს კანონის თანასწორი დაცვის უფლება. ამ მხრივ ყოველგვარი დისკრიმინაცია უნდა აიკრძალოს კანონით და კანონი უნდა უზრუნველყოფდეს ყველა პირის თანასწორ და ეფექტიან დაცვას რაიმე ნიშნის, როგორცაა რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პილიტიკური და სხვა მრწამსის, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობის, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადებისა თუ სხვა გარემოების გამო დისკრიმინაციის წინააღმდეგ.

მუხლი 27

იმ ქვეყნებში, სადაც არსებობს ეთნიკური, რელიგიური და ენობრივი უმცირესობანი, პირებს, რომლებიც ასრთ უმცირესობას ეკუთვნიან, არ შეიძლება უარი ეთქვათ უფლებაზე იმავე ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად ისარგებლონ თავიანთი კულტურით, აღიარონ თავიანთი რელიგია

და შეასრულონ მისი წესები, აგრეთვე ილაპარაკონ დედაენაზე.

ნაწილი IV

მუხლი 28

1. იქნება ადამიანის უფლებათა კომიტეტი (რომელსაც ქვემოთ ამ პუნქტში ეწოდება “კომიტეტი”). მასში შედის თვრამეტი წევრი და იგი ასრულებს ქვემოთ გათვალისწინებულ ფუნქციებს.

2. კომიტეტის შემადგენლობაში შედიან პირები, რომლებიც ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოთა მოქალაქეები არიან, აქეთ მაღალი ზნეობრივი თვისებები და აღიარებული კომპეტენტურობა ადამიანის უფლებათა დარგში, ამასთან გათვალისწინებულია, რომ სასარგებლოა იურიდიული გამოცდილების მქონე რამდენიმე პირის მონაწილეობა.

3. კომიტეტის წევრებს ირჩევენ და ისინა მუშაობენ პირადად.

მუხლი 29

1. კომიტეტის წევრებს ირჩევენ ფარული კენჭისყრით იმ პირთა სიიდან, რომლებიც აკმაყოფილებენ 28-ე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და ამ მიზნით დაასახელეს ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოებმა.

2. ამ პაქტის მონაწილე თითოეულ სახელმწიფოს შეუძლია დასახოს არაუმეტეს ორი პირისა. ეს პირები უნდა იყვნენ ამ სახელმწიფოს მოქალაქენი.

3. ყველა პირს აქვს უფლება, რომ განმეორებით დაასახელონ.

მუხლი 30

1. პირველადი არჩევნები ეწყობა არა უსვიაწეს ექვსი თვისა ამ პაქტის ძალაში შესვლის შემდეგ.

2. კომიტეტის თითოეულ არჩევნებამდე, გარდა არჩევნებისა ვაკანსიათა შესავსებად, რომლებიც ცხადდება 34-ე მუხლის შესაბამისად, სულ ციტა ითხი თვით ადრე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი წერილობით სთხოვს ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოებს, რომ სამი თვის მანძილზე წარმოადგინონ კომიტეტის წევრთა კანდიდატურები.

3. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი ანბანის წესით ადგენს ასეთნაირად დასახელებულ პირთა სიას, სადაც აღნიშნულია ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები, რომლებმაც ეს პირი დაასახელეს, და უგზავნის მას ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოებს არა უგვიაწეს ერთი თვისა თითოეული არჩევნების მოწყობის თარიღამდე.

4. კომიტეტის წევრებს ირჩევენ ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოთა სხდომაზე, რომელსაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი იწვევს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ცენტრალურ დანესებულებებში. ამ სხდომაზე, რომლისთვისაც კვორუმიამ ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოთა ორი მესამედის დასწრება, კომიტეტში არჩეულად ითვლებიან ის პირები, რომელთა კანდიდატურები მიიღებენ

საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტები

ყველაზე მეტ ხმას და მონაწილე სახელმწიფოთა იმ წარმომადგენელთა ხმების აბსოლუტური უმრავლესობას, რომლებიც სხდომას ესწრებოდნენ და კენჭისყრაში მონაწილეობდნენ.

მუხლი 31

1. კომიტეტში არ შეიძლება შევიდეს ერთი და იმავე სახელმწიფოს ერთზე მეტი მოქალაქე.

2. კომიტეტის არჩევნების დროს ითვალისწინებენ წევრთა სამართლიან გეოგრაფიულ განაწილებას და სხვადასხვა ფორმის ცივილიზაციისა და ძირითადი იურიდიული სისტემის წარმომადგენლობას.

მუხლი 32

1. კომიტეტის წევრებს ირჩევენ ოთხი წლის ვადით, მათ აქვს უფლება ხელახლა იყვნენ არჩეული მათი კანდიდატურების განმეორებით დასახელების შემთხვევაში, მაგრამ ამასთან პირველ არჩევნებზე არჩეულთა შორის ცხრა წევრის რწმუნებათა ვადა იწურება ორი წლის პერიოდის დამლევს; დაუყოვნებლივ პირველი არჩევნების შემდეგ ამ ცხრა წევრის სახელებს წილისყრით განსაზღვრავს სხდომის თავჯდომარე, რაც აღნიშნულია 30-ე მუხლის მე-4 პუნქტში.

2. რწმუნებათა ვადის გასვლის შემდეგ არჩევნები იმართება პაქტის ამ ნაწილის წინა მუხლების შესაბამისად.

მუხლი 33

1. თუ სხვა წევრთა ერთსულოვანი აზრით, კომიტეტის რომელიმე წევრმა შეწყვიტა თავისი ფუნქციების შესრულება რაიმე მიზეზით, გარდა დროებით არყოფნის მიზეზისა, კომიტეტის თავჯდომარე ამას აცყობინებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს, რომელიც ამ წევრის ადგილს ვაკანტურად აცხადებს.

2. კომიტეტის რომელიმე წევრის გარდაცვალებისა თუ გადადგომის შემთხვევაში თავჯდომარე ამას დაუყოვნებლივ აცყობინებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს, რომელიც ამ ადგილს ვაკანტურად აცხადებს გარდაცვალების დღიდან, ან იმ დღიდან, როცა გადადგომა ნამდვილი ხდება.

მუხლი 34

1. როცა 33-ე მუხლის შესაბამისად ცხადდება ვაკანსია, და თუ შესაცვლელი წევრის რწმუნებათა ვადა არ იწურება ამ ვაკანსიის გამოცხადების შემდეგ ექვსი თვის მანძილზე, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი ამას აცყობინებს ამ პაქტის მონაწილე თითოეულ სახელმწიფოს, რომელსაც შეუძლია ორი თვის მანძილზე 29-ე მუხლის შესაბამისად დაასახელოს კანდიდატურა ამ ვაკანსიის შესავსებად.

2. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი ანბანის წესით ადგენს ამრიგად წამოყენებულ პირთა სიას და წარუდგენს ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოებს, შემდეგ არჩევნები ვაკანსიის შესავსებად ეწყობა პაქტის ამ ნაწილის დებულებათა შესაბამისად.

3. 33-ე მუხლის შესაბამისად გამოცხადებული ვაკანსიის შესავსებად არჩეული კომიტეტის წევრი თანამდებობრივ მოვალეობებს ასრულებს იმ

წევრის რწმუნებათა ვადის დარჩენილი ნაწილის მანძილზე, რომელმაც გაათავისუფლა ადგილი კომიტეტში აღნიშნული მუხლის დებულებათა შესაბამისად.

მუხლი 35

კომიტეტის წევრები იღებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ დამტკიცებულ ანაზღაურებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სახსრებიდან იმ წესით და პირობებით, რომლებსაც ადგენს გენერალური ასამბლეა კომიტეტის მოვალეობათა მნიშვნელობის გათვალისწინებით.

მუხლი 36

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი უზრუნველყოფს საჭირო პერსონალსა და მატერიალურ სახსრებს ამ პაქტის შესაბამისად კომიტეტის ფუნქციათა ეფექტიანი განხორციელებისათვის.

მუხლი 37

1. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი იწვევს კომიტეტის პირველ სხდომას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ცენტრალურ დაწესებულებებში.

2. თავისი პირველი სხდომის შემდეგ კომიტეტი იკრიბება იმ დროს, რომელიც გათვალისწინებულია მისი პროცედურის წესებით.

3. ჩვეულებრივ კომიტეტი იკრიბება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ცენტრალურ დაწესებულებებსა თუ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შენევის განყოფილებაში.

მუხლი 38

კომიტეტის თითოეული წევრი, სანამ თავის მოვალეობის შესრულებას შეუდგებოდეს, კომიტეტის ღია სხდომაზე აკეთებს საჯარო განცხადებას, რომ თავის ფუნქციებს შეასრულებს მიუკერძოებლად და კეთილსინდისიერად.

მუხლი 39

1. კომიტეტი თავის თანამდებობის პირებს ირჩევს ორი წლის ვადით. შეიძლება მათი ხელახალი არჩევა.

2. კომიტეტი ადგენს პროცედურეს საკუთარ წესებს, მაგრამ ამ წესებით, კერძოდ გათვალისწინებული უნდა იყოს, რომ:

- a) კომიტეტის თორმეტი წევრი შეადგენს კვორუმს;
- b) კომიტეტი დადგენილებებს იღებს დამსწრე წევრთა ხმის უმრავლესობით.

მუხლი 40

1. ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას წარადგინონ მოხსენებები, თუ რა ღონისძიებანი დასახეს ამ პაქტით აღიარებულ უფლებათა განხორციელებისათვის და რა პროგრესს მიაღწიეს ამ უფლებათა გამოყენებაში;

a) ერთი წლის მანძილზე, მას შემდეგ, რაც ეს პაქტი ძალაში შევა შესაბამის მონაწილე სახელმწიფოთა მიმართ;

ბ) ამის შემდეგ ყველა შემთხვევაში, როცა ამას მოითხოვს კომიტეტი.

2. ყველა მოხსენებას წარუდგენენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს, რომელიც მათ განსახილველად უგზავნის კომიტეტს. მოხსენებაში უნდა აღინიშნოს ფაქტორები და სიძნელენი, თუ ასეთები არის, რომლებიც გავლენას ახდენენ ამ პაქტის განხორციელებაზე.

3. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს კომიტეტთან კონსულტაციების შემდეგ შეუძლია დაინტერესებულ სპეციალიზებულ დანესებულებებს გაუგზავნოს მოხსენებათა იმ ნაწილების ეგზემპლარები, რომლებიც შეიძლება ეხებოდეს მათი კომპეტენციის სფეროს.

4. კომიტეტი სწავლობს, ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოთა მიერ წარმოდგენილ მოხსენებებს, იგი მონაწილე სახელმწიფოებს უგზავნის თავის მოხსენებებსა და ზოგადი ხასიათის ისეთ შენიშვნებს, რომლებიც მიზანშეწონილად მიაჩნია. კომიტეტს შეუძლია აგრეთვე ეკონომიკურ და სოციალურ საბჭოს გაუგზავნოს ეს შენიშვნები იმ მოხსენებათა ეგზემპლარებთან ერთად, რომლებიც მიიღო ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოებისაგან.

5. ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოებს შეუძლიათ კომიტეტს წარუდგინონ თავიანთი მოსაზრებანი ყველა შენიშვნის გამო, რომლებიც შეიძლება გაკეთდეს ამ მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად.

მუხლი 41

1. ამ მუხლის შესაბამისად პაქტის მონაწილე სახელმწიფოს ყოველთვის შეუძლია განაცხადოს, რომ ცნობს კომიტეტის კომპეტენციას მიიღოს და განიხილოს ცნობა, სადაც რომელიმე მონაწილე სახელმწიფო ამტკიცებს, რომ მეორე მონაწილე სახელმწიფო არ ასრულებს ამ პაქტით ნაკისრ ვალდებულებებს. ამ მუხლით გათვალისწინებული ცნობები კომიტეტმა შეიძლება მიიღოს ან განიხილოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი წარმოადგენენ მონაწილე სახელმწიფომ, რომელმაც გააკეთა განცხადება, რომ ცნობს ამ კომიტეტის კომპეტენციას. კომიტეტი არ იღებს არავიგარ ხნობას, თუ იგი ეხება მონაწილე სახელმწიფოს, რომელსაც არ გაუკეთებია ასეთი განცხადება. ამ მუხლის შესაბამისად მიღებული ცნობები განიხილება შემდეგი პროცედურის მიხედვით;

ა) თუ ამ პაქტის მონაწილე რომელიმე სახელმწიფოს მიაჩნია, რომ მეორე მონაწილე სახელმწიფო არ ახორციელებს ამ პაქტით ნაკისრ ვალდებულებებს, მას შეუძლია წერილობით შეატყობინოს ეს აღნიშნულ მონაწილე სახელმწიფოებს. ამ შეტყობინების მიღების დღიდან სამი თვის მანძილზე მიმდებარე სახელმწიფომ წერილობით უნდა წარუდგინოს ასეთი ცნობის გამომგზავნ სახელმწიფოს განმარტება ან რაიმე სხვა განცხადება, სადაც განმარტებული იქნება ეს საკითხი, რომელიც უნდა შეიცავდეს, რამდენადაც ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილი იქნება,

მითითებას შინაგან პროცედურებისა და ღონისძიებების შესახებ, რომლებიც მიიღო, მიიღებს ან შეიძლება მიიღოს ამ საკითხზე;

b) თუ საკითხი არ გადაწყდა ორივე დაინტერესებული მონაწილე სახელმწიფოსათვის დამაკმაყოფილებლად ექვსი თვის მანძილზე მას შემდეგ, რაც მეორე სახელმწიფომ მიიღო პირველი ცნობა, თითოეულ ამ სახელმწიფოს უფლება აქვს ეს საკითხი გადასცეს კომიტეტს, ამასთან ეს შეატყობინოს კომიტეტსა და მეორე სახელმწიფოს;

c) კომიტეტი მისთვის გადაცემულ საკითხს განიხილავს მხოლოდ მას შემდეგ, რაც დარწმუნდება, რომ საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების შესაბამისად ამ შემთხვევაში სცადეს და ამონურეს ყველა ხელმისაწვდომი შინაგანი საშუალება. ეს წესი არ მოქმედებს ისეთ შემთხვევებში, როცა ამ საშუალებათა გამოყენება გაუმართლებლად ჭიანჭურდება;

d) ამ მუხლით გათვალისწინებული ცნობების განხილვისას კომიტეტი აწყობს დახურულ სხდომას;

e) კომიტეტი c ქვეპუნქტის დებულებათა დაცვით კეთილ სამსახურს უწევს დაინტერესებულ მონაწილე სახელმწიფოებს, რათა მეგობრულად გადაწყვიტონ საკითხი ამ პუნქტით აღიარებული ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების პატივისცემის საფუძველზე;

f) მის განსახილველად გადაცემულ ყველა საკითხზე კომიტეტმა შეიძლება სთხოვოს b ქვეპუნქტში ნახსენებ დაინტერესებულ მონაწილე სახელმწიფოებს წარუდგინონ ყოველნაირი ინფორმაცია, რომელიც საქმეს ეხება;

g) b ქვეპუნქტში ნახსენებ დაინტერესებულ მონაწილე სახელმწიფოებს აქვთ უფლება წარმოდგენილი იყვნენ კომიტეტში საკითხის განხილვისას და გააკეთონ წარდგინებანი ზეპირად ან წერილობით;

h) სტყობინების მიღების დღიდან თორმეტი თვის მანძილზე კომიტეტი b ქვეპუნქტის შესაბამისად წარადგენს მოხსენებას;

i) თუ მიღწეულია გადაწყვეტილება ქვეპუნქტის დებულებათა ფარგლებში, კომიტეტი თავის მოხსენებაში იფარგლება ფაქტებისა და მიღწეული გადაწყვეტილების მოკლე შინაარსით;

ii) თუ გადაწყვეტილება e ქვეპუნქტის დებულებათა ფარგლებში მიღწეული არ არის, მაშინ კომიტეტი თავის მოხსენებაში იფარგლება ფაქტების მოკლე შინაარსით;

მოხსენებას ერთვის დაინტერესებულ მონაწილე სახელმწიფოთა წარმომადგენლების წერილობითი წარდგინებანი და ზეპირ წარდგინებათა ჩანაწერი.

თითოეულ საკითხზე მოხსენება ეგზავნება დაინტერესებულ მონაწილე სახელმწიფოებს.

2. ამ მუხლის დებულებანი ძალაში შედის, როცა ამ პაქტის მონაწილე ათი სახელმწიფო გააკეთებს განცხადებას ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მონაწილე სახელმწიფოები ასეთი განცხადებების

საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტები

დაპირირებას ახდენენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანთან, რომელიც განცხადებების პირებს უგზავნის დანარჩენ მონაწილე სახელმწიფოებს. გენერალური მდივნის შეტყობინებით განცხადების უკან წაღება ყოველთვის შეიძლება. ასეთი მოქმედება ხელს არ უშლის რომელიმე იმ საკითხის განხილვას, რომელიც ამ მუხლის შესაბამისად უკვე გადაცემული ცნობის საგანია. მას შემდეგ, რაც გენერალური მდივანი მიიღებს შეტყობინებას, რომ განცხადება უკან წაიღეს, აღარ მიიღება მონაწილე სახელმწიფოს არავითარი შემდგომი ცნობები, თუ დაინტერესებულ მონაწილე სახელმწიფოს არ გაუკეთებია ახალი განცხადება.

მუხლი 42

1. a) თუ რომელიმე საკითხი, რომელიც კომიტეტს გადაეცემა 41-ე მუხლის შესაბამისად, არ გადაიჭრა დაინტერესებულ მონაწილე სახელმწიფოთათვის დამაკმაყოფილებლად, კომიტეტს შეუძლია დაინტერესებულ მონაწილე სახელმწიფოთა წინასწარი თანხმობით დანიშნოს სპეციალური შემათანხმებელი კომისია (რომელსაც შემდგომში ეწოდება “კომისია”), კომისია კეთილსამსახურს უწევს მონაწილე სახელმწიფოები, რათა მეგობრულად გადაწყვეტონ ესა თუ ის საკითხი ამ პაქტის დებულებათა დაცვის საფუძველზე.

b) კომისიაში შედის დაინტერესებული მონაწილე სახელმწიფოსათვის მისაღები ხუთი პირი. თუ სამი თვის მანძილზე დაინტერესებული მონაწილე სახელმწიფოები ვერ შეთანხმდნენ კომისიის მთელი შემადგენლობისა თუ შემადგენლობის ნაწილის თაობაზე, კომისიის იმ წევრებს, რომელთა დანიშვნის თაობაზე ვერ მიაღწიეს თანხმობას, ირძევენ ფარული კენჭისყრით კომიტეტის წევრთა შემადგენლობიდან კომიტეტის წევრთა ხმების ორ მესამედის უმრავლესობით.

2. კომისიის წევრები მოვალეობას ასრულებენ პირადად. ისინს არ უნდა იყვნენ დაინტერესებული მონაწილე სახელმწიფოების ან იმ სახელმწიფოს მოქალაქეები, რომელიც ამ პაქტის მონაწილე არ არის, ან იმ მონაწილე სახელმწიფოს მოქალაქენი, რომელსაც არ გაუკეთებია განცხადება 41-ე მუხლის შესაბამისად.

3. კომისია ირჩევს თავისი თავჯდომარეს და ადგენს პროცედურეს საკუთარ წესებს.

4. კომისიის სხდომები ჩვეულებრივ ეწყობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ცენტრალურ დანესებულებებსა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჟენევის განყოფილებაში, მაგრამ სხდომები შეიძლება მოეწყოს სხვა მოსახერხებელ ადგილებშიც, რომლებიც კომისიამ შეიძლება განსაზღვროს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანთან და შესაბამის მონაწილე სახელმწიფოებთან კონსულტაციით.

5. 36-ე მუხლით უზრუნველყოფილი სამდივნო ემსახურება აგრეთვე ამ მუხლის საფუძველზე დანიშნულ კომისიებს.

6. კომიტეტის მიერ მიღებული და შესწავლილი ინფორმაცია გადადის

კომისიის განკარგულებაში და კომისიას შეუძლია სთხოვოს დაინტერესებულ მონაწილე სახელმწიფოებს, რომ წარუდგინონ ყოველნაირი ინფორმაცია, რომელიც საჭიროებს.

7. როცა კომისია მთლიანად განიხილავს საკითხს, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, არა უგვიანეს 12 თვისა მას შემდეგ, რაც მას გადაეცა ეს საკითხი, იგი კომიტეტის თავმჯდომარეს წარუდგენს მოხსენებას დაინტერესებული მონაწილე სახელმწიფოებისათვის გასაგზავნად:

a) თა კომისიას არ შეუძლია დაამთავროს ამ საკითხის განხილვა თორმეტი თვის მანძილზე, იგი მოხსენებაში მოკლედ აღნიშნავს რა მდგომარეობაშია ამ საკითხის განხილვა;

b) თუ მიღწეულია ამ საკითხის მეგობრული გადაწყვეტა ამ პაქტით აღიარებული ადამიანის უფლებათა დაცვის საფუძველზე, კომისია ტავის მოხსენებაში სჯერდება ფაქტებსა და მიღწეული გადაწყვეტილების მოკლე შინაარსს;

c) თუ ხ ქვეპუნქტში აღნიშნული გადაწყვეტილება მიღწეული არ არის, კომისიის მოხსენება სეიცავს მის დასკვნებს ფაქტიური ხასიათის ყველა საკითხის გამო, რომლებიც ეხება დაინტერესებულ მონაწილე სახელმწიფოთა დაცვას, და კომისიის მოსაზრებებს ამ საკითხის მეგობრულად მოგვარების შესაძლებლობის შესახებ. ეს მოხსენება აგრეთვე შეიცავს დაინტერესებულ მონაწილე სახელმწიფოთა წამომადგენლების წერილობით წარდგინებას და ზეპირ წარდგინებათა ჩანაწერს;

d) თუ კომისიის მოხსენება წარდგენილია e ქვეპუნქტის შესაბამისად, დაინტერესებული მონაწილე სახელმწიფოები ამ მოხსენების მიღებიდან სამი თვის მანძილზე ატყობინებენ კომიტეტის თავმჯდომარეს, ეთანხმებიან თუ არა კომისიის მოხსენების შინაარსს.

8. ამ მუხლის დებულებანი არ აკნინებენ 41-ე მუხლით გათვალისწინებულ კომიტეტის მოვალეობებს.

9. დაინტერესებული მონაწილე სახელმწიფოები თანაბრად ანაზღაურებენ კომისიის წევრთა ყველა ხარჯს იმ ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად, რომელსაც წარადგენს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი.

10. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს უფლება აქვს, თუ ეს საჭიროა, აანაზღაუროს კომისიის წევრთა ხარჯები, სანამ მათ აანაზღაურებდნენ დაინტერესებული მონაწილე სახელმწიფოები ამ მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად.

მუხლი 43

კომიტეტისა და იმ სპეციალური შეთანხმებული კომისიების წევრებს, რომლებიც შეიძლება დაინიშნოს 42-ე მუხლის შესაბამისად, აქვთ იმ ექსპერტთა შეღავათების, პრივილეგიებისა და იმუნიტეტების უფლება, რომლებსაც გაერთიანებული ერების ორგანიზაცია მივლინებაში გზავნის, როგორც ეს გატვალისწინებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პრივილეგიებისა და იმუნიტეტების კონვენციის შესაბამის

ნანილებში.

მუხლი 44

ამ პაქტის განხორციელების დებულებანი უნდა გამოიყენონ ისე, რომ ზიანი არ მიაყენონ პროცედურებს ადამიანის უფლებათა დარგში, რომლებსაც ითვალისწინებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და სპეციალიზებულ დაწესებულებათა დამფუძნებელი აქტები და კონვენციები, ან მათ შესაბამისად, ეს დებულებანი ხელს არ უშლის ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოებს მიმართონ დავის გადაწყვეტის სხვა პროცედურებს, მათ შორის მოქმედ საერთო და სპეციალურ საერთაშორისო შეთანხმებათა საფუძველზე.

მუხლი 45

ეკონომიკური და სოციალური საბჭოს საშუალებით კომიტეტი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეას წარუდგენს ყოველწლიურ მოხსენებას თავისი მუშაობის შესახებ.

ნანილი V

მუხლი 46

ამ პაქტში არაფერი არ უნდა იყოს განმარტებული როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებათა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და სპეციალიზებულ დაწესებულებათა სხვადასხვა ორგანოს შესაბამის მოვალეობათა განმსაზღვრელ სპეციალიზებულ დაწესებულებათა წესდებების დებულებათა მნიშვნელობის დაკნინება იმ საკითხებში, რომლებსაც ეს პაქტი ეხება.

მუხლი 47

ამ პაქტში არაფერი არ უნდა იყოს განმარტებული, როგორც დაკნინება ყველა ხალხის განუყოფელი უფლებისა და მთლიანად და თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს თავისი ბუნებრივი სიმდიდრეებისა და რესურსებით.

ნანილი VI

მუხლი 48

1. ამ პაქტს შეუძლია ხელი მოაწეროს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრმა ყველა სახელმწიფომ ან ყველა მისი სპეციალიზებული დაწესებულების წევრმა, საერთაშორისო სასამართლოს სტატუსის მონაწილე ყველა სახელმწიფომ და ყველა სხვა სახელმწიფომ, რომლებსაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეა შესთავაზებს ამ პაქტში მონაწილეობას.

2. ეს პაქტი რატიფიცირებული უნდა იყოს. სარატიფიკაციო სიგელები დეპონირდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანთან.

3. ამ პაქტს შეუძლია შეუერთდეს ამ მუხლის 1 პუნქტში აღნიშნული

ყველა სახელმწიფო.

4. შეერთებისათვის საჭიროა შეერთების დოკუმენტის დეპონირება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანთან.

5. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი ატყობინებს ყოველ სახელმწიფოს, რომლებმაც ხელი მოაწერეს ამ პაქტს ან შეუერთდნენ მას, თითოეული სარატიფიკაციო სიგელისა თუ შეერთების დოკუმენტის დეპონირების შესახებ.

მუხლი 49

1. ეს პუნქტი ძალაში შედის სამი თვის შემდეგ იმ დღიდან, როცა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანთან დეპონირებული იქნება ოცდამეთხუთმეტე სარატიფიკაციო სიგელი ან შეერთების დოკუმენტი.

2. თითოეული სახელმწიფოსათვის, რომელიც ამ პაქტის რატიფიკაციას ახდენს ან უერთდება მას ოცდამეთხუთმეტე სარატიფიკაციო სიგელისა ან შეერთების დოკუმენტის დეპონირების შემდეგ, ეს პუნქტი ძალაში შედის სამი თვის შემდეგ იმ დღიდან, როცა დეპონირებული იქნება მისი საკუთარი სარატიფიკაციო სიგელი თუ შეერთების დოკუმენტი.

მუხლი 50

ამ პაქტის დებულებანი ვრცელდება ფედერაციულ სახელმწიფოთა ყველა ნაწილზე რაიმე შეზღუდვისა თუ გამონაკლისის გარეშე.

მუხლი 51

1. ამ პაქტის მონაწილე ყველა სახელმწიფოს სეუძლია შესთავაზოს გასწორებანი და წარუდგინოს ისინი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს, გენერალური მდივანი შემოთავაზებულ გასწორებებს უგზავნის ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოებს და სთხოვს შეატყობინონ, მომხრე არიან თუ არა, რომ მოიწვიონ მონაწილე სახელმწიფოთა კონფერენცია ამ წინადადებათა განსახილველად და მათთვის კენჭის საყრელად თუ მონაწილე სახელმწიფოთა სულ ცოტა მესამედი მხარს დაუჭერს ასევე კონფერენციას, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი იწვევს ამ კონფერენციას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით, ყველა გასწორებას, რომელსაც მიიღებს ამ კონფერენციის დამსწრე და კენჭისყრაში მონაწილე სახელმწიფოთა უმრავლესობა, დასამტკიცებლად წარუდგენენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეას.

2. გასწორებანი ძალაში შედის მას შემდეგ, რაც მათ დაამტკიცებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეა და თავიანთი კონსტიტუციური პროცედურების შესაბამისად მიიღებს ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოთა უმრავლესობა — ორი მესამედი.

3. გასწორებათა ძალაში შესვლის შემდეგ ისინი სავალდებულო ხდება იმ მონაწილე სახელმწიფოებისათვის, რომლებმაც მიიღეს, ხოლო სხვა

საართაშორისო სამართლებრივი დოკუმენტაჲი

მონაწილე სახელმწიფოებისათვის სავალდებულო რჩება ამ პაქტის დებულებანი და მათ მიერ მიღებული ყველა წინა გასწორება.

მუხლი 52

48-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად შეტყობინებისგან დამოუკიდებლად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი ატყობინებს იმავე მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულ ყველა სახელმწიფოს შემდეგს:

a) 48-ე მუხლის თანახმად ხელმოწერებს, რატიფიკაციებისა და შეერთებების შესახებ;

b) 49-ე მუხლის თანახმად ამ პაქტის ძალაში შესვლის თარიღს და 51-ე მუხლის თანახმად ყოველგვარი გასწორების ძალაში შესვლის თარიღს.

მუხლი 53

1. ეს პაქტი, რომლის ინგლისური, ესპანური, ჩინური, რუსული და ფრანგული ტექსტები ერთნაირად ავთენტურია, შესანახად უნდა გადაეცეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის არქივს.

2. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი ამ პაქტის დამოწმებულ პირებს უგზავნის 48-ე მუხლში აღნიშნულ ყველა სახელმწიფოს.



საართაშორისო პაქტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ

პრეამბულა

ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები, რომლებიც ითვალისწინებენ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებით გამოცხადებული პრინციპები შესაბამისად ადამიანთა ოჯახის ყველა წევრისათვის დამახასიათებელი ღირსების, მათი თანასწორი და განუყოფელი უფლებების აღიარება არის თავისუფლების, სამართლიანობისა და საყოველთაო მშვიდობის საფუძველი,

აღიარებენ, რომ ეს უფლებები გამომდინარეობენ ადამიანისათვის დამახასიათებელი ღირსებიდან,

აღიარებენ, რომ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის თანახმად, თავისუფალი, შიშისა და გაჭირვებისაგან თავისუფალი ადამიანის პიროვნების იდეალის განხორციელება შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ შეიქმნა ისეთი პირობები, როცა თითოეული შეძლებს ისარგებლოს თავისი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებებით, ასევე

როგორც თავისი პოლიტიკური და ეკონომიკური უფლებებით, ითვალისწინებენ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებით სახელმწიფოები ვალდებული არიან წაახალისონ ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა საყოველთაო პატივისცემა და დაცვა, ითვალისწინებენ, რომ თითოეული ადამიანი, აქვს რა ვალდებულებანი სხვა ადამიანებისა და იმ კოლექტივის მიმართ, რომელსაც ეკუთვნის, უნდა ილენოდეს ამ პაქტით აღიარებული უფლებათა წახალისებისა და დაცვისათვის,

შეთანხმდნენ შემდეგი მუხლების გამო:

ნაწილი I
მუხლი 1*

1. ყველა ხალხს აქვს თვითგამორკვევის უფლება. ამ უფლების ძალით ისინი თასიფლად აწესდენ თავიანთ პოლიტიკურ სტატუსს და თავისუფლად უზრუნველყოფენ თავიანთ ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ განვითარებას.

2. ყველა ხალხს თავისი მიზნების მისაღწევად შეუძლია თავისუფლად მოიხმაროს თავისი ბუნებრივი სიმდიდრეები და რესურსები ისე, რომ ზიანი არ მიაყენოს ურთიერთსარგებლიანობის პრინციპებზე დაფუძნებული საერთაშორისო სამართლიდან გამომდინარე რაიმე ვალდებულებას. არც ერთ ხალხს არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება წაერთვას საარსებო სახსრები, რომლებიც მას ეკუთვნის. 3. ამ პაქტის მონაწილე ყველა სახელმწიფო, მათ შორის ის სახელმწიფოები, რომლებსაც ეკისრებათ პასუხისმგებლობა არათვითმმართველი და სამეურნეო ტერიტორიების მართვისათვის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების შესაბამისად ხელს უნდა უწყობდნენ თვითგამორკვევის უფლების განხორციელებას და პატივს სცემენ ამ უფლებას.

ნაწილი II
მუხლი 2

1. ამ პაქტის მონაწილე თითოეული სახელმწიფო კისრულობს ვალდებულებას ინდივიდუალური წესით და საერთაშორისო დახმარებისა და თანამშრომლობის, კერძოდ, ეკონომიკურ და ტექნიკურ დარგებში საერთაშორისო დახმარებისა და თანამშრომლობის წესით, არსებული რესურსების მაქსიმალურ ფარგლებში მიიღოს ზომები, რათა თანდათან უზრუნველყოს ამ პაქტით აღიარებული უფლებების სრული განხორციელება ყველა მართებული ამუალებით, მათ შორის, კერძოდ, საკანონმდებლო ღონისძიებათა მიღებით.

2. ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას

* საქართველოს პარლამენტი აღიარებს პირველ მუხლში ჩამოყალიბებულ დებულებებს იმ ინტერპრეტაციით, რომელიც აისახა ადამიანის უფლებათა ვენის 1993 წლის დეკლარაციაში (პუნქტი 2).

საართაშორისო სამართლებრივი დოკუმენტები

უზრუნველყონ, რომ ამ პაქტით გამოცხადებული უფლებები განხორციელდება რაიმე დისკრიმინაციის გარეშე, როგორცაა დისკრიმინაცია რასის, ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა მრწამსის, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობის, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადებისა თუ სხვა გარემოების გამო.

3. განვითარებად ქვეყნებს შეუძლიათ ადამიანის უფლებებისა და თავიანთი სახალხო მეურნეობის სათანადო გათვალისწინებით განსაზღვრონ, თუ რამდენად უზრუნველყოფენ ამ პაქტით აღიარებულ უფლებებს იმ პირთათვის, რომლებიც მათი მოქალაქენი არ არიან.

მუხლი 3

ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას უზრუნველყონ მამაკაცებისა და ქალების თანასწორი უფლებები ისარგებლონ ამ პაქტით გათვალისწინებული ყველა ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებით.

მუხლი 4

ამ პაქტით მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ, რომ იმ უფლებათა გამოყენების მხრივ, რომლებსაც ესა თუ ის სახელმწიფო უზრუნველყოფს ამ პაქტის შესაბამისად, ამ სახელმწიფოს შეუძლია შემოიღოს ამ უფლებათა მხოლოდ ისეთი შეზღუდვები, რომლებსაც განსაზღვრავს კანონი, და მხოლოდ იმდენად, რამდენად ეს შეეთავსება აღნიშნულ უფლებათა ბუნებას, და მხოლოდ იმ მიზნით, რომ ხელი შეუწყოს საერთო კეთილდღეობას დემოკრატიულ საზოგადოებაში.

მუხლი 5

1. ამ პაქტში არ შეიძლება არაფრის განმარტება ისე, თითქოს ნიშნავდეს, რომ რომელიმე სახელმწიფოს, რომელიმე ჯგუფს ან რომელიმე პირს ჰქონდეს უფლება ეწოდეს რაიმე საქმიანობას ან სჩადიოდეს რაიმე მოქმედებას, რომელთა მიზანია ამ პაქტით აღიარებული რომელიმე უფლებისა თუ ვალდებულების მოსპობა ან მათი შეზღუდვა უფრო მეტად, ვიდრე ეს პაქტი ითვალისწინებს.

2. ადამიანის რაიმე ძირითადი უფლებები, რომლებიც აღიარებულია ამ კანონის, კონვენციების, წესებისა თუ ზნე-ცვეულებების ძალით ან არსებობს რომელიმე ქვეყანაში, არ შეიძლება შეიზღუდოს ან დაკნინდეს ამ საბაბით, რომ ამ პაქტში ასეთი უფლებები აღიარებული არ არის ან აღიარებულია ნაკლები მოცულობით.

ნაწილი III

მუხლი 6

1. ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ შრომის უფლებას, რომელიც შეიცავს თითოეული ადამიანის უფლებას საარსებო სახსრები მოიპოვოს საკუთარი შრომით, რომელსაც თავისუფლად აირჩევს ან თავისუფლად დათანხმდება ან განახორციელებენ სათანადო ღონისძიებებს ამ უფლების უზრუნველყოფისათვის.

2. ამ პაქტით მონაწილე სახელმწიფოთა ღონისძიებანი ამ უფლების

სრული განხორციელების მიზნით შეიცავენ პროფესიულ-ტექნიკური სწავლებისა და მომზადების პროგრამებს, განუხრელი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარებისა და სრული სანარმოო დასაქმების გზებსა და მეთოდებს ისეთ პირობებში, რომლებიც უზრუნველყოფენ ადამიანის ძირითადი პოლიტიკურ და ეკონომიკურ თავისუფლებებს.

მუხლი 7

1. ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ თითოეულის უფლებას ჰქონდეს შრომის სამართლიანი და ხელშემწყობი პირობები, მათ შორის, კერძოდ:

a) ანაზღაურება, რომელიც ყველა მშრომელისათვის, როგორც მინიმუმს, უზრუნველყოფს;

ბ) სამართლიანი ხელფასს და თანაბარ ანაზღაურებას ტოლფასოვანი შრომისათვის რაიმე განსხვავების გარეშე, ამასთან, კერძოდ, ქალებისათვის გარანტირებული უნდა იყოს შრომის ისეთი პირობები, რომლებიც მამაკაცთა შრომის პირობებზე უარესი არ იქნება და თანაბარი ანაზღაურება თანაბარი შრომისათვის;

გ) მათი და მათი ოჯახების დამაკმაყოფილებელი არსებობას ამ პაქტის დებულებათა შესაბამისად;

დ) უსაფრთხოებისა და ჰიგიენის მოთხოვნების შესაბამისი შრომის პირობები;

ე) ყველასათვის ერთნაირი შესაძლებლობა სამუშაოზე დანიშნულდეს შესაბამის უფრო მაღალ საფეხურზე მხოლოდ და მხოლოდ შრომითი სტაჟისა და კვალიფიკაციის საფუძველზე;

ვ) დასვენება, თავისუფალი დრო და სამუშაო დროის გონივრული შეზღუდვა და პერიოდული ანაზღაურებული შვებულება, ისევე როგორც ანაზღაურება უქმე დღეებისათვის.

მუხლი 8

1. ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას უზრუნველყონ:

a) თითოეული ადამიანის უფლება თავისი ეკონომიკური და სოციალური ინტერესების განხორციელებისა და დაცვისათვის შექმნას პროფესიული კავშირები და შევიდეს ასეთ კავშირებში თავისი არჩევანით და ერთადერთი პირობით, რომ შეასრულებს შესაბამისი ორგანიზაციის წესებს. აღნიშნული უფლების გამოყენება არ ექვემდებარება არავითარ შეზღუდვებს იმ შეზღუდვების გარდა, რომლებიც ცათვალისწინებულია კანონით და დემოკრატიულ საზოგადოებაში საჭიროა სახელმწიფო უშიშროებისა თუ საზოგადოებრივი წესრიგის ინტერესებისათვის ან სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად;

ბ) პროფესიული კავშირების უფლება შექმნან ეროვნული ფედერაციები ან კონფედერაციები და ამ უკანასკნელთა უფლება შექმნან საერთაშორისო პროფესიული ორგანიზაციები ან შეუერთდნენ მათ;

გ) პროფესიული კავშირების უფლება იმუშაონ შეუფერხებლად

საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტები

რაიმე შეზღუდვების გარეშე იმ შეზღუდვების გარდა, რომელიც გათვალისწინებულია კანონით და საჭიროა დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო უშიშროებისა თუ საზოგადოებრივი ნებსრიგის ინტერესებისათვის ან სხვათა უფლებებებისა და თავისუფლების დასაცავად;

d) გაფიცვების უფლება იმ პირობით, რომ ეს უფლება ხორციელდებოდეს თითოეული ქვეყნის კანონების შესაბამისად.

2. ეს მუხლი არ ეწინააღმდეგება იმას, რომ კანონიერი შეზღუდვები შემოიღონ ამ უფლებების გამოყენებაზე იმ პირობა მიერ, რომლებიც შედიან სახელმწიფოა შეიარაღებული ძალების, პოლიციისა თუ ადმინისტრაციის შემადგენლობაში.

3. ამ მუხლში არაფერია არ აძლევს უფლებას იმ სახელმწიფოებს, რომლებიც მონაწილეობენ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 1948 წლის კონვენციაში ასოციაციათა თავისუფლებისა და ორგანიზაციის უფლების დაცვის შესახებ, მიიღონ საკანონმდებლო აქტები აღნიშნული კონვენციით გათვალისწინებული გარანტიების საზიანოდ ან გამოიყენონ კანონი ისე, რომ ზიანი მიაყენონ ამ გარანტიებს.

მუხლი 9

ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ თითოეული ადამიანის უფლებას სოციალურ უზრუნველყოფაზე, სოციალურ დაზღვევის ჩათვლით.

მუხლი 10

ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ, რომ:

1. ოჯახს, რომელიც საზოგადოების ბუნებრივი და ძირითადი უჯრედი, უნდა ჰქონდეს შესაძლებლობისდაგვარად ყველაზე ფართო დაცვა და დახმარება, განსაკუთრებით მისი შექმნის დროს და სანამ ეკისრება პასუხისმგებლობა და ზრუნვა ბავშვებისა და მათი აღზრდისათვის, ვიდრე ისინა დამოუკიდებელი გახდებოდნენ. ქორწინება უნდა ხდებოდეს მექორწინეთა თავისუფალი თანხმობით.

2. განსაკუთრებული დაცვა უნდა ჰქონდეთ დედებს მშობიარობამდე და მის შემდეგ გონივრული პერიოდის მანძილზე. ამ პერიოდის მანძილზე მომუშავე დედებს უნდა ეძლეოდეს ანაზღაურებული შვებულება ან შვებულება, რომლის დროს მისცემენ საკმარის დახმარებას სოციალური უზრუნველყოფის სახით.

3. დაცვისა და დახმარების განსაკუთრებული ღონისძიებანი უნდა ხორციელდებოდეს ყველა ბავშვისა და მოზარდის მიმართ ოჯახური წარმოშობის ნიშნისა თუ რაიმე სხვა ნიშნის მიხედვით რაიმე დისკრიმინაციის გარეშე. ბავშვები და მოზარდები დაცული უნდა იყვნენ ეკონომიკური და სოციალური ექსპლუატაციისაგან. მათი ზნეობისა და ჯანმრთელობისათვის მავნე ან სიცოცხლისათვის საშიშ ან სხვა იმ დარგში მათი შრომის გამოყენება, რომელსაც შეუძლია ავნოს მათი ნორმალურ განვითარებას, კანონით უნდა ისჯებიდეს, გარდა ამისა, სახელმწიფოებმა უნდა დაანესონ ასაკობრივი საზღვრები, რომელთა ქვემოთ ბავშვთა

ფასიანი შრომის გამოყენება აკრძალულია და კანონით ისჯება.

მუხლი 11

1. ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ თითოეულის უფლებას ჰქონდეს სათანადო კვება, ტანსაცმელი და ბინა, აგრეთვე უფლებას განუწყვეტილ იუმჯობესებდეს ცხოვრების პირობებს. პაქტის მონაწილე სახელმწიფოები, რომლებიც აღიარებენ, რომ ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა აქვს თავისუფალ თანხმობაზე დაფუძნებულ საერთაშორისო თანამშრომლობას, მიიღებენ სათანადო ზომებს ამ უფლების განხორციელების უზრუნველყოფისათვის.

2. ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ, რა თითოეული ადამიანის ძირითად უფლებას იყოს თავისუფალი შიმშილისგან, ინდივიდუალურად და საერთაშორისო თანამშრომლობის წესით უნდა ახორციელებდნენ საჭირო ღონისძიებებს, მათ შორის ასრულებდნენ კონკრეტულ პროგრამებს, იმისათვის, რომ:

a) გააუმჯობესონ სურსათის წარმოების, შენახვისა და განაწილების მეთოდები ტექნიკური მეცნიერული ცოდნის ფართოდ გამოყენების, კვების პრინციპების შესახებ ცოდნის გავრცელებისა და აგრარული სისტემების ისეთი სრულყოფისა და რეფორმის გზით, რომ მიაღწიონ ბუნებრივი რესურსების ყველაზე ეფექტიან ათვისებასა და გამოყენებას; და

b) უზრუნველყონ სურსათის მსოფლიო მარაგის სამართლიანი განაწილება როგორც სურსათის იმპორტიორი, ისე ექსპორტიორი ქვეყნების მოთხოვნილებათა შესაბამისად და პრობლემების გათვალისწინებით.

მუხლი 12

1. ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ თითოეული ადამიანის უფლებას ჰქონდეს ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის უმაღლესი დონე.

2. ღონისძიებანი, რომლებიც ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა განახორციელონ ამ უფლების სრული გამოყენებისათვის, შეიცავენ ღონისძიებებს, რომლებიც საჭიროა:

a) მკვდრადმოხადობისა და ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირებისა და ბავშვის ჯანსაღი განვითარების უზრუნველყოფისათვის;

b) გარემოს ჰიგიენისა და მრეწველობაში შრომის ჰიგიენის ყველა ასპექტის გაუმჯობესებისათვის;

c) ეპიდემიური, ენდემური, პროფესიული და სხვა დაავადებების თავიდან აცილებისა და მათს წინააღმდეგ ბრძოლისათვის;

d) ისეთი პირობების შექმნისათვის, რომლებიც ყველასათვის უზრუნველყოფენ სამედიცინო დახმარებისა და სამედიცინო მოვლას ავადმყოფობის შემთხვევაში.

მუხლი 13

1. ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ თითოეული ადამიანის განათლების უფლებას. ისინი თანახმა არიან, რომ განათლება მიზნად უნდა ისახავდეს ადამიანის პიროვნებისა და მისი ღირსების

საართაშორისო სამართლებრივი დოკუმენტაჲი

შეგნების სრულ განვითარებას და უნდა განამტკიცებდეს ადამიანის უფლებისა და ძირითადი თავისუფლებების პატივისცემას. შემდეგ ისინი თანახმა არიან, რომ განათლებამ ყველას უნდა მისცეს შესაძლებლობა იყოს თავისუფალი საზოგადოების მონაწილე, ხელს უწყობდეს ყველა ერისა და ყველა რასობრივი, ეთნიკური და რელიგიური ჯგუფების ურთიერთგაგებას, შემწყნარებლობასა და მეგობრობას და ეხმარებორეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მუშაობას მშვიდობის შენარჩუნებისათვის.

2. ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ, რომ ამ უფლების სრულად განხორციელებისათვის:

a) დანყებითი განათლება უნდა იყოს ყველასათვის სავალდებულო და უფასო;

b) საშუალო განათლება და მისი სხვადასხვა ფორმა, მათ შორის პროფესიულ-ტექნიკური სამუშაო განათლება, უნდა იყოს ღია და ყველასათვის მისაწვდომი ყველა საჭირო ღირსძიებათა განხორციელების, და კერძოდ, უფასო განათლების თანდათან შემოღების გზით;

c) უმაღლესი განათლება უნდა გახდეს ერთნაირად მისაწვდომი ყველასათვის თითოეულის ნიჭის საფუძველზე, ყველა საჭირო ღირსძიების განხორციელების, და კერძოდ, უფასო განათლების თანდათან შემოღების გზით;

d) შესაძლებლობისადაგვარად უნდახდებოდეს ელემენტარული განათლების წახალისება ან ინტენსიფიკაცია იმათთვის, ვისაც არ გაუვლია ან არ დაუმთავრებია დანყებითი განათლების სრული კურსი;

e) აქტიურად უნდა ხორციელდებოდეს ყველა საფეხურის სკოლების ქსელის განვითარება, უნდა დანესდეს სტიპენდიების დამაკმაყოფილებელი სისტემა და განუწყვეტილად უმჯობესდებოდეს მასწავლებელთა პერსონალის მატერიალური პირობები.

3. ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას პატივი სცენ მშობლებისა და, შესაბამის შემთხვევებში, კანონიერი მეურვეების თავისუფლებას თავიანთი ბავშვებისათვის აირჩიონ არა მარტო სახელმწიფო ხელისუფალთა მიერ გახსნილი სკოლები, არამედ აგრეთვე სხვა სკოლები, რომლებიც შეესაბამებიან განათლების მოთხოვნების იმ მინიმუმს, რომელიც შეიძლება დაადგინოს ან დაამტკიცოს სახელმწიფომ, და უზრუნველყონ თავიანთი ბავშვების რელიგიური და ზნეობრივი აღზრდა თავიანთი საკუთარი რწმენის შესაბამისად.

4. ამ მუხლის არც ერთ ნაწილი არ შეიძლება განმარტებული იყოს ისე, რომ დაკნინდეს ცალკეულ პირთა და დანესწულებათა თავისუფლება შექმნან სასწავლებლები და უხელმძღვანელონ მათ იმ უცვლელი პირობით, რომ დაიცავენ ამ მუხლის 1 პუნქტში ჩამოყალიბებულ პრინციპებს და მოთხოვნას, რომ ასეთ სასწავლებლებში მიღებული განათლება შეესაბამებოდეს მოთხოვნების იმ მინიმუმს, რომელიც შეიძლება დაანესოს სახელმწიფომ.

მუხლი 14

ამ პაქტის მონაწილე თითოეული სახელმწიფო, რომელმაც პაქტის მონაწილედ შესვლის დროისათვის თავისი მეტროპოლიის ტერიტორიასა და მის იურისდიქციაში მყოფ სხვა ტერიტორიებზე ვერ დაანესა სავალდებულო უფასო დანყებითი განათლება, კისრულობს ვალდებულებას ორი წლის მანძილზე შეიმუშაოს და მიიღოს ღონისძიებათა ვრცელი გეგმა, რათა თანდათან — წლების გონევერული რაოდენობის მანძილზე, რაც აღნიშნული უნდა იყოს ამ გეგმაში, - თანდათან განახორციელოს სავალდებულო უფასო საყოველთაო განათლების პრინციპი.

მუხლი 15

1. ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ თითოეული ადამიანის უფლებას:

a) მონაწილეობდეს კულტურულ ცხოვრებაში;

b) სარგებლობდეს მეცნიერული პროგრესის შედეგებით და პრატიკულად იყენებდეს მათ;

გ) სარგებლობდეს იმ მორალური და მატერიალური ინტერესების დაცვით, რომლებიც ჩნდება ყველა იმ მეცნიერულ, ლიტერატურულ თუ მხატვრულ ნაშრომთა დაკავშირებით, რომელთა ავტორია.

2. ღონისძიებანი, რომლებიც უნდა მიიღონ ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოებმა ამ უფლების სრული განხორციელებისათვის, შეიცავენ იმ ღონისძიებებს, რომლებიც საჭიროა მეცნიერებისა და კულტურის მიღწევათა დაცვის, განვითარებისა და გაერცელებისათვის.

3. ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას პატივი სცენ თავისუფლებას, რომელიც უთუოდ აუცილებელია მეცნიერული კვლევისა და შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის.

4 ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ, რომ დიდად სასარგებლოა მეცნიერებისა და კულტურის დარგებში საერთაშორისო კონტაქტებისა და თანამშრომლობის ნახალისება და განვითარება.

ნაწილი IV

მუხლი 16

1. ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას პაქტის ამ ნაწილის შესაბამისად წარადგინონ მოხსენებანი თუ რა ღონისძიებებს ახორციელებენ და რა პროგრესს მიაღწიეს ამ პაქტით აღიარებული უფლებების დაცვის გზაზე.

2. ა) ყველა მოხსენებას წარუდგენენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს, რომელიც მათს ეგზემპლარებს განსახილველად უგზავნის ეკონომიკურ და სოციალურ საბჭოს ამ პაქტის დებულებათა შესაბამისად;

ბ) გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი სპეციალიზებულ დაწესებულებებს უგზავნის აგრეთვე ამ პაქტის მონაწილე იმ სახელმწიფოთა მოხსენებებს ან მოხსენებათა რომელიმე შესაბამის ნაწილს, რომლებიც ამ სპეციალიზებულ დაწესებულებათა წევრების

საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტები

არიან, რამდენადაც ასეთი მოხსენებები ან მოხსენებათა ნაწილები მათი კონსტრუქციური აქტების შესაბამისად ეხება ზემოაღნიშნულ დანესებულებათა მოვალეობების ფარგლებში შემავალ რომელიმე საკითხს.

მუხლი 17

1. ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები თავიანთ მოხსენებებს წარადგენენ ეტაპობრივად იმ პროგრამის შესაბამისად, რომელიც ეკონომიკურმა და სოციალურმა საბჭომ ერთი წლის მანძილზე ამ პაქტის ძალაში შესვლის შემდეგ უნდა დაადგინოს მონაწილე სახელმწიფოებთან და დაინტერესებულ სპეციალიზებულ დანესებულებებთან კონსულტაციით.

2. მოხსენებაში შეიძლება აღინიშნოს ფაქტორები და სიძნელეები, რომლებიც გავლენას ახდენენ ამ პაქტით დაკისრებულ მოვალეობათა შესრულების დონეზე.

3. თუ შესაბამისი ცნობები გაერთიანებული ერების ორგანიზაციას ან რომელიმე სპეციალიზებულ დანესწვლებას ადრე შეატყობინა ამ პაქტის მონაწილე რომელიმე სახელმწიფომ, საჭირო აღარ არის ამ ცნობების განმეორება და საკმარისი იქნება ასეთნაირად შეტყობინებული ცნობების ზუსტი დამონშება.

მუხლი 18

ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დარგში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებით დაკისრებულ მოვალეობათა შესასრულებლად ეკონომიკურ და სოციალურ საბჭოს შეუძლია შეუთანხმდეს სპეციალიზებულ დანესწვლებებს იმის თაობაზე, რომ წარუდგინონ მოხსენებანი ამ პაქტის იმ დებულებათა შესრულების გზაზე მიღწეული პროგრესის შესახებ, რომლებიც განეკუთვნება მათი საქმიანობას სფეროს. ეს მოხსენებები შეიძლება შეიცავდნენ ასეთ განხორციელების შესახებ მათი კომპეტენტური ორგანოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა და რეკომენდაციათა დანვრილებით ცნობებს.

მუხლი 19

ეკონომიკურ და სოციალურ საბჭოს შეუძლია ადამიანის უფლებათა კომისიას განსახილველად და ზოგადი რეკომენდაციების მისაცემად ან შესაბამის შემთხვევებში ცნობად გადასცეს მოხსენებები, რომლებიც ეხება ადამიანის უფლებებს და რომლებსაც სახელმწიფოები წარადგენენ მე-16 და მე-17 მუხლების შესაბამისად, აგრეთვე მოხსენებები, რომლებიც ეხება ადამიანის უფლებებს და მათ სპეციალიზებული დანესებულებანი წარადგენენ მე-18 მუხლის შესაბამისად.

მუხლი 20

ამ პაქტის მონაწილე დაინტერესებულ სახელმწიფოებსა და სპეციალიზებულ დანესებულებებს მე-19 მუხლის თანახმად შეუძლიათ ეკონომიკურ და სოციალურ საბჭოს წარუდგინონ შენაშვნები ყველა ზოგადი რეკომენდაციის გამო ან ადამიანის უფლებათა კომისიის რომელიმე მოხსენებასა თუ რომელიმე სხვა დოკუმენტში მითითებული ასეთი

ზოგადი რეკომენდაციის გამო.

მუხლი 21

ეკონომიკურ და სოციალურ საბჭოს შეუძლია დროდადრო წარუდგინოს გენერალურ ასამბლეას მოხსენებები, რომლებშიც იქნება ზოგადი ხასიათის რეკომენდაციები და ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოებისა და სპეციალიზებული დაწესებულებებისაგან მიღებული იმ ცნობების მოკლე შინაარსი, რომლებიც ეხება ამ პაქტით აღიარებული უფლებების საყოველთაო დაცვის უზრუნველყოფისათვის განხორციელებულ ღონისძიებებსა და მიღწეულ შედეგებს.

მუხლი 22

ეკონომიკურ და სოციალურ საბჭოს შეუძლია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სხვა ორგანოების, მათ დამხმარე ორგანოებისა და ტექნიკური დახმარების სპეციალიზებულ დაწესებულებათა ყურადღება მიაქციოს პაქტის ამ ნაწილში აღნიშნულ მოხსენებებთან დაკავშირებით წამოჭრილ ყველა საკითხს, რომლებიც შესაძლოა სასარგებლო იყოს ამ ორგანოებისათვის, როცა თითოეულ მათგანს თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოაქვს გადამწყვეტილებანი, თუ რამდენად მიზანშეწონილია საერთაშორისო ღონისძიებანი, რომლებსაც შეუძლიათ ხელი შეუწყონ ამ პაქტის თანდათან და ეფექტიან ხორცშესხმას.

მუხლი 23

ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები შეთანხმდნენ, რომ ამ პაქტით აღიარებული უფლებების განხორციელების ხელშემწყობ საერთაშორისო ღონისძიებებს განეკუთვნება ისეთი საშუალებების გამოყენება, როგორცაა კონვენციათა დადება, რეკომენდაციათა მიღება, ტექნიკური დახმარების განევა და კონსულტაციების მიზნით რეგიონალური თათბირებისა და ტექნიკური თათბირების მოწვევა, აგრეთვე დაინტერესებულ მთავრობებთან ერთად ორგანიზებული გამოკვლევები.

მუხლი 24

ამ პაქტში არაფერი არ უნდა იყოს განმარტებული როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და სპეციალიზებული დაწესებულებების სხვადასხვა ორგანოს შესაბამის მოვალეობათა განსაზღვრულ სპეციალიზებულ დაწესებულებათა წესდებების დებულებათა მნიშვნელობის დაკნინება იმ საკითხებში, რომლებსაც ეხება ეს პაქტი.

მუხლი 25

ამ პაქტში არაფერი არ უნდა იყოს განმარტებული როგორც დაკნინება ყველა ხალხის განუყოფელი უფლება მთლიანად და თავისუფლად ფლობდნენ და სარგებლობდნენ თავიანთი ბუნებრივი სიმდიდრეებითა და რესურსებით.

ნაწილი V

მუხლი 26

1. ამ პაქტს შეუძლია ხელი მოაწეროს გაერთიანებული ერების ორგა-

საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტები

ნიზაციის წევრმა ყველა სახელმწიფომ ან ყველა მისი სპეციალიზებული დანესებულების წევრმა, საერთაშორისო სასამართლოს სტატუსის მონაწილე ყველა სახელმწიფომ და ყველა სხვა სახელმწიფომ, რომლებსაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეა შესთავაზებს ამ პაქტში მონაწილეობას.

2. ეს პაქტი რატიფიცირებული უნდა იყოს. სარატიფიკაციო სიგელე-ბი დეპონირდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანთან.

3. ამ პაქტთან შეერთება შეუძლია ამ მუხლის I პუნქტში აღნიშნულ ყველა სახელმწიფოს.

4. შეერთებისათვის საჭიროა შეერთების დოკუმენტის დეპონირება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანთან.

5. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი აცყობინებს ყველა სახელმწიფოს, რომლებმაც ხელი მოაწერეს ამ პაქტს ან შეუერთდნენ მას, თითოეული სარატიფიკაციო სიგელისა თუ შეერთე-ბის დოკუმენტის დეპონირების შესახებ.

მუხლი 27

1. ეს პაქტი ძალაში შედის სამი თვის შემდეგ იმ დღიდან, როცა გაერ-თიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანთან დაპონირე-ბული იქნება ოცდამეთხუთმეტე სარატიფიკაციო სიგელი ან შეერთების დოკუმენტი.

2. თითოეული სახელმწიფოსათვის, რომელიც ამ პაქტის რატიფი-კაციას ახდენს ან უერთდება მას ოცდამეთხუთმეტე სარატიფიკაციო სიგელისა ან შეერთების დოკუმენტის დეპონირების შემდეგ, ეს პაქტი ძალაში შედის სამი თვის შემდეგ იმ დღიდან, როცა დეპონირებული იქნება მისი სარატიფიკაციო სიგელი თუ შეერთების დოკუმენტი.

მუხლი 28

ამ პაქტის დებულებანი ვრცელდება ფედერაციულ სახელმწიფოთა ყველა ნაწილზე რაიმე შეზღუდვა თუ გამოკლების გარეშე.

მუხლი 29

1. ამ პაქტის მონაწილე ყველა სახელმწიფოს შეუძლია შესთავაზოს გასწორებანი და წარუდგინოს ისინი გაერთიანებული ერების ორგანი-ზაციის გენერალურ მდივანს. გენერალური მდივანი შემოთავაზებულ გასწორებებს უგზავნის ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოებს და სთხოვს შეატყობინონ, მომხრე არიან თუ არა, რომ მოიწვიონ მონაწილე სახელმ-წიფოთა კონფერენცია ამ წინადადებათა განსახილველად და კენჭის საყრელად. თუ მონაწილე სახელმწიფოთა სულ ცოტა მესამედი მხარს დაუჭერს ასეთ კონფერენციას, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი იწვევს კონფერენციას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით. ყველა გასწორებას, რომელსაც მიიღებს ამ კონფერენციის დამსწრე და კენჭისყრაში მონაწილე სახელმწიფოთა უმრავლესობა, დასამტკიცებლად წარუდგენენ გაერთიანებული ერების

ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეას.

2. გასწორებანი ძალაში შედის მას შემდეგ, რაც მათ დაამტკიცებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეა და თავიანთი კონსტიტუციური პროცედურების შესაბამისად მიიღებს ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოთა უმრავლესობა — ორი მესამედი.

3. მას შემდეგ, რაც გასწორებანი ძალაში შევა, ისინი სავალდებულო ხდება იმ მონაწილე სახელმწიფოებისათვის, რომლებმაც მიიღეს, ხოლო სხვა მონაწილე სახელმწიფოებისათვის სავალდებულო რჩება ამ პაქტის დებულებანი და მათ მიერ მიღებული ყველა წინა გასწორება.

მუხლი 30

26-ე მუხლის მე-5 პუნქტი თანახმად შეტყობინებისგან დამოუკიდებლად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი ატყობინებს იმავე მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულ ყველა სახელმწიფოს შემდეგს:

a) ხელმოწერების, რატიფიკაციებისა და შეერთებების შესახებ 26-ე მუხლის თანახმად;

b) ამ პაქტის ძალაში შესვლის თარიღს და 26-ე მუხლის თანახმად ყოველგვარი გასწორების ძალაში შესვლის თარიღს 27-ე მუხლის თანახმად.

მუხლი 31

1. ეს პაქტი, რომლის ინგლისური, ესპანური, ჩინური, რუსული და ფრანგული ტექსტები ერთნაირად ავთენტიკურია, შესანახად უნდა გადაეცეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის არქივს.

2. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი ამ პაქტის დამონმებულ პირებს უგზავნის 26-ე მუხლში აღნიშნულ ყველა სახელმწიფოს.



საერთაშორისო კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ

წინამდებარე კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები,

თვლიან რა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება ემყარება თითოეული ადამიანის ღირსებისა და თანასწორობის პრინციპებს და, რომ ორგანიზაციის მონაწილე სახელმწიფოებმა ივალდებულეს იმოქმედონ დამოუკიდებლად და ერთობლივად გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან ამ ორგანიზაციის ერთ-ერთი მოზნის მისაღწევად, რომელიც მდგომარეობს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა საყოველთაო პატივისცემისა და დაცვის ხელშეწყობასა და განვითარებაში,

განურჩევლად რასისა, სქესისა, ენისა და რელიგიისა,

თვლიან რა, რომ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია აცხადებს, რომ ყოველი ადამიანი იბადება თავისუფალი და თანასწორი თავის ღირსებებით და უფლებებით და, რომ ნებისმიერი ადამიანი უნდა სარგებლობდეს მასში გამოცხადებული უფლებებითა და თავისუფლებებით, რაიმე განსხვავების გარეშე, კერძოდ კი განურჩევლად რასისა, კანის ფერიას და ეროვნული წარმომავლობისა,

თვლიან რა, რომ ყოველი ადამიანი თანასწორია კანონის წინაშე და აქვს ნებისმიერი დისკრიმინაციისაგან ან ასეთი დისკრიმინაციის წაქეზებისაგან კანონით დაცვის უფლება,

თვლიან რა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ დაგმო კოლონიალიზმი და მასთან დაკავშირებული დისკრიმინაციისა და სეგრეგაციის ნებისმიერი პრაქტიკა, სადაც და რა ფორმიტაც არ უნდა ვლინდებოდეს იგი და, რომ კოლონიური ქვეყნებისა და ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ 1960 წლის 14 დეკემბრის დეკლარაციამ (გენერალური ასამბლეის 1514 (XV) რეზოლუცია) დაადასტურა და საზეიმოდ გამოაცხადა, რომ აუცილებელია დაუყოვნებლივ და უსიტყვოდ ბოლო მოეღოს ყოველივე ამას,

თვლიან რა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1963 წლის 20 ნოემბრის დეკლარაცია (გენერალური ასამბლეის 1904 (XVII) რეზოლუცია) რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ საზეიმოდ ამტკიცებს მთელ მსოფლიოში რასობრივი დისკრიმინაციის, მისი ნებისმიერი ფორმისა და გამოვლინების საანრაფოდ აღმოფხვრის აუცილებლობას, და ადამიანის პიროვნული ღირსების გაგებისა და პატივისცემის უზრუნველყოფას,

დარწმუნებულნი არიან რა, რომ რასობრივ განსხვავებაზე დაფუძნებული უპირატესობის ნებისმიერი თეორია მეცნიერული თვალსაზრისით მცდარია, მორალური თვალსაზრისით დასაგმობია, და სოციალური თვალსაზრისით უსამართლო და საშიშია და, რომ შეუძლებელია რასობრივი დისკრიმინაციის გამართლება, სადაც არ უნდა ვლინდებოდეს იგი — თეორიასა, თუ პრაქტიკაში,

ადასტურებენ რა, რომ ადამიანთა დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის ან ეთნიკური წარმომავლობის ნიშნით ხელს უშლის ერთა შორის მეგობრული და მშვიდობიანი ურთიერთობების დამყარებას და შეიძლება გამოიწვიოს ხალხთა შორის მშვიდობისა და უსაფრთხოების, ასევე ერთსა და იმავე სახელმწიფოს წიგნით ადამიანთა ჰარმონიული თანაარსებობის დარღვევა,

დარწმუნებულნი არიან რა, რომ რასობრივი ბარიერების არსებობა ეწინააღმდეგება ადამიანთა ნებისმიერი საზოგადოების იდეალებს,

შეშფოთებული არიან რა, მსოფლიოს ზოგიერთ რაიონში არსებული რასობრივი დისკრიმინაციის გამოვლინებით და აგრეთვე სახელმწიფო პოლიტიკით, რომელიც ეფუძნება რასობრივ უპირატესობას ან რასობ-

რივ სიძულვილს, კერძოდ აპარტიდის, სეგრეგაციის ან დაყოფის პოლიტიკას,

სურს რა, მიიღონ ყველა საჭირო ზომა რასობრივი დისკრიმინაციის, მისი ნებისმიერი ფორმისა და გამოვლინების სასწრაფოდ ლიკვიდაციისათვის რასისტული თეორიების შექმნისა და მათი პრაქტიკაში გატარების თავიდან აცილებისა და აღმოფხვრისათვის. რასებს შორის ურთიერთგაგების ხელშეწყობისა და რასობრივი სეგრეგაციისა და რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმისაგან თავისუფალი საერთაშორისო საზოგადოების შექმნისათვის,

მხედველობაში იღებენ რა, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ 1958 წელს დამტკიცებულ კონვენციას დაქირავებისა და შრომის სფეროში დისკრიმინაციის შესახებ და განათლების, მეცნიერებისა და კულტურის საკითხებში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ 1960 წელს დამტკიცებულ კონვენციას განათლების სფეროში დისკრიმინაციის თავიდან აცილების შესახებ,

სურთ რა, განახორციელონ რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დეკლარაციაში მოცემული პრინციპები და უზრუნველყონ ამ მიზნის მისაღწევად პრაქტიკული ღონისძიებების უსწრაფესი განხორციელება, შეთანხმდნენ შემდეგზე:

ნაწილი I

მუხლი 1

1. წინამდებარე კონვენციაში ფრაზა “რასობრივი დისკრიმინაცია” აღნიშნავს ნებისმიერ განსხვავებას, გამორიცხავს, შეზღუდვას ან უპირატესობის მინიჭებას, რასის, კანის ფერის, საგვარეულო, ეროვნული თუ ეთნიკური წარმომავლობის ნიშნებით, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ ან საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროებში ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა თანასწორობის საწყისებზე ცნობის, გამოყენების ან განხორციელების მოსპობას ან შელახვას.

2. წინამდებარე კონვენცია არ გამოიყენება იმ განსხვავებების, განმარტების, შეზღუდვების ან უპირატესობების მინიჭების მიმართ, რომელსაც ამ კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები ატარებენ მოქალაქეებსა და არამოქალაქეებს შორის.

3. წინამდებარე კონვენციაში არცერთი დებულება არ შეიძლება განიმარტოს, როგორც გარკვეულწილად გავლენის მქონე მონაწილე სახელმწიფოთა კანონმდებლობების დებულებებზე, ეროვნული კუთვნილების. მოქალაქეობის ან ნატურალლიზაციის შესახებ, იმ პირობით, თუ ამ დებულებებით არ ხორციელდება დისკრიმინაცია რომელიმე კონკრეტული ეროვნების მიმართ.

4. განსაკუთრებული ზომების მიღება იმ ზოგიერთი რასობრივი ან

ეთნიკური ჯგუფის ან ცალკეული პირების პროგრესის უზრუნველსაყოფად, როლებიც საჭიროებენ დაცვას მათი უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების გამოყენებისა და განხორციელების მიზნით, არ განიხილება რასობრივ დისკრიმინაციად იმ პირობით, თუ ასეთი ზომების მიღება არ იწვევს სხვადასხვა რასობრივი ჯგუფებისათვის განსაკუთრებული უგლებების შენარჩუნებას და ძალაში აღარ დარჩება იმ იმზნის მიღწევის შემდეგ, რისთვისაც იქნა შემოღებული.

მუხლი 2

1. მონაწილე სახელმწიფოები გმობენ რასობრივ დისკრიმინაციას და ვალდებულებას იღებენ ყველა შესაძლო ხერხებით დაუყოვნებლივ გაატარონ რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის პოლიტიკა და ხელი შეუწყონ რასებს შორის ურთიერთგაგებას, და ამ მიზნით:

ა) თითოეული მონაწილე სახელმწიფო იღებს ვალდებულებას პირების, ჯგუფების ან დაწესებულებების მიმართ არ ჩაიდინოს რასობრივ დისკრიმინაციასთან დაკავშირებული აქტები ან ქმედებები და უზრუნველყოს როგორც ეროვნული, ისე ადგილობრივი სახელმწიფო ორგანოებისა და სახელმწიფო დაწესებულებების მიერ ამ ვალდებულების შესაბამისად მოქმედება;

ბ) თითოეული მონაწილე სახელმწიფო იღებს ვალდებულებას ხელი არ შეუწყოს, არ დაიცვას ან მხარი არ დაუჭიროს რომელიმე პირის ან ორგანიზაციის მიერ განხორციელებულ რასობრივ დისკრიმინაციას;

გ) თითოეულმა მონაწილემ სახელმწიფომ უნდა მიიღოს ეფექტური ზომები ეროვნული და ადგილობრივი მასშტაბით მთავრობის პოლიტიკის გადასინჯვის, აგრეთვე იმ კანონებისა და დადგენილებების შესწორების, გაუქმების ან ანულირების მიზნით, რომლებიც იწვევენ ან სამუდამოდ ამკვიდრებენ რასობრივ დისკრიმინაციას ყველგან, სადაც ის არსებობს;

დ) ყოველმა მონაწილემ სახელმწიფომ ყველა არსებული საშუალების, მათ შორის საკანონმდებლო ზომების გამოყენებით, გარემოებების მიხედვით უნდა აკრძალოს რასობრივი დისკრიმინაცია, განხორციელებული ნებისმიერი პირის, ჯგუფების ან ორგანიზაციების მიერ;

ე) ყოველი მონაწილე სახელმწიფო ვალდებულია სათანადო შემთხვევებში წაახალისოს გამაერთიანებელი მრავალრასობრივ ორგანიზაციები და მოძრაობები, ასევე რასობრივი ბარიერების მოშლის სხვა ღონისძიებები, არ დაუჭიროს მხარი ისეთ ზომებს, რომლებიც ხელს უწყობენ რასობრივი დანაწილების გაღრმავებას.

2. მონაწილე სახელმწიფოებმა, როდესაც ამას მოითხოვს მოვალეობა, უნდა მიიღონ განსაკუთრებული და კონკრეტული ზომები სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და სხვა სფეროებში, ზოგიერთი რასობრივი ჯგუფებისა ან პირების სათანადო განვითარებისა და დაცვისათვის, რათა უზრუნველყონ მათთვის ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლების სრული და თანაბარი გამოყენება. ასეთმა ზომებმა არავითარ

შემთხვევაში არ უნდა გამოიწვიოს განსხვავებულ რასობრივ ჯგუფებში არათანაბარი და უპირატესი უფლებების შენარჩუნება იმ მიზნების მიღწევისას, რისთვისაც ისინი იყო შემოღებული.

მუხლი 3

მონაწილე სახელმწიფოები განსაკუთრებით გამოხედავენ რასობრივ სეგრეგაციას და აპარტიდს და ვალდებულია იღებენ აკრძალონ და ამოძირკვონ ყოველგვარი ასეთი პრაქტიკა მათს იურისდიქციაში არსებულ ტერიტორიებზე.

მუხლი 4

მონაწილე სახელმწიფოები გამოხედავენ ყოველგვარ პროპაგანდას, აგრეთვე, ერთი რასის ან განსაზღვრული ფერის კანის ან ეთნიკური წარმოშობის მქონე ჯგუფის უპირატესობის იდეებზე დაფუძნებულ ორგანიზაციებს, რომლებიც ცდილობენ გაამართლონ ამ წაახალისონ ნებისმიერ ფორმაში გამოხატული რასობრივი ზიზღი და დისკრიმინაცია, ვალდებულია იღებენ დაუყონებლივ განახორციელონ ჯეროვანი ღონისძიებანი ასეთი ნაქეზების და დისკრიმინაციის აქტების ამოსაძრკვად, ადამიანის უფლებათა დეკლარაციაში აღნიშნული პრინციპებისა და წინამდებარე კონვენციის მე-5 მუხლში მოცემული წესების მიხედვით, მათ შორის:

ა) კანონით დასჯად ქმედებად აცხადებენ ისეთი იდეების გავრცელებას, რომლებიც ემყარება რასობრივ უპირატესობასა და ზიზღს, რასობრივი დისკრიმინაციის ყოველგვარ ნაქეზებას და ასევე ძალადობის აქტებს ან ნაქეზებას ისეთი აქტებისაკენ, რომლებიც მიმართულია ნებისმიერი რასისა და კანის ფერის ან ეთნიკური წარმოშობის მქონე ჯგუფის წინააღმდეგ, და ასევე ყოველგვარი დახმარების. მათ შორის ფინანსური დახმარების აღმოჩენას რასისტული ქმედებების მიზნით;

ბ) აცხადებენ კანონსაწინააღმდეგოდ და კრძალავენ ორგანიზაციებს, და ასევე ორგანიზებულ და ყოველგვარ სხვა პროპაგანდისტულ საქმიანობას, რომლებიც წაახალისებენ რასობრივ დისკრიმინაციას და უბიძგებენ მისკენ, აღიარებენ დანაშაულად ასეთ ორაგიზაციებსა და ასეთ საქმიანობაში მონაწილეობას;

გ) ნებას არ აძლევენ ნაციონალურ და სახელმწიფო მმართველობის ორგანოებს და სახელმწიფო დაწესებულებებს წაახალისონ ან ნააქეზონ რასობრივი დისკრიმინაცია.

მუხლი 5

ამ კონვენციის მე-2 მუხლში აღნიშნული ძირითადი მოვალეობების შესაბამისად, მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულია იღებენ აკრძალონ და აღმოფხვრან ნებისმიერი ფორმის რასობრივი დისკრიმინაცია და უზრუნველყონ ყველა ადამიანის თანასწორობა კანონის წინაშე, მიუხედავად რასისა, კანის ფერისა, ეროვნული და ეთნიკური კუთვნილებისა, განსაკუთრებით შემდეგი უფლებების განხორციელებისათვის:

ა) სასამართლოსა და მართლმსაჯულების განმახორციელებელი

საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტები

ყველა ორგანოს წინაშე თანასწორობის უფლება;

ბ) პირადი უსაფრთხოებისა და სახელმწიფოს მხრიდან დაცვის უფლება ძალადობისა და სხეულის დაზიანებებისაგან, რომლებსაც აყენებენ როგორც სახელმწიფო თანამდებობის პირები, ისე ცალკეული პირები, ჯგუფები ან დანესებულებები;

გ) პოლიტიკური უფლებებისა, კერძოდ არჩევნებში მონაწილეობის უფლებისა - მისცენ ხმა და წამოაყენონ თავიანთი კანდიდატურა - საერთო და თანაბარი საარჩევნო უფლების საფუძველზე, მიიღონ მონაწილეობა ქვეყნის მართვაში, ისევე როგორც სახელმწიფოს საქმეების მართვაში ყველა დონეზე, და ასევე თანაბარი უფლება ხელმისაწვდომად გილას სახელმწიფო სამსახურში;

დ) სხვა სამოქალაქო უფლებების, კერძოდ:

1. სახელმწიფოს ფარგლებში თავისუფლად ცხოვრებისა და გადაადგილების უფლება;

2. ნებისმიერი ქვეყნის, მათ შორის მისი ქვეყნის დატოვებისა და ქვეყანაში დაბრუნების უფლება;

3. მოქალაქეობის უფლება;

4. ქორწინებისა და მეუღლის არჩევის უფლება;

5. საკუთრების ფლობის უფლება როგორც ინდივიდუალურად, ისე სხვებთან ერთად;

6. მემკვიდრეობის უფლება;

7. აზრის, სინდისის და რელიგიის თავისუფლების უფლება;

8. მრწამსისა და მისი ტავისუფლად გამოხატვის უფლება;

9. მშვიდობიანი შეკრებებისა და ასოციაციების უფლება.

ე) უფლებები ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ სფეროებში, კერძოდ:

1. შრომის, თანაბარი ანაზღაურების, სამუშაოს თავისუფალი არჩევის, შრომის სამართლიანი და ხელშემწყობი პირობების, უმუშევრობიდან დაცვის, თანაბარი შრომისათვის თანაბარი ანაზღაურების, სამართლიანი და დამაკმაყოფილებელი ანაზღაურების უფლება;

2. პროფესიული კავშირების შექმნისა და მათში გაერთიანების უფლება;

3. საცხოვრებლის მიღების უფლება;

4. ჯანმრთელობის დაცვის, სამედიცინო დახმარების, სოციალური უზრუნველყოფის და სოციალური მომსახურების უფლება;

5. განათლებისა და პროფესიული მომზადების უფლება;

6. კულტურულ ცხოვრებაში თანაბარი მონაწილეობის უფლება.

ვ) საერთო სარგებლობის ნებისმიერ ადგილზე (ტრანსპორტი, რესტორანი, თეატრი, პარკი, კაფე) ყოფნის და ნებისმიერი სახის მომსახურების უფლება.

მუხლი 6

მონაწილე სახელმწიფოები კომპეტენტური ეროვნული სასამართლოების და სხვა სახელმწიფო ინსტიტუტების დახმარებით უზრუნველყოფენ ყველა ადამიანის, რომელზეც ვრცელდება მათი იურისდიქცია, ეფექტურ დაცვას

და დაცვის საშუალებებს ნებისმიერი რასობრივი დისკრიმინაციის აქტების არსებობის შემთხვევაში, რომლებიც ამ კონვენციის შესაბამისად ხელყოფს ადამიანის უფლებებსა და ძირითად თავისუფლებებს, და ასევე უფლებას წარადგინონ ამ სასამართლოებში სარჩელი ასეთი დისკრიმინაციის შედეგად მიყენებული ნებისმიერი ზარალის სამართლიან და ადეკვატურ ანაზღაურებისათვის.

მუხლი 7

მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულია კისრულობენ მიიღონ გადაუდებელი და ეფექტური ზომები, კერძოდ, აღზრდის, სწავლების, კულტურის და ინფორმაციის სფეროებში, რომლის მიზანია რასობრივი დისკრიმინაციის გამომწვევი სრულწმენები დაამკვიდროს ურთიერთგაგების ნახალისების, ერებსა და რასობრივ ან ეთნიკურ ჯგუფებს შორის მეგობრობის, მოთმინების ატმოსფერო, პოპულარიზაცია გაუწიოს გაეროს წესდებას, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციას, რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ გაეროს წესდებას და ამ კონვენციის მიზნებსა და პრინციპებს.

ნაწილი II

მუხლი 8

1. უნდა დაარსდეს რასობრივი დისკრიმინაციის ლიკვიდაციის კომიტეტი (შემდეგში “კომიტეტი”), 18 ექსპერტის შემადგენლობით, რომლებსაც გააჩნიათ მაღალი მორალური თვისებები და მიუმხრობლობის პრინციპები, ისინი აირჩევიან მონაწილე სახელმწიფოების მიერ თავისი მოქალაქეების რიცხვიდან, შეასრულებენ მოვალეობებს პირადი ღირსების შესაბამისად, ამასთან, არჩევისას ყურადღება უნდა მიექცეს სამართლიან გეოგრაფიულ დანაწილებას და ცივილიზაციის სხვადასხვა ფორმების წარმომადგენლობას და ასევე მთავარ სამართლებრივ სისტემებს.

2. კომიტეტის წევრები აირჩევიან ფარული კენჭისყრით სიაში შეტანით პირთაგან. ყოველ მონაწილე სახელმწიფოს უფლება აქვს წამოაყენოს ერთი პირის კანდიდატურა მისი მოქალაქეების სიიდან.

3. პირველადი არჩევნები ტარდება აღნიშნული კონვენციის ძალაში შესვლიდან 6 თვის შემდეგ. არჩევნებამდე არაუგვიანეს 3 თვით ადრე გაეროს გენერალური მდივანი მიმართავს წერილობითი თხოვნით მონაწილე სახელმწიფოებს, 2 თვის განმავლობაში წარადგინონ არჩევნებში მონაწილე პირთა სია. გენერალური მდივანი ამზადებს სიას, რომელშიც ანბანის მიხედვით შეტანილია ასეთი ფორმით წარდგენილი ყველა მონაწილის გვარი და სახელი წარმდგენი სახელმწიფოების აღნიშვნით და წარუდგენს ამ სიას კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებს.

4. კომიტეტის წევრები აირჩევიან მონაწილე სახელმწიფოების სხდომაზე, რომელსაც იწვევს გენერალური მდივანი გაეროს ცენტრალურ

საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტები

დანესებულებებში. სხდომაზე, რომლის ქვორუმი მონაწილე სახელმწიფოების ორი მესამედია, კომიტეტში არჩეულ წევრებად ითვლებიან ის კანდიდატები, რომლებმაც მიიღეს ხმების უმრავლესობა და დამსწრე და კენჭისყრაში მონაწილე სახელმწიფოების ხმების აბსოლუტური უმრავლესობა.

5. ა) კომიტეტის წევრები აირჩევიან ოთხი წლის ვადით. ამასთან პირველ არჩევნებში არჩეულთა ცხრა წევრის უფლებამოსილების ვადა ინურება ორწლიანი პერიოდის ბოლოს. პირველი არჩევნების დამთავრებისთანავე ამ ცხრა წევრის ვინაობა განისაზღვრება კომიტეტის თავმჯდომარის მიერ კენჭისყრის საფუძველზე.

ბ) გაუთვალისწინებელი ვაკანსიის შესავსებად კონვენციის მონაწილე სახელმწიფო, რომლის ექსპერტი უკვე აღარაა კომიტეტი წევრი, თავისი მოქალაქეებიდან ნიშნავს სხვა ექსპერტს კომიტეტის თანხმობით.

6. მონაწილე სახელმწიფოები პასუხისმგებელი არიან კომიტეტის წევრების ხარჯების დაფარვისათვის მათ მიერ კომიტეტში მოვალეობების შესრულების პერიოდში.

მუხლი 9

1. მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულია იღებენ გაეროს გენერალური მდივნის წინაშე, რათა განიხილონ კომიტეტის მოხსენება, მათ მიერ კონვენციის დებულებების განხორციელების მიზნით განეული საკანონმდებლო, სასამართლო, ადმინისტრაციული და სხვა ღონისძიებების შესახებ: ა) ამ სახელმწიფოსათვის წინამდებარე კონვენციის ძალაში შესვლიდან ერთი წლის განმავლობაში; ბ) მომდევნო ყოველ ორ წელიწადში ერთხელ, ან როცა ამას მოითხოვს კომიტეტი. კომიტეტს შეუძლია კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებისაგან გამოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია.

2. კომიტეტი ყოველ წლიურად გენერალური მდივნის მეშვეობით გაეროს გენერალურ ასამბლეაზე წარმოადგენს მოხსენებას მისი საქმიანობის შესახებ. მას ასევე შეუძლია, აგრეთვე დააყენოს წინადადებები და საერთო ხასიათის რეკომენდაციები კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებიდან მიწოდებულ მოხსენებებისა და ინფორმაციების საფუძველზე. ასეთი წინადადებები და საერთო ხასიათის რეკომენდაციები მოხსენდება გენერალურ ასამბლეას კონვენციის მონაწილე სახელმწიფოების შენიშვნებთან ერთად, თუ ასეთი არსებობს.

მუხლი 10

1. კომიტეტი ადგენს პროცედურის საკუთარ წესებს.
2. კომიტეტი ირჩევს თავის ხელმძღვანელს პირებს ორი წლის ვადით.
3. კომიტეტის სამდივნოს უზრუნველყოფს გაეროს გენერალური მდივანი.

4. კომიტეტის სხდომები ჩვეულებრივ იმართება გაეროს ცენტრალურ დანესებულებებში.

მუხლი 11

1. თუ რომელიმე მონაწილე სახელმწიფო მიიჩნევს, რომ სხვა მონაწილე სახელმწიფო არ ასრულებს კონვენციის დებულებებს, მას შეუძლია აცნობოს ამის შესახებ კომიტეტს. კომიტეტი თავის მხრივ გადასცემს ამ შეტყობინებას დაინტერესებულ მონაწილე სახელმწიფოს. შეტყობინების მიმღები სახელმწიფო სამი თვის ვადაში წარუდგენს კომიტეტს ნერილობით განმარტებას ან განცხადებას, სადაც განხილულია ის საკითხები და ღონისძიებები, რომლებიც შეიძლება მიღებულ იქნეს ამ სახელმწიფოს მიერ.

2. თუ სახელმწიფოს მიერ საწყისი შეტყობინების მიღებიდან ექვსი თვის განმავლობაში საკითხი არ დარეგულირდება ორმხრივი მოლაპარაკებების ან ორივე მხარისათვის მისაღები სხვა რაიმე გზით, მოშინ ნებისმიერ ამ ორ სახელმწიფოს უფლება აქვს კვლავ გადასცეს ეს საკითხი კომიტეტს განსახილველად კომიტეტის და სხვა სახელმწიფოს სათანადო შეტყობინების გზით.

3. კომიტეტი საკითხს განიხილავს წინამდებარე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად მას შემდეგ, რაც ის საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების შესაბამისად დაადგენს, რომ სამართლებრივი დაცვის ყველა შესაძლო შიდა საშუალებები მოსინჯული და ამოწურულია. ეს წესი არ მოქმედებს იმ შემთხვევაში, როცა ამ საშუალებების გამოყენება ძალიან გაჭიანურებულია.

4. კომიტეტს განსახილველად მიღებულ ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით შეუძლია წარუდგინოს დაინტერესებულ მონაწილე სახელმწიფოებს ნებისმიერი ინფორმაცია.

5. თუ ამ მუხლის დებულებებიდან გამომდინარე რომელიმე საკითხს კომიტეტი განიხილავს, მაშინ დაინტერესებულ მონაწილე სახელმწიფოებს უფლება აქვთ მიავლინონ თავიანთი წარმომადგენლები კომიტეტის სხდომებში მონაწილეობის მისაღებად, ხმის უფლების გარეშე ამ საკითხის განხილვის პერიოდში.

მუხლი 12

1. ა) მას შემდეგ, რაც კომიტეტი მიიღებს და მის შეხედულებისამებრ საფუძვლიანად შეამოწმებს სრულ ინფორმაციას, თავმჯდომარე ნიშნავს სპეციალურ მომრიგებელ კომისიას (შემდგომ “კომისია”) ხუთი კაცის შემადგენლობით, რომლებიც შეიძლება იყვნენ ან არ იყვნენ კომიტეტის წევრები. კომისიის წევრები ინიშნებიან მოდავე მხარეების ერთსულოვანი თანხმობით. კომისია სთავაზობს თავის კეთის სამსახურს დაინტერესებულ სახელმწიფოებს მოცემული საკითხის მშვიდობიანი დარეგულირების მიზნით, კონვენციის დებულებების დაცვის საფუძველზე.

ბ) თუ სახელმწიფოებს შორის, რომლებიც დავაში მხარეებს წარმოადგენენ, სამ თვეში ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება კომისიის სრული შემადგენლობის ან მისი ნაწილის თაობაზე, მაშინ კომისიის ის წევრები, რომელთა დანიშვნის თაობაზე ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება სახელმწიფოებს შორის, აირჩევიან კომიტეტის წევრთა შემადგენლობიდან ფარული კენჭისყრით ხმათა ორი მესამედით.

საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტები

2. კომისიის წევრები ასრულებენ თავიანთ ვალდებულებებს თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში. ისინი არ უნდა იყვნენ იმ სახელმწიფოთა მოქალაქეები, რომლებიც წარმოადგენენ დავაში მონაწილე მხარეებს, ან იმ სახელმწიფოთა მოქალაქეები, რომლებიც არ არიან ამ კონვენციის მონაწილეები.

3. კომისია თავად ირჩევს თავმჯდომარეს და ადგენს არჩევის პროცედურალ წესებს.

4. კომისიის სხდომები ჩვეულებრივ იმართება გაეროს ცენტრალურ დანესებულებებში ან კომისიის გადანყვეტილებით სხვა ნებისმიერ ხელსაყრელ ადგილას.

5. სამდივნო, რომელიც უზრუნველყოფილია ამ კონვენციის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტით, ასევე ემსახურება კომისიას, თუ კონვენციის მონაწილე სახელმწიფოთა შორის დავა გამოიწვევს კომისიის შექმნას.

6. სახელმწიფოები, რომლებიც არიან დავის მონაწილე მხარეები, თანაბარწილად ანაზღაურებენ კომისიის წევრებზე განუღებ ხარჯებს გაეროს გენერალური მდივნის მიერ წარდგენილი ხარჯთა ნუსხის მიხედვით.

7. გენერალურ მდივანს აუცილებლობის შემთხვევაში უფლება აქვს დაფაროს კომისიის წევრებზე განუღებ ხარჯები იმ დრომდე, ვიდრე სახელმწიფოები არიან დავის მონაწილენი, ამ მუხლის მე-6 პუნქტის სესაბამისად.

8. კომიტეტის მიერ მიღებული და შესწავლილი ინფორმაცია წარედგინება კომისიას. კომისიას შეუძლია დაინტერესებულ სახელმწიფოებს შესთავაზოს საქმესთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაციის წარდგენა.

მუხლი 13

1. კომისიამ, როცა სრულად განიხილავს საკითხს, უნდა მოამზადოს და კომიტეტის თავმჯდომარეს წარუდგინოს მოხსენება, რომელიც შეიცავს დასკვნებს ყველა იმ საკითხებზე, რომელიც ეხება დავაში მონაწილე მხარეთა დავის ფაქტიურ ნაწილს და ასევე, რეკომენდაციები, რომელიც კომისიას აუცილებლას მიაჩნია დავის მშვიდებიანად გადანყვეტისათვის.

2. კომიტეტის თავმჯდომარემ კომისიის მოხსენება უნდა დაუგზავნოს დავაში მონაწილე ყოველ სახელმწიფოს. ამ სახელმწიფოებმა სამი თვის ვადაში, უნდა აცნობონ კომიტეტის თავმჯდომარეს ეთანხმებიან თუ არა ისინი კომისიის მოხსენებაში მოცემულ რეკომენდაციებს.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ვადის ამონურვის შემდეგ, კომიტეტის თავმჯდომარემ კომისიის მოხსენება და დაინტერესებული მონაწილე სახელმწიფოების განცხადებები უნდა დაუგზავნოს კონვენციის მონაწილე სხვა მონაწილე სახელმწიფოებს.

მუხლი 14

1. მონაწილე სახელმწიფოს ნებისმიერ დროს შეუძლია განაცხადოს, რომ ის ცნობს კომიტეტის კომპეტენციას, მისი იურისდიქციის ფარგლებში მიიღოს და განიხილოს ცალკეულ პირთა ან პირთა ჯგუფის

შეტყობინებები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ისინი არიან მონაწილე სახელმწიფოს მიერ ამ კონვენციით გათვალისწინებული რომელიმე უფლების დარღვევის მსხვერპლი. კომიტეტმა არ უნდა მიიღოს შეტყობინება, თუ იგი ეხება კონვენციის მონაწილე წევრ სახელმწიფოს, რომელსაც არ გაუკეთებია ასეთი განცხადება.

2. ნებისმიერ მონაწილე სახელმწიფოს, რომელიც აკეთებს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ განცხადებას, შეუძლია დააფუძნოს ან მიუთითოს ორგანო თავისი ეროვნული სამართლებრივი სისტემის ფარგლებში, რომელიც კომპეტენტურია თავისი იურისდიქციის ფარგლებში მიიღოს და განიხილოს იმ პირთა და პირთა ჯგუფის პეტიციები, რომლებიც აცხადებენ, რომ ისინი არიან აღნიშნულ კონვენციაში აღნიშნული რომელიმე უფლების დარღვევის მსხვერპლი და რომლებმაც ამოწურეს სამართლებრივი დაცვის სხვა ყველა ხელმისაწვდომი ადგილობრივი საშუალება.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად გაკეთებული განცხადება და აგრეთვე ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად დაფუძნებული ან მითითებული ორგანოს სახელწოდება დაპირებული უნდა იყოს შესაბამისი მონაწილე სახელმწიფოს მიერ გაეროს გენერალურ მდივანთან, რომელიც მის ასლებს გადაუგზავნის სხვა მონაწილე სახელმწიფოებს. განცხადება ნებისმიერ დროს შეიძლება უკან იქნეს გამოთხოვილი ამის შესახებ გენერალური მდივნისათვის შეტყობინების გზით, მაგრამ ეს არ უნდა აისახოს იმ შეტყობინებებზე, რომლებიც განიხილებიან კომიტეტის მიერ.

4. პეტიციების ნუსხას ადგენს ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად დაფუძნებული ან მითითებული ორგანო, ხოლო ნუსხის დამონმებული ასლები შესაბამისი არხებით, ყოველ წელს ბარდება გენერალურ მდივანს, ამასთან მათი შინაარსი არ უნდა გახდეს საჯაროობის საგანი.

5. იმ შემთხვევაში, თუ პეტიციონერი უკმაყოფილოა ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად დაფუძნებული ან მითითებული ორგანოს მოქმედებით, მას უფლება აქვს ექვსი თვის ვადაში გადასცეს აღნიშნული საკითხი კომიტეტს.

6. ა) კომიტეტი კონფიდენციალური წესით აცნობებს ნებისმიერი მიღებული შეტყობინების შესახებ მინაწილე სახელმწიფოს, რომელსაც ბრალი ედება კონვენციის რომელიმე დებულების დარღვევაში, მაგრამ არ ასახელებს შესაბამის პირს ან პირთა ჯგუფს მისი მკაფიოდ გამოხატული თანხმობის გარეშე. კომიტეტმა არ უნდა მიიღოს ანონიმური შეტყობინებები.

ბ) შეტყობინების მიმღები სახელმწიფო სამი თვის განმავლობაში წარუდგენს კომიტეტს წერილობით ახსნა-განმარტებებს ან განცხადებებს, რომელშიც გაშუქებულია აღნიშნული საკითხი და ზომები, რომლებიც შეიძლება მიეღოს ამ სახელმწიფოს.

7. ა) კომიტეტი განიხილავს შეტყობინებას, ყველა მონაწილის გათ-

საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტები

ვალისწინებით, რომელიც მას განხილვისათვის წარუდგინა დაინტერესებულმა წევრმა-სახელმწიფომ ან პეტიციონერმა. კომიტეტმა არ უნდა განიხილოს არც ერთი პეტიციონერის სეტყობინება, თუ იგი არ დაადგენს, რომ პეტიციონერმა ამოწურა შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი დაცვის ყველა საშუალება. ამასთან, ეს წესი არ მოქმედებს იმ შემთხვევაში, როცა ასეთი საშუალებების გამოყენება განსაკუთრებით დიდხანს ჭიანურდება.

ბ) კომიტეტი თავის მოსაზრებებს და რეკომენდაციებს უგზავნის დაინტერესებულ მონაწილე სახელმწიფოს ან პეტიციონერს, თუკი ასეთი გააჩნია.

გ) კომიტეტი თავის ყოველწლიურ მოხსენებაში რთავს ასეთ შეტყობინებათა შესახებ რეზიუმეს და საჭიროების შემთხვევაში, დაინტერესებული მონაწილე სახელმწიფოს მოკლე განმარტებას ან განცხადებას, ასევე თავის წინადადებებსა და რეკომენდაციებს.

9. კომიტეტი კომპეტენტურია შეასრულოს ამ მუხლით გათვალისწინებული ფუნქციები, იმ შემთხვევაში, როცა კონვენციის სულ ცოტა ათმა მონაწილე სახელმწიფომ გააკეთა განცხადება ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად.

მუხლი 15

1. კოლონიური ქვეყნების ან ერებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ დეკლარაციის მიზნების მიღწევამდე, რასაც შეიცავს გენერალური ასამბლეის 1514 რეზოლუცია (1960 წ. 14 დეკემდერი), ამ კონვენციის დებულებები არანაირად არ ზღუდავს მათ მიერ პეტიციის წარდგენის უფლებას, რომელიც მინიჭებული აქვს სხვა საერთაშორისო დოკუმენტის ძალით ან გაეროს და მისი სპეციალიზებული დანესებულებების მიერ.

2. ა) ამ კონვენციის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად დაფუძნებული კომიტეტი იღებს პეტიციის ასლებს გაეროს ორგანოებიდან, რომლებიც დაკავებული არიან ამ კონვენციის პრინციპებთან და პეტიციებთან უშუალოდ დაკავშირებული საკითხებით და წარუდგენს მათ მოსაზრებებს და რეკომენდაციებს პეტიციის შესახებ, იმ ქვეშევრდომი ქვეყნის მოსახლეობის ან არათვითმმართველი ტერიტორიებიდან და სხვა ტერიტორიებიდან წარდგენილი პეტიციების განხილვისას, რომელთა მიმართ გამოყენებულია 1514 (XV) რეზოლუცია და რომელიც ეხება ამ კონვენციით გათვალისწინებულ და ამ ორგანოების მიერ განსახილველ საკითხებს.

ბ) კომიტეტი გაეროს კომპეტენტური ორგანოებიდან იღებს მოხსენების ასლებს საკანონმდებლო, სასამართლო, ადმინისტრაციულ და სხვა ღონისძიებების შესახებ, რომლებიც უშუალოდ განეკუთვნება ამ კონვენციის პრინციპებსა და მიზნებს და რომელთაც ახორციელებენ მმართველი სახელმწიფოები ამ მუხლის ა) ქვეპუნქტში აღნიშნულ

ტერიტორიებზე, გამოხატავს თავის მოსაზრებას და რეკომენდაციას აძლევს ამ ორგანოებს.

3. კომიტეტი გენერალური ასამბლეისადმი წარდგენილ მოხსენებაში რთავს (გაეროს ორგანოებიდან მიღებული) პეტიციის რეზიუმეს და მოხსენებებს, და ასევე მომიტეტის მოსაზრებებს და რეკომენდაციებს აღნიშნული პეტიციების და მოხსენებების შესახებ.

4. კომიტეტი გაეროს გენერალური მდივნისაგან მოითხოვს ინფორმაციას იმ ტერიტორიების მდგომარეობის შესახებ, რომლებიც ამ კონვენციის მიზნებსა და მე-2 პუნქტის ა) ქვეპუნქტის საკითხებს განეკუთვნება.

მუხლი 16

ამ კონვენციის დებულებები, რომლებიც ეხება დავის დარეგულირებას და საჩივრების განხილვას, გამოიყენება დავებისა და დისკრიმინაციის შესახებ საჩივრების სხვა მეთოდებით გადანყვეტისათვის ზიანის მიუყენებლას, რომლებიც მოცემულია გაეროს ფუძემდებლურ დოკუმენტებში და მისი სპეციალიზებული დანესებულებების ან იმ კონვენციებში მონონებული უკანასკნელის მიერ და არ ეწინააღმდეგება სხვა მეთოდებს, რომლებიც მონაწილე სახელმწიფოებმა შეიძლება გამოიყენონ ამ დავების გადასაწყვეტად მათ შორის მოქმედი ზოგადი და სპეციალური საერთაშორისო შეთანხმებების შესაბამისად.

ნაწილი III

მუხლი 17

1. წინამდებარე კონვენცია ღიაა ხელმისაწვდომად გაეროს წევრი სახელმწიფოებისათვის ან მისი ნებისმიერი სპეციალიზებული დანესებულების ან სეარტაშორისო სასამართლოს სტატუსის მონაწილე სახელმწიფოსათვის, ან ნებისმიერი სხვა სახელმწიფოსათვის, რომლებიც მონვეული არიან გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ ამ კონვენციაში მონაწილეობისათვის.

2. ეს კონვენცია ექვემდებარება რატიფიკაციას. სარატიფიკაციო სიგელები დეპონირდება გაეროს გენერალურ მდივანთან.

მუხლი 18

1. წინამდებარე კონვენცია შესაერთებლად ღიაა ამ კონვენციის მე-17 მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული ნებისმიერი სახელმწიფოსათვის.

2. შეერთება ხორციელდება გაეროს გენერალური მდივნისათვის შესაბამისი დოკუმენტის შესანახად ჩაბარების გზით.

მუხლი 19

1. წინამდებარე კონვენცია ძალაში შედის გაეროს გენერალური მდივნისათვის 27-ე სარატიფიკაციო სიგელის ან შეერთების დოკუმენტის ჩაბარებიდან 30-ე დღეს.

2. ყოველი სახელმწიფოსათვის, რომელიც რატიფიცირებას მოახ-

საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტები

დენს ან შეუერთდება ამ კონვენციას გაეროს მდივნისათვის 27-ე სარატიფიკაციო სიგელის ან შეერთების დოკუმენტის შესანახად გადაცემის შემდეგ, კონვენცია ძალაში შევა მის მიერ სარატიფიკაციო სიგელის ან შეერთების დოკუმენტის შესანახად ჩაბარებიდან 30-ე დღეს.

მუხლი 20

1. გაეროს გენერალური მდივანი იღებს და უგზავნის ყველა სახელმწიფოს, რომლებიც არიან ან შეიძლება გახდნენ ამ კონვენციის მონაცილებები ამ სახელმწიფოების მიერ რატიფიკაციის ან შეერთების მომენტში გაკეთებული შენიშვნის ტექსტს. ნებისმიერი სახელმწიფო, რომელიც უარყოფს შენიშვნებს. შეტყობინების დღიდან 90 დღის განმავლობაში ატყობინებს ამის შესახებ გენერალურ მდივანს.

2. შენიშვნები, რომლებიც არ შეესაბამება ამ კონვენციის მიზნებსა და ამოცანებს, არ დაიშვება. ამასთან, არ დაიშვება ის შენიშვნებიც, რომლებიც შესაძლოა ეწინააღმდეგება ამ კონვენციის საფუძველზე შექმნილი რომელიმე ორგანოს მუშაობას. შენიშვნა ჩაითვლება მუშაობისათვის მიუღებლად ან შეუთავსებლად, თუკი კონვენციის მონაწილეთა არანაკლებ 2/3 ამის წინააღმდეგია.

3. შენიშვნა შეიძლება მოიხსნას ნებისმიერ დროს გენერალური მდივნის სახელზე შესაბამისი შეტყობინების გაგზავნის გზით. ასეთი შეტყობინება ძალაში შედის მისი მიღების დღიდან.

მუხლი 21

ყოველ მონაწილე სახელმწიფოს შეუძლია მოახდინოს ამ კონვენციის დენონსაცია გაეროს გენერალური მდივნის სახელზე ამის შესახებ წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით. დენონსაცია ძალაში შედის გენერალურ მდივანთან ასეთი შეტყობინების მიღებიდან ერთი წლის შემდეგ.

მუხლი 22

მონაწილე ორ ან რამდენიმე სახელმწიფოს შორის ამ კონვენციის გამოყენების ან განმერთების დროს წამოჭრილი ნებისმიერი დავა, რომელიც არ წყდება მოლაპარაკებების ან კონვენციაში სპეციალურად გათვალისწინებული პროცედურების გზით, რომელიმე ნებისმიერი მოდავე მხარის მოთხოვნით გადაეცემა გადასაწყვეტად საერთაშორისო სასამართლოს, თუკი მხარეები არ შეთანხმდებიან დავის გადაწყვეტის სხვა საშუალებებზე.

მუხლი 23

1. ამ კონვენციის გადახედვის მოთხოვნის დაყენება შეუძლია ნებისმიერ მონაწილე სახელმწიფოს ნებისმიერ დროს გენერალური მდივნის სახელზე გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების გზით.

2. გაეროს გენერალური ასამბლეა აუცილებლობის შემთხვევაში იღებს გადაწყვეტილებას იმ ზომების შესახებ, რომლებიც გამოყენებული უნდა იქნეს ასეთ მოთხოვნასთან დაკავშირებით.

მუხლი 24

გაეროს გენერალური მდივანი, ამ კონვენციის მე-17 მუხლის პირველ

პუნქტში მითითებულ ყველა სახელმწიფოს აცნობებს შემდეგ მონაცემებს:

ა) ხელმოწერის, რატიფიკაციის და შეერთების შესახებ მე-17 და მე-18 მუხლების შესაბამისად;

ბ) კონვენციის ძალაში შესვლის თარიღი, მე-19 მუხლის შესაბამისად;

9) შეტყობინებებისა და დეკლარაციების შესახებ, რომლებიც მიღებული იქნება მე-14, მე-20 და 23-ე მუხლების შესაბამისად;

დ) დენონსაციის შესახებ 21-ე მუხლის შესაბამისად.

მუხლი 25

1. წინამდებარე კონვენციის ინგლისური, ესპანური, ჩინური, რუსული და გრანგული ტექსტები, რომლებიც თანაბრად აუთენტურია ინახება გაეროს არქივში:

2. გაეროს გენერალური მდივანი კონვენციის მე-17 მუხლის პირველ პუნქტში მოხსენიებული ნებისმიერი კატეგორიის სახელმწიფოს უგზავნის ამ კონვენციის ოფიციალურ დამოწმებულ ასლებს, რის დასტურადაც ქვემოთ ხელისმომწერებმა, შესაბამისი მთავრობების მიერ სათანადო წესი უფლებამოსილმა, ხელი მოაწეროს წინამდებარე კონვენციას, რომელიც ხელმოსაწერად გაიხსნა ნიუ-იორკში, ათას ცხრაას სამოცდაექვსი წლის შვიდ მარტს.



**დეკლარაცია ეროვნული,
ეთნიკური, რელიგიური და
ენობრივი უმცირესობების
წარმომადგენელი პირების
უფლებათა დაცვის შესახებ**

დამტკიცებულია გენერალური ასამბლეის 1992 წლის 18 დეკემბრის
№47/135 რეზოლუციით

გენერალური ასამბლეა,

იმის გათვალისწინებით, რომ გაეროს ერთ-ერთ ძირითად მიზანს, როგორც წესდებაშია ასახული, წარმოადგენს ყველა ადამიანის უფლებების და ძირითადი თავისუფლებების დაცვის და პატივისცემის ხელშეწყობა, მიუხედავად რასისა, სქესისა, ენისა და რელიგიისა,

ადამიანის ძირითად უფლებებში, პიროვნების ღირსებასა და ღირებულებაში, ქალისა და მამაკაცის, ასევე პატარა და დიდი ერების თანაბარ უფლებებში რწმენის განმტკიცების მიზნით,

საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტები

წესდებაში, ადამიანის უფლებათა დაცვის უნივერსალურ დეკლარაციაში, დანაშაულისა და გენოციდის აღკვეთისა და დასჯის კონვენციაში, რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ საერთაშორისო კონვენციაში, სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა დაცვის საერთაშორისო შეთანხმებაში, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა დაცვის შესახებ საერთაშორისო შეთანხმებაში, შეუწყნარებლობის და რელიგიის ან რწმენის დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ დეკლარაციაში, და ბავშვთა უფლებების დაცვის კონვენციაში ისევე, როგორც სხვა იმ შესაბამის ინსტრუმენტებში ასახული პრინციპების რეალიზების ხელშეწყობის მიზნით, რომლებიც მიღებული იქნა საყოველთაო ან რეგიონალურ დონეზე და რომლებიც გაფორმდა გაეროს ცალკეული წევრი სახელმწიფოების მიერ,

სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა დაცვის საერთაშორისო შეთანხმების 27-ე მუხლის დებულებების გათვალისწინებით, რომელიც ეხება ეთნიკურ, რელიგიურ და ენობრივ უმცირესობებს მიკუთვნებულ პირთა უფლებებს,

იმის გათვალისწინებით, რომ ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური და ენობრივი უმცირესობების წარმომადგენელი პირების უფლებათა დაცვასა და ხელშეწყობას წვლილი შეაქვს იმ სახელმწიფოების პოლიტიკურ და სოციალურ სტაბილურობასი, რომლებშიც ისინი ცხოვრობენ,

იმის ხაზგასმით, რომ ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური და ენობრივი უმცირესობების წარმომადგენელი პირების უფლებათა მუდმივი ხელშეწყობა და რეალიზაცია, მთლიანობაში როგორც საზოგადოების განვითარების განუყოფელი ნაწილი და სამართლებრივ ნორმაზე დამყარებული დემოკრატიული სტრუქტურის ფარგლებში, წვლილს შეიტანს ხალხსა და ქვეყნებს შორის გააძლიერებს მეგობრულ დამოკიდებულებას და თანამშრომლობას,

იმის გათვალისწინებით, რომ გაეროს მნიშვნელოვანი როლი ეკისრება უმცირესობების დაცვის საკითხში,

იმის მხედველობაში მიღებით, რომ გაეროს სისტემაში, და კერძოდ ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის, დისკრიმინაციის აღკვეთისა და უმცირესობების დაცვის ქვეკომისიის და იმ ორგანოების მიერ დღემდე ჩატარებული სამუშაო, რომლებიც დაფუძნებულია ადამიანის უფლებათა დაცვის შესახებ საერთაშორისო შეთანხმებების და ადამიანის უფლებათა დაცვის სხვა საერთაშორისო ინსტრუმენტების შესაბამისად, რომლებიც ეხება ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური და ენობრივი უმცირესობების წარმომადგენელი პირების უფლებათა დაცვას და ხელშეწყობას,

იმის გათვალისწინებით, რომ მნიშვნელოვანი სამუშაო, რომელიც განხორციელდა მთავრობათაშორისი და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ უმცირესობათა დაცვის და ეროვნული ან ეთნიკური, რელიგიური და ენობრივი უმცირესობების წარმომადგენელი პირების

უფლებათა დაცვის და ხელშეწყობის საქმეში,

იმ საჭიროების აღიარებით, რომ აუცილებელია ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ინსტრუმენტების უფრო ეფექტურად განხორციელება ეროვნული ან ეთნიკური, რელიგიური და ენობრივი უმცირესობების წარმომადგენელი პირების უფლებათა დაცვასთან დაკავშირებით,

ქვეყნდება წინამდებარე დეკლარაცია ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური და ენობრივი უმცირესობების წარმომადგენელი პირების უფლებათა დაცვის შესახებ:

მუხლი 1

1. სახელმწიფოები დაიცავენ უმცირესობების ეროვნული ან ეთნიკური, კულტურული, რელიგიური და ენობრივი იდენტურობის არსებობას მათ შესაბამის ტერიტორიებზე და უზრუნველყოფენ მათი ვინაობის ხელშეწყობის პირობებს.

2. სახელმწიფოები მიიღებენ სათანადო კანონმდებლობას და მიიღებენ სხვა ზომებს აღნიშნული მიზნების მისაღწევად.

მუხლი 2

1. პირებს, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ ან ეთნიკურ, რელიგიურ და ენობრივ უმცირესობებს, (შემდგომში მითითებულია, როგორც უმცირესობების წარმომადგენელი პირები) უფლება აქვთ ჰქონდეთ თავიანთი კულტურა, საკუთარი რელიგია, და გამოიყენონ საკუთარი ენა, კერძოდ და საჯაროდ, თავისუფლად და ყოველგვარი ჩარევისა და რაიმე ფორმის დისკრიმინაციის გარეშე.

2. უმცირესობების წარმომადგენელ პირებს უფლება აქვთ აქტიური მონაწილეობა მიიღონ კულტურულ, რელიგიურ, ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

3. უმცირესობების წარმომადგენელ პირებს უფლება აქვთ აქტიური მონაწილეობა მიიღონ გადაწყვეტილებების მიღებაში ეროვნულ, და საჭიროების შემთხვევაში, რეგიონალურ დონეზე, იმ უმცირესობის შესახებ, რომელსაც ისინი მიეკუთვნებიან ან იმ რეგიონების შესახებ, რომლებშიც ისინი ცხოვრობენ ისე, რომ ეს შესაბამისობას იყოს ადგილობრივ კანონმდებლობასთან.

4. უმცირესობების წარმომადგენელ პირებს უფლება აქვთ შექმნან და იქონიონ საკუთარი ასოციაციები.

5. უმცირესობების წარმომადგენელ პირებს უფლება აქვთ შექმნან და იქონიონ, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, თავისუფალი და მშვიდობიანი კონტაქტები მათი ჯგუფის სხვა წევრებთან და სხვა უმცირესობების წარმომადგენელ პირებთან ისევე, როგორც კონტაქტები საზღვარგარეთაც სხვა სახელმწიფოების მოქალაქეებთან, რომლებთანაც მათ აქვთ ეროვნული ან ეთნიკური, რელიგიური ან ენობრივი კავშირები.

მუხლი 3

1. უმცირესობების წარმომადგენელ პირებს შეუძლიათ ისარგებლონ

საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტები

მათი უფლებებით, მათ შორის წინამდებარე დეკლარაციაში მითითებული უფლებებით, ინდივიდუალურად ისევე, როგორც საზოგადოებაში მათი ჯგუფის სხვა წევრებთან, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე.

2. უმცირესობის წარმომადგენელ პირებს არ უნდა შეექმნათ არავითარი დისკრიმორტი წინამდებარე დეკლარაციაში მითითებული უფლებების სარგებლობის ან არ სარგებლობის შედეგად.

მუხლი 4

1. სახელმწიფოებმა, საჭიროების შემთხვევაში, ზომები უნდა მიიღონ, რომ უმცირესობების წარმომადგენელმა პირებმა სრულად და ეფექტურად ისარგებლონ ყველა მათი ადამიანური უფლებით და ძირითადი თავისუფლებით, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე და კანონის შესაბამისად სრული თანასწორობით.

2. სახელმწიფოებმა ზომები უნდა მიიღონ, რომ შექმნან სასურველი პირობები იმისათვის, რომ უმცირესობების წარმომადგენელ პირებს საშუალება მისცენ გამოხატონ მათი თავისებურებები და განავითარონ თავიანთი კულტურა, ენა, რელიგია, ტრადიციები და ადათ-წესები, თუ ეს არ ეწინააღმდეგება ადგილობრივ კანონმდებლობას და საერთაშორისო სტანდარტებს.

3. სახელმწიფოებმა სათანადო ზომები უნდა მიიღონ ისე, რომ საჭიროების შემთხვევაში, უმცირესობების წარმომადგენელ პირებს სათანადო შესაძლებლობა ჰქონდეთ შეისწავლონ მათი დედაენა ან სხვა-განათლება მიიღონ საკუთარ ენაზე.

4. სახელმწიფოებმა, საჭიროების შემთხვევაში, ღონისძიებები უნდა გაატარონ საგანმანათლებლო სფეროში, რომ ხელი შეუწყონ მათ ტერიტორიაზე არსებული უმცირესობების ისტორიის, ენის და კულტურის ცოდნას. უმცირესობების წარმომადგენელ პირებს სათანადო შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ ინფორმაცია მიიღონ მთლიანობაში საზოგადოების შესახებ.

5. სახელმწიფოებმა უნდა განიხილონ ისეთი ღონისძიებები, რომლებიც საშუალებას მისცემს უმცირესობების წარმომადგენელ ადამიანებს, რომ მათ სრული მონაწილეობა მიიღონ მათი ქვეყნის ეკონომიკურ პროგრესსა და განვითარებაში.

მუხლი 5

1. ადგილობრივი პოლიტიკა და პროგრამები უნდა დაიგეგმოს და განხორციელდეს უმცირესობების წარმომადგენელი პირების კანონიერი ინტერესების დაცვით.

2. სახელმწიფოებს შორის უნდა დაიგეგმოს და განხორციელდეს თანამშრომლობისა და დახმარების პროგრამები უმცირესობების წარმომადგენელი პირების კანონიერი ინტერესების დაცვით.

მუხლი 6

სახელმწიფოებმა უნდა ითანამშრომლონ უმცირესობების წარმომადგენელ პირთა დაკავშირებულ საკითხებზე, ამასთანავე ერთმანეთს უნდა გაუზიარონ ინფორმაცია და გამოცდილება, რათა ხელი შეუწყონ

ურთიერთგაგებას და ურთიერთნდობას.

მუხლი 7

სახელმწიფოებმა უნდა ითანამშრომლონ იმისათვის, რომ ხელი შეუწყონ წინამდებარე დეკლარაციაში განსაზღვრულ უფლებებს.

მუხლი 8

1. წინამდებარე დეკლარაციის არცერთი დებულება არ კრძალავს სახელმწიფოთა საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებას უმცირესობების წარმომადგენელ პირებთან დაკავშირებით. კერძოდ, სახელმწიფოებმა კეთილსინდისიერად უნდა შეასრულონ იმ საერთაშორისო შეთანხმებებისა და ხელშეკრულებების თანახმად მათზე დაკისრებული ვალდებულებები, რომელთა მხარეებიც არიან ისინი.

2. წინამდებარე დეკლარაციაში მითითებული უფლებებით სარგებლობამ არ უნდა შეზღუდოს ადამიანების მიერ საზოგადოდ მიღებული ადამიანის უფლებების და ძირითადი თავისუფლებების გამოყენება.

3. სახელმწიფოების მიერ წინამდებარე დეკლარაციაში მითითებული უფლებების ეფექტურად გამოყენებისათვის მიღებული ზომები უპირველეს ყოვლისა არ უნდა განიხილოს ადამიანთა უფლებების უნივერსალურ დეკლარაციაში განსაზღვრული თანასწორობის პრინციპების საპირისპიროდ.

4. წინამდებარე დეკლარაციის არცერთი დებულება არ უნდა განიმარტოს ისეთი მოქმედების დამშვებად, რომელიც ეწინააღმდეგება გაეროს მიზნებსა და პრინციპებს, მათ შორის სუვერენული თანასწორობის, სახელმწიფოების ტერიტორიული ერთიანობისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობის პრინციპებს.

მუხლი 9

გაეროს სისტემის სპეციალიზირებული სააგენტოები და სხვა ორგანიზაციები წვლილს შეიტანენ წინამდებარე დეკლარაციაში განსაზღვრული უფლებებისა და პრინციპების სრულ რეალიზაციაში, მათი შესაბამისი კომპეტენციის სფეროს ფარგლებში.



კონვენცია ქალის დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ

მიღებულია და ღიაა ხელმოწერის და რატიფიცირებისა და მიერთებისათვის გენერალური ასამბლეის 1979 წლის 18 დეკემბრის რეზოლუციით 34/180

ძალაშია: 1981 წლის 3 სექტემბრიდან 27 (1)-ე მუხლის თანახმად

ამ კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები, რომლებიც აღნიშნავენ, რომ გაერთიანებული ერების წესდება განამტკიცებს ადამიანის ძირითადი უფლებებისადმი მისი როგორც პიროვნების ღირსებისა და ღირებულებისადმი და მამაკაცისა და ქალის თანასწორ-უფლებიანობისადმი რწმენას,

აღნიშნავენ, რომ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია განამტკიცებს დისკრიმინაციის დაუშვებლობის პრინციპს და აცხადებს, რომ ყველა ადამიანი იბადება თავისუფალი, თანასწორი ღირსებითა და უფლებებით, და უნდა ფლობდეს დეკლარაციით გამოცხადებულ ყველა უფლებასა და თავისუფლებას, ნებისმიერი, მათ შორის, სქესის ნიშნით განსხვავების მიუხედავად,

აღნიშნავენ, რომ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებების მონაწილე სახელმწიფოები ვალდებული არიან უზრუნველყონ მამაკაცისა და ქალის თანასწორობა ნებისმიერი ეკონომიკური, სოციალური, კულტურული, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებებით სარგებლობისას,

მხედველობაში იღებენ გაერთიანებული ერების და მისი სპეციალიზებული დაწესებულებების ეგიდით დადებულ საერთაშორისო კონვენციებს, რომლებიც ხელს უწყობს მამაკაცისა და ქალის თანასწორობის უფლებას,

ითვალისწინებენ, აგრეთვე, მამაკაცისა და ქალის თანასწორუფლებიანობის ხელშეწყობის მიზნით, გაერთიანებული ერებისა და მისი სპეციალიზებული დაწესებულებების მიერ მიღებულ რეზოლუციებს, დეკლარაციებსა და რეკომენდაციებს,

შეშფოთებულნი არიან, რომ სხვადასხვა დოკუმენტების არსებობის მიუხედავად, ქალთა მზარდი დისკრიმინაცია გრძელდება,

შეახსენებენ, რომ ქალის დისკრიმინაცია არღვევს თანასწორუფლებიანობისა და ადამიანური ღირსების პატივისცემის პრინციპებს, ხელს უშლის მამაკაცის თანაბრად ქალის მონაწილეობას ქვეყნის პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში; აბრკოლებს საზოგადოებისა და ოჯახის კეთილდღეობის ზრდას და ართულებს ქალის შესაძლებლობათა სრულად გამოვლენას მისი ქვეყნისა და კაცობრიობის საკეთილდღეოდ,

შეშფოთებულნი არიან, რომ სიღარიბის პირობებში ქალებისათვის ნაკლებად ხელმისაწვდომია სურსათი, ჯანმრთელობის დაცვის საშუალებები, განათლება, პროფესიული მომზადება და დასაქმება, აგრეთვე სხვა მოთხოვნილებები,

დარწმუნებული არიან, რომ თანასწორობასა და სამართლიანობაზე დაფუძნებული ახალი საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგის დამყარება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მამაკაცისა და ქალის თანაბარუფლებიანობის განვითარებას,

ხაზს უსვამენ, რომ აპარტიდის, რასიზმის ყველა ფორმის, რასობრივი დისკრიმინაციის, კოლონიალიზმის, ნეოკოლონიალიზმის, აგრესიის, უცხო სახელმწიფოს მიერ ოკუპაციისა და ბატონობის, სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩარევის აღმოფხვრა აუცილებელია მამაკაცისა და ქალის უფლებებით სრული სარგებლობისათვის,

ადასტურებენ, რომ საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცება, საერთაშორისო დაძაბულობის შენელება, სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობა მათი სოციალური და ეკონომიკური სისტემების მიუხედავად, საყოველთაო და სრული განიარაღება, განსაკუთრებით მკაცრ და ეფექტურ საერთაშორისო კონტროლს დაქვემდებარებული ბირთვული განიარაღება, ქვეყნებს შორის ურთიერთობაში სამართლიანობის, თანასწორობისა და ურთიერთსარგებლობის პრინციპების დამკვიდრება და უცხოეთისა და კოლონიური ბატონობის, უცხოური ოკუპაციის ქვეშ მყოფი ხალხების თვითგამორკვევისა და დამოუკიდებლობის უფლების განხორციელება, აგრეთვე, ეროვნული სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემა ბიძგს მისცემს სოციალურ პროგრესსა და განვითარებას, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს მამაკაცსა და ქალს შორის სრული თანასწორობის მიღწევას,

დარწმუნებულნი არიან, რომ ქვეყნის სრული განვითარება, მსოფლიოს კეთილდღეობა და მშვიდობა მოითხოვს ყველა სფეროში ქალის მაქსიმალურ მონაწილეობას მამაკაცის თანასწორად,

ითვალისწინებენ ოჯახის კეთილდღეობისა და საზოგადოების განვითარების საქმეში ქალის განუზომელ წვლილს, რომელსაც დღემდე არ მოუპოვებია სრული აღიარება, ოჯახსა და ბავშვის აღზრდაში დედობის ფუნქციისა და ორივე მშობლის როლის სოციალურ მნიშვნელობას, ასევე, გაცნობიერებული აქვთ, რომ ქალის როლი შთამომავლობის გაგრძელებაში არ უნდა იყოს მისი დისკრიმინაციის საფუძველი, ვინაიდან ბავშვის აღზრდა მოითხოვს მამაკაცსა და ქალს, აგრეთვე მთლიანად საზოგადოებას შორის პასუხისმგებლობის განაწილებას,

აღიარებენ, რომ მამაკაცისა და ქალის სრული თანასწორობის მისაღწევად საჭიროა საზოგადოებასა და ოჯახში როგორც მამაკაცის, ისე ქალის ტრადიციული როლის შეცვლა,

მზად არიან განახორციელონ ქალის დისკრიმინაციის ლიკვიდაციის შესახებ დეკლარაციით გამოცხადებული პრინციპები და ამ მიზნით, მიიღონ ასეთი დისკრიმინაციის ყველა ფორმისა და გამოვლინების აღ-

მისაფხვრელად საჭირო ზომები.

შეთანხმდნენ შემდეგზე:

ნაწილი I

მუხლი 1

ამ კონვენციის მიზნებისათვის ტერმინი “ქალის დისკრიმინაცია” ნიშნავს სქესის ნიშნით ნებისმიერ განსხვავებას, გამოიწვევას ან შეზღუდვას, რომელმაც შესაძლებელია შედეგად მოიტანოს ან რომლის მიზანია ქალის მიერ, მისი ოჯახური მდგომარეობის მიუხედავად, მამაკაცისა და ქალის თანასწორობის საფუძველზე, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, სამოქალაქო ან ნებისმიერ სხვა სფეროში ადამიანის უფლებებისა და ძირითად თავისუფლებათა აღიარების, სარგებლობის ან გამოყენების შესაძლებლობის შესუსტება ან სრული უარყოფა.

მუხლი 2

მონაწილე სახელმწიფოები გმობენ ქალის დისკრიმინაციის ნებისმიერ გამოვლინებას, თანახმა არიან ყველა შესატყვისი საშუალებით, დაუყოვნებლივ განახორციელონ ქალის დისკრიმინაციის ლიკვიდაციის პოლიტიკა და ამ მიზნით, კისრულობენ ვალდებულებას:

ა. შეიტანონ მამაკაცისა და ქალის თანასწორუფლებიანობის პრინციპი თავიანთ კონსტიტუციებში ან შესაბამის საკანონმდებლო აქტებში, თუ ეს აქამდე არ გაუკეთებიათ, და უზრუნველყონ კანონითა და სხვა შესატყვისი საშუალებებით ამ პრინციპის პრაქტიკული განხორციელება;

ბ. მიიღონ, სადაც ეს აუცილებელია, ქალის ყოველგვარი დისკრიმინაციის ამკრძალავი შესაბამისი საკანონმდებლო და სხვა ზომები, სანქციების ჩათვლით;

ც. დააწესონ ქალის უფლებების სამართლებრივი დაცვა მამაკაცთან თანასწორ საფუძველზე და კომპეტენტური ეროვნული სასამართლოებისა და სხვა სახელმწიფო დაწესებულებების მეშვეობით უზრუნველყონ დისკრიმინაციის ნებისმიერი აქტისაგან ქალის ეფექტური დაცვა;

დ. თავი შეიკავონ ქალის მიმართ რაიმე დისკრიმინაციული აქტისა თუ მოქმედებისაგან და უზრუნველყონ სახელმწიფო ორგანოებისა და დაწესებულებების მოქმედება ამ ვალდებულების შესაბამისად;

ე. მიიღონ ყველა შესაბამისი ზომა ნებისმიერი პირის, ორგანიზაციისა თუ სანარმოს მხრიდან ქალის დისკრიმინაციის აღმისაფხვრელად;

ფ. მიიღონ ყველა შესაბამისი ზომა, საკანონმდებლოს ჩათვლით, იმ მოქმედი კანონების, დადგენილებების, ჩვეულებებისა და პრაქტიკის შასაცვლელად ან გასაუქმებლად, რომელიც ქალის დისკრიმინაციას აწესებს;

გ. გააუქმონ თავიანთი სისხლის სამართლის კანონმდებლობის ყველა დებულება, რომელიც ქალის დისკრიმინაციას აწესებს.

მუხლი 3

მონაწილე სახელმწიფოები ყველა სფეროში, კერძოდ, პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ სფეროებში იღებენ შესაბა-

მის ზომებს, საკანონმდებლოს ჩათვლით, ქალის ყოველმხრივი განვითარებისა და პროგრესის უზრუნველსაყოფად, რათა მას მამაკაცთან თანასწორობის საფუძველზე შეექმნას ადამიანის უფლებებითა და ძირითადი თავისუფლებებით სარგებლობისა და მათი განხორციელების გარანტია.

მუხლი 4

1. მონაწილე სახელმწიფოს მიერ, მამაკაცსა და ქალს შორის ფაქტობრივი თანასწორობის დამყარების დასაჩქარებლად მიღებული დროებითი სპეციალური ზომები ამ კონვენციის განსაზღვრების მიხედვით, დისკრიმინაციულად არ ჩაითვლება, თუმცა, მან არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება გამოიწვიოს არათანაბარი და განსხვავებული სტანდარტების შენარჩუნება; აღნიშნული ზომები უნდა გაუქმდეს, როცა მიღწეული იქნება მიზანი, რომელიც შესაძლებლობათა და მოპყრობის თანაბრობაში გამოიხატება.

2. მონაწილე სახელმწიფოების მიერ დედობის დასაცავად სპეციალური, მათ შორის ამ კონვენციით გათვალისწინებული ზომების მიღება დისკრიმინაციულად არ ჩაითვლება.

მუხლი 5

მონაწილე სახელმწიფოები იღებენ ყველა შესაბამის ზომას, რათა:

ა. შეცვალონ მამაკაცისა და ქალის ყოფაცქევის სოციალური და კულტურული მოდელები იმ ცრურწმენებისა და ჩვეულებების, აგრეთვე, მთელი დანარჩენი პრაქტიკის აღმოფხვრის მიზნით, რომელიც ემყარება ერთ-ერთი სქესის არასრულფასოვნების ან უპირატესობის იდეას ან მამაკაცის და ქალის როლის სტერეოტიპულ გააზრებას.

ბ. უზრუნველყონ, რომ საოჯახო აღზრდა გულისხმობდეს დედობის, როგორც სოციალური ფუნქციის სწორ გაგებას და ბავშვის აღზრდისა და განვითარების საქმეში მამაკაცისა და ქალის საერთო პასუხისმგებლობის აღიარებას, ბავშვის უპირატესი ინტერესების გათვალისწინებით.

მუხლი 6

მონაწილე სახელმწიფოები იღებენ ყველა შესაბამის ზომას, საკანონმდებლოს ჩათვლით, ქალებით ყოველგვარი ვაჭრობისა და ქალის პროსტიტუციის ექსპლუატაციის აღსაკვეთად.

ნაწილი II

მუხლი 7

მონაწილე სახელმწიფოები მიმართავენ ყველა შესაბამის ზომას ქვეყნის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალის დისკრიმინაციის ლიკვიდაციისათვის, კერძოდ, ქალისათვის, მამაკაცის თანასწორად, უზრუნველყოფენ უფლებას:

ა. ხმა მისცეს ყველა არჩევნებსა და რეფერენდუმში, არჩეულ იქნას ნებისმიერ სახალხოდ არჩეულ ორგანოში;

ბ. მონაწილეობდეს სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირებასა და განხორციელებაში და ეკავოს სახელმწიფო თანამდებობა, აგრეთვე,

საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტები

ახორციელებდეს ნებისმიერ საჯარო ფუნქციას, აღმასრულებელი ხელისუფლების ყველა დონეზე;

ც. მონაწილეობდეს არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ასოციაციების საქმიანობაში, რომლებიც ქვეყნის საზოგადოებრივი და პოლიტიკური პრობლემებით არიან დაკავებული.

მუხლი 8

მონაწილე სახელმწიფოები მიმართავენ ყველა შესაბამის ზომას, რათა უზრუნველყონ ქალისათვის მამაკაცის თანასწორად და დისკრიმინაციის გარეშე საერთაშორისო დონეზე საკუთარი მთავრობის წარმომადგენლისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მუშაობაში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა.

მუხლი 9

1. მონაწილე სახელმწიფოები ქალს უფლებრივად უთანაბრებენ მამაკაცს მის მიერ მოქალაქეობის შექმნის, შეცვლის და შენარჩუნების დროს. განსაკუთრებით, უზრუნველყოფენ, რომ უცხოელზე ქორწინებამ ან ქორწინების პერიოდში ქმრის მოქალაქეობის შეცვლამ არ გამოიწვიოს ცოლის მოქალაქეობის ავტომატური შეცვლა, არ აქციოს ის მოქალაქეობის არმქონე პირად და არ აიძულოს მას ქმრის მოქალაქეობის მიღება.

2. მონაწილე სახელმწიფოები ქალს უფლებრივად უთანაბრებენ მამაკაცს შვილების მოქალაქეობის განსაზღვრისას.

ნაწილი III

მუხლი 10

მონაწილე სახელმწიფოები მიმართავენ ყველა შესაბამის ზომას ქალის დისკრიმინაციის ლიკვიდაციისათვის, რათა მამაკაცისა და ქალის თანასწორობის საფუძველზე, ქალი უზრუნველყონ მამაკაცის თანაბარი უფლებებით განათლების გარეშე, კერძოდ:

ა. პროფესიის ან სპეციალობის არჩევისას განათლების ხელმისაწვდომობის, ყველა კატეგორიის სასწავლო დაწესებულებების დიპლომის მიღების ერთნაირი პირობებით, როგორც სოფლის, ისე ქალაქის რაიონებში. ეს თანასწორობა უზრუნველყოფილ უნდა იქნას როგორც სკოლაშეღებულ, ზოგადი, ტექნიკური და უმაღლესი ტექნიკური, ასევე ყველა ტიპის სპეციალური განათლებისათვის;

ბ. სწავლების ერთნაირი პროგრამების, ერთნაირი გამოცდების, თანაბარი კვალიფიკაციის მასწავლებელთა შემადგენლობის, თანაბარი ხარისხის სასკოლო შენობებისა და მონყობილობების ხელმისაწვდომობა;

ც. ყველა დონისა და ფორმის სასწავლებელში მამაკაცისა და ქალის როლის შესახებ სტერეოტიპული წარმოდგენების აღმოფხვრა ერთობლივი სწავლებისა და სწავლების სხვა ფორმების წახალისების გზით, რომელიც ხელს შეუწყობს ამ მიზნის მიღწევას, კერძოდ, სახელმძღვანელოებისა და სასკოლო პროგრამების გადასინჯვითა და ამ მიზანთან სწავლების მეთოდების მისადაგებით;

დ. სტიპენდიებისა და სხვა სასწავლო დახმარების მიღების თანაბარი

შესაძლებლობა;

ე. შემდგომი განათლების მიღების პროგრამების ხელმისაწვდომობის თანაბარი შესაძლებლობა, მოზრდილთა და ფუნქციური წიგნიერების პროგრამების ჩათვლით, რომელიც მამაკაცთა და ქალთა ცოდნაში არსებული ვაკუუმის სწრაფი შემცირებისაკენაა მიმართული;

ფ. სკოლადაუმთავრებელ გოგონათა რიცხვის შემცირება და პროგრამების შემუშავება იმ გოგონებისა და ქალებისათვის, რომელთაც ნაადრევად მიატოვეს სკოლა;

გ. სპორტსა და ფიზიკურ მომზადებაში მონაწილეობის თანაბარი შესაძლებლობა;

ჰ. ოჯახის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფის ხელშესაწყობად საგანმანათლებლო ხასიათის სპეციალური ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, ოჯახის დაგეგმვის შესახებ ინფორმაციისა და კონსულტაციების ჩათვლით.

მუხლი 11

1. მონაწილე სახელმწიფოები მიმართავენ ყველა შესაბამის ზომას ქალის დისკრიმინაციის ლიკვიდაციისათვის, რათა მამაკაცისა და ქალის თანასწორობის საფუძველზე, ქალი უზრუნველყონ მამაკაცის თანაბარი უფლებებით დასაქმების დარგში, კერძოდ:

ა. შრომის უფლებით, როგორც ყოველი ადამიანის განუყოფელი უფლებით;

ბ. სამუშაოზე დაქირავების დროს ერთნაირი შესაძლებლობების უფლებით, დაქირავებისას შერჩევის თანაბარი კრიტერიუმების გამოყენების ჩათვლით;

ც. პროფესიის ან სამუშაოს თავისუფალი არჩევის, თანამდებობრივი დაწინაურებისა და დასაქმების გარანტიის, აგრეთვე, ყველა სამსახურებრივი შეღავათითა და პირობით სარგებლობის, პროფესიული მომზადებისა და გადამზადების უფლებით - მონაფეობის, გაძლიერებული პროფესიული მომზადებისა და რეგულარული გადამზადების ჩათვლით;

დ. თანაბარი ანაზღაურების, მათ შორის, შეღავათების მიღების, თანაბარი ღირებულების შრომისათვის თანაბარი პირობების, აგრეთვე, შესრულებული სამუშაოს ხარისხის შეფასებისადმი თანაბარი მიდგომის უფლებით;

ე. სოციალური უზრუნველყოფის უფლებით, კერძოდ, პენსიაზე გასვლის, უმუშევრობის, ავადმყოფობის, ინვალიდობის, მოხუცებულობის და შრომისუნარიანობის დაკარგვის სხვა შემთხვევებში, აგრეთვე, ანაზღაურებადი შვებულების უფლებით;

ფ. ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის უსაფრთხო პირობების, მათ შორის შთამომავლობის გაგრძელების ფუნქციის დაცვის უფლებით;

1. გათხოვებისა და დედობის მიზეზით ქალის დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად და მისთვის შრომის ეფექტური გარანტიების შესაქმნელად, მონაწილე სახელმწიფოები მიმართავენ შესაბამის ზომებს,

რათა:

ა. სანქციების გამოყენების მუქარით აკრძალონ ორსულობისა და მშობიარობის გამო შვებულების საფუძველზე სამუშაოდან დათხოვნა ან დათხოვნისას ოჯახური პირობების გამო დისკრიმინაცია;

ბ. შემოიღონ ანაზღაურებადი შვებულება ან შვებულება შესაბამისი სოციალური დახმარებით ორსულობისა და მშობიარობის გამო, მუშაობის წინანდელი ადგილის, თანამდებობისა და სოციალური დახმარების შენარჩუნებით;

გ. ნაახალისონ აუცილებელი სოციალური მომსახურების განწევა, რათა მშობლებს შეეძლოთ საოჯახო მოვალეობათა შესრულება შეუთავსონ შრომით საქმიანობასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობას, კერძოდ, საბავშვო დაწესებულებათა ქსელის შექმნისა და გაფართოების გზით;

დ. უზრუნველყონ ორსულობის პერიოდში ქალების განსაკუთრებული დაცვა ისეთი სამუშაოსაგან, რომელმაც მათ ჯანმრთელობაზე შეიძლება მავნე გავლენა იქონიოს.

1. კანონმდებლობა, რომელიც ამ მუხლით გათვალისწინებული უფლებების დაცვას ემსახურება, პერიოდულად განიხილება სამეცნიერო-ტიქნიკური ცოდნის შუქზე, აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში ექვემდებარება გადასინჯვას, გაუქმებას ან გაფართოებას.

მუხლი 12

1. მონაწილე სახელმწიფოები მიმართავენ ყველა შესაბამის ზომას ქალის დისკრიმინაციის ლიკვიდაციისათვის ჯანმრთელობის დაცვის დარგში, რათა მამაკაცისა და ქალის თანასწორობის საფუძველზე უზრუნველყონ ქალისათვის სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობა, მათ შორის ოჯახის დაეგმვასთან დაკავშირებით.

2. ამ მუხლის I პუნქტის დებულებებისაგან დამოუკიდებლად, მონაწილე სახელმწიფოები ქალებს უზრუნველყოფენ შესაბამისი მომსახურებით ორსულობის, მშობიარობისა და მშობიარობის შემდგომ პერიოდში, აუცილებლობის შემთხვევაში უნევენ უფასო მომსახურებას, ასევე, ორსულობისა და მეძუძურობის პერიოდში უზრუნველყოფენ შესაბამისი კვებით.

მუხლი 13

მონაწილე სახელმწიფოები მიმართავენ ყველა შესაბამის ზომას ქალის დისკრიმინაციის ლიკვიდაციისათვის, რათა მამაკაცისა და ქალის თანასწორობის საფუძველზე, ქალი უზრუნველყონ მამაკაცის თანაბარი უფლებებით ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების სხვა სფეროებში, კერძოდ:

ა. საოჯახო დახმარების უფლებით;

ბ. საბანკო კრედიტის, უძრავი ქონების გირავნობით სესხის და ფინანსური კრედიტის სხვა ფორმების მიღების უფლებით;

გ. დასვენების, სპორტისა და კულტურული ცხოვრების ყველა დარგთან დაკავშირებულ ღონისძიებებში მონაწილეობის უფლებით.

მუხლი 14

1. მონაწილე სახელმწიფოები მხედველობაში იღებენ სოფლად მცხოვრები ქალების განსაკუთრებულ პრობლემებს და იმ მნიშვნელოვან როლს, რომელსაც ისინი თავიანთი ოჯახების ეკონომიკური უზრუნველყოფის საქმეში თამაშობენ, მათ შორის, საქმიანობას მეურნეობის არასასაქონლო დარგებში, და მიმართავენ ყველა შესაბამის ზომას, სოფლად მცხოვრები ქალების მიმართ ამ კონვენციის დებულებათა გამოყენების უზრუნველსაყოფად.

2. მონაწილე სახელმწიფოები მიმართავენ ყველა შესაბამის ზომას სოფლის რაიონებში ქალის დისკრიმინაციის ლიკვიდაციისათვის, რათა მამაკაცისა და ქალის თანასწორობის საფუძველზე უზრუნველყოფილ იქნას ქალთა მონაწილეობა რაიონების განვითარებასა და ასეთი განვითარებისაგან სარგებლობის მიღებაში, კერძოდ, ასეთ ქალებს აღჭურვავენ უფლებით:

ა. ყველა დონეზე მონაწილეობდნენ განვითარების გეგმების შემუშავებასა და განხორციელებაში;

ბ. ხელი მიუწვდებოდეთ სამედიცინო მომსახურების შესაბამის საშუალებებზე, ოჯახის დაგეგმვის საკითხებზე ინფორმაციის, კონსულტაციებისა და მომსახურების ჩათვლით;

გ. უშუალოდ იღებდნენ სარგებელს სოციალური დაზღვევის პროგრამებისაგან;

დ. იღებდნენ ყველა სახის ფორმალურ და არაფორმალურ მომზადებასა და განთლებას, წიგნიერების ჩათვლით, აგრეთვე, სარგებლობდნენ სათემო მომსახურების და საკონსულტაციო მომსახურების ყველა საშუალებით, ტექნიკური მომზადების დონის ამაღლების მიზნით;

ე. ქმნიდნენ თვითდახმარების ჯგუფებსა და კოოპერატივებს, ეკონომიკურ შესაძლებლობათა თანაბარი ხელმისაწვდომობის მიზნით დაქირავებული შრომის ან თვითდასაქმების საშუალებით;

ფ. მონაწილეობდნენ ყველა სახის კოლექტიურ საქმიანობაში;

გ. ჰქონდეთ შესაძლებლობა, მიიღონ სასოფლო-სამეურნეო კრედიტი და სესხები, ისარგებლონ მარკეტინგის სისტემით, შესაბამისი ტექნოლოგიითა და მიწისა და აგრარულ რეფორმებში, აგრეთვე, ხელახლა დასახლების გეგმებში თანაბარი სტატუსით;

ჰ. სარგებლობდნენ ცხოვრების სათანადო პირობებით, განსაკუთრებული საბინაო, სანიტარული, ელექტრო და წყალმომარაგებით, აგრეთვე ტრანსპორტითა და კავშირგაბმულობის საშუალებებით მომსახურებასთან მიმართებაში.

ნაწილი IV

მუხლი 15

1. მონაწილე სახელმწიფოები კანონის წინაშე აღიარებენ ქალის მამაკაცთან თანასწორობას.

საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტები

2. მონაწილე სახელმწიფოები ქალს ანიჭებენ მამაკაცის თანაბარ სამოქალაქო უფლებაუნარიანობას და მისით სარგებლობის თანაბარ შესაძლებლობებს, კერძოდ, უზრუნველყოფენ ქალის თანაბარ უფლებებს ხელშეკრულებების დადებისა და ქონების მართვისას, აგრეთვე, მისდამი თანაბარ დამოკიდებულებას სასამართლოებსა და ტრიბუნალებში საქმის განხილვის ყველა ეტაპზე.

3. მონაწილე სახელმწიფოები თანხმდებიან, რომ ბათილად და ძალადაკარგულად ჩაითვალოს ნებისმიერი ხელშეკრულება და კერძო იურიდიული დოკუმენტი, რომელსაც ქალის უფლებაუნარიანობის შეზღუდვა მოჰყვება.

4. მონაწილე სახელმწიფოები მამაკაცსა და ქალს ანიჭებენ თანაბარ უფლებებს გადაადგილების, ბინადრობისა და საცხოვრებელი ადგილის არჩევის თავისუფლების კანონმდებლობასთან მიმართებაში.

მუხლი 16

1. მონაწილე სახელმწიფოები მიმართავენ ყველა შესაბამის ზომას ქალის დისკრიმინაციის ლიკვიდაციისათვის ქორწინებასა და საოჯახო ურთიერთობებთან დაკავშირებულ ყველა საკითხში, კერძოდ, მამაკაცთა და ქალთა თანასწორობის საფუძველზე უზრუნველყოფენ:

- ა. ქორწინებისას ერთნაირ უფლებებს;
- ბ. მეუღლის თავისუფლად არჩევისა და მხოლოდ თავისუფალი და სრული თანხმობით ქორწინების თანაბარ უფლებებს;
- გ. ქორწინებაში ყოფნისა და განქორწინების დროს ერთნაირ უფლებებსა და მოვალეობებს;
- დ. მშობლების თანაბარ უფლებებსა და მოვალეობებს, მათი ოჯახური მდგომარეობისაგან დამოუკიდებლად, შვილებთან დაკავშირებულ საკითხებში, რადგან ნებისმიერ შემთხვევაში შვილების ინტერესები უპირატესია;

ე. შვილების რაოდენობისა და მათ დაბადებას შორის დროის შუალედების საკითხის თავისუფლად და პასუხისმგებლობით გადანყვეტის თანაბარ უფლებებს. აგრეთვე, ამ უფლებებით სარგებლობისათვის საჭირო ინფორმაციისა და განათლების მიღების შესაძლებლობას;

ფ. მეურვეობასთან, მზრუნველობასთან, წარმომადგენლობასთან და შვილებთან ან ანალოგიური ფუნქციების შესრულებასთან მიმართებაში თანაბარ უფლებებსა და მოვალეობებს, როცა ამას ეროვნული კანონმდებლობა ითვალისწინებს;

გ. მეუღლეთა თანაბარ პირად უფლებებს, მათ შორის გვარის, პროფესიისა და საქმიანობის არჩევასთან მიმართებაში;

ჰ. მეუღლეთა ქონების მფლობელობის, შეძენის, მართვის, სარგებლობისა და განკარგვის თანაბარ უფლებას.

2. ბავშვის ნიშნობასა და ქორწინებას იურიდიული ძალა არა აქვს. მიღებულ უნდა იქნას ყველა ზომა, საკანონმდებლოს ჩათვლით, რათა სავალდებულო წესით განისაზღვროს ქორწინების მინიმალური ასაკი და ქორწინების აუცილებელი რეგისტრაცია სახელმწიფო რეესტრში.

ნაწილი V
მუხლი 17

1. ამ კონვენციის განხორციელებისას მიღწეული პროგრესის განსახილველად არსდება ქალის დისკრიმინაციის სალიკვიდაციო კომიტეტი (შემდგომში “კომიტეტი”), რომელიც კონვენციის ძალაში შესვლის მომენტისათვის შედგება 18, ხოლო ოცდამეთხუთმეტე მონაწილე სახელმწიფოს მიერ მისი რატიფიკაციის ან მასთან მიერთების შემდეგ – 23 მაღალი მორალური თვისებებისა და კომპეტენციის მქონე ექსპერტისაგან. მონაწილე სახელმწიფოები ექსპერტებს ირჩევენ საკუთარ მოქალაქეთაგან და ისინი მოქმედებენ პერსონალურად. ექსპერტების შერჩევისას მხედველობაში მიიღება სამართლიანი გეოგრაფიული განაწილება და სხვადასხვა ცივილიზაციების, აგრეთვე სამართლებრივი სისტემების წარმომადგენლობა.

2. კომიტეტის წევრებს ირჩევენ მონაწილე სახელმწიფოების მიერ დასახელებულ პირთაგან, ფარული კენჭისყრით. ყოველ მონაწილე სახელმწიფოს შეუძლია დაასახელოს 1 პირი თავის მოქალაქეთაგან.

3. პირველი არჩევნები ეწყობა ამ კონვენციის ძალაში შესვლის დღიდან 6 თვის შემდეგ. ყოველი არჩევნების მოწყობამდე სულ ცოტა 3 თვით ადრე გაერთიანებული ერების გენერალური მდივანი მონაწილე სახელმწიფოებს უგზავნის წერილს, წინადადებით, წარმოადგინონ თავიანთი კანდიდატურები 2 თვის განმავლობაში. გენერალური მდივანი ადგენს სიას, რომელშიც ანბანური წესით შეჰყავს ყველა პირი იმ მონაწილე სახელმწიფოთა აღნიშვნით, რომლებმაც ისინი დაასახელეს, და წარუდგენს მონაწილე სახელმწიფოებს.

4. კომიტეტის წევრთა არჩევნები ეწყობა მონაწილე სახელმწიფოთა სხდომაზე, რომელსაც იწვევს გენერალური მდივანი გაერთიანებული ერების შტაბ-ბინაში. სხდომაზე, რომლის ქვორუმსაც მონაწილე სახელმწიფოთა 2/3 შეადგენს, კომიტეტში არჩეულ პირებად ითვლებიან ის კანდიდატები, რომლებიც ხმათა მეტ რაოდენობას და სხდომაზე დამსწრე და კენჭისყრაში მონაწილე სახელმწიფოთა წარმომადგენლების ხმათა აბსოლუტურ უმრავლესობას მიიღებენ.

5. კომიტეტის წევრებს ირჩევენ 4 წლის ვადით, თუმცა I-ლ არჩევნებში არჩეულ 9 წევრს უფლებამოსილების ვადა 2 წლის შემდეგ გაუდის; I არჩევნების მოწყობისთანავე, კომიტეტის თავმჯდომარე წილისყრით ასახელებს ამ 9 წევრის გვარებს.

6. კომიტეტის დამატებით 5 წევრის არჩევა ხდება ამ მუხლის II, III და IV პუნქტების დეტალებათა შესაბამისად ოცდამეთხუთმეტე სახელმწიფოს მიერ კონვენციის რატიფიკაციის ან მასთან მიერთების შემდეგ. ამგვარად, არჩეულ 2 დამატებით წევრს უფლებამოსილების ვადა გაუდის 2 წლის შემდეგ; ამ 2 წევრის გვარებს ასახელებს კომიტეტის თავმჯდომარე წილისყრით.

საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტები

7. გაუთვალისწინებელი ვაკანსიების შესავსებად, მონაწილე სახელმწიფო, რომლის ექსპერტმაც, როგორც კომიტეტის წევრმა, შეწყვიტა ფუნქციონირება, კომიტეტის თანხმობით ნიშნავს სხვა ექსპერტს თავის მოქალაქეთაგან.

8. კომიტეტის წევრები იღებენ გენერალური ასამბლეის მიერ დამტკიცებულ გასამრჯელოს გაერთიანებული ერების სახსრებიდან, კომიტეტის მნიშვნელობის გათვალისწინებით ასამბლეის მიერ დადგენილი წესითა და პირობებით.

9. გაერთიანებული ერების გენერალური მდივანი უზრუნველყოფს კომიტეტს აუცილებელ პერსონალითა და მატერიალური საშუალებებით, კომიტეტის მიერ ამ კონვენციის შესაბამისი ფუნქციების ეფექტური განხორციელებისათვის.

მუხლი 18

1. მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულია კისრულობენ, გაერთიანებული ერების გენერალურ მდივანს კომიტეტში განსახილველად წარუდგინონ მოხსენება მათ მიერ ამ კონვენციის დებულებათა შესასრულებლად მიღებული საკანონმდებლო, სასამართლო, ადმინისტრაციული, თუ სხვა ღონისძიებებისა და ამასთან დაკავშირებით მიღწეული წარმატებების თაობაზე:

ა. დაინტერესებული სახელმწიფოსათვის ამ კონვენციის ძალაში შესვლის დღიდან 1 წლის განმავლობაში;

ბ. ამის შემდგომ ყოველ 4 წელიწადში ერთხელ მაინც და მომავალში კომიტეტის მოთხოვნის შესაბამისად.

1. მოხსენებაში შეიძლება მითითებულ იქნას ის ფაქტორები და სიძნელეები, რომლებიც ამ კონვენციით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების ხარისხზე გავლენას ახდენენ.

მუხლი 19

1. კომიტეტი ამტკიცებს პროცედურის საკუთარ წესებს.

2. კომიტეტი თანამდებობის პირებს ირჩევს 2 წლით.

მუხლი 20

1. კომიტეტი ყოველწლიურად არა უმეტეს 2 კვირის განმავლობაში იკრიბება. ამ კონვენციის XVII მუხლის შესაბამისად წარმოდგენილ მოხსენებათა განსახილველად.

2. კომიტეტის სხდომები, ჩვეულებრივ, იმართება გაერთიანებული ერების შტაბ-ბინაში ან ნებისმიერ სხვა შესაფერის ადგილას, რომელსაც კომიტეტი განსაზღვრავს.

მუხლი 21

1. კომიტეტი, ეკონომიკური და სოციალური საბჭოს მეშვეობით, გაერთიანებული ერების გენერალურ ასამბლეას ყოველწლიურად წარუდგენს მოხსენებას თავისი საქმიანობის შესახებ და მონაწილე სახელმწიფოთაგან მიღებული მოხსენებებისა და ინფორმაციის შესწავლის საფუძველზე ამზადებს ზოგად ხასიათის წინადადებებსა და რეკომენდაციებს. ასეთი წინადადებები და რეკომენდაციები კომიტეტის მოხსენებაში შეაქვთ

მონაწილე სახელმწიფოების შენიშვნებთან ერთად, შენიშვნების არსებობის შემთხვევაში.

2. გენერალური მდივანი კომიტეტის მოხსენებებს ინფორმაციისათვის უგზავნის კომისიას ქალის სტატუსის შესახებ.

მუხლი 22

სპეციალიზებულ დანესებულებებს უფლება აქვთ წარმოდგინონ იყვნენ ამ კონვენციის ისეთი დებულებების განხორციელების საკითხების განხილვისას, რომლებიც მათი საქმიანობის სფეროს განეკუთვნება. კომიტეტს შეუძლია სპეციალიზებულ დანესებულებებს მოუწოდოს, წარმოადგინონ მოხსენებები კონვენციის განხორციელების შესახებ იმ დარგებში, რომლებიც მათი საქმიანობის სფეროს განეკუთვნება.

ნაწილი VI

მუხლი 23

ეს კონვენცია არ ზღუდავს მამაკაცსა და ქალს შორის თანასწორობის მიღწევის უფრო მეტად ხელშემწყობ სხვა დებულებებს, რომლებსაც შეიძლება შეიცავდეს:

ა. მონაწილე სახელმწიფოს კანონმდებლობა, ან

ბ. რომელიმე სხვა საერთაშორისო კონვენცია, ხელშეკრულება ან შეთანხმება, რომელიც ამ სახელმწიფოსათვის ძალაშია.

მუხლი 24

მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულია კისრულობენ, მიმართონ ყველა აუცილებელ ზომას ეროვნულ დონეზე ამ კონვენციით აღიარებული უფლებების სრული რეალიზაციის მისაღწევად.

მუხლი 25

1. ეს კონვენცია ხელმოსაწერად ღიაა ყველა სახელმწიფოსათვის.

2. გაერთიანებული ერების გენერალური მდივანი დანიშნულია ამ კონვენციის დეპოზიტორად.

3. ეს კონვენცია ექვემდებარება რატიფიკაციას, სარატიფიკაციო სიგელები შესაძლავს ბარდება გაერთიანებული ერების გენერალურ მდივანს.

4. ეს კონვენცია ღიაა მისაერთებლად ყველა სახელმწიფოსათვის. მიერთება ხდება გაერთიანებული ერების გენერალური მდივნისათვის მიერთების დოკუმენტის გადაცემით.

მუხლი 26

1. ამ კონვენციის გადასინჯვის თაობაზე თხოვნა შეიძლება წარმოადგინოს ნებისმიერმა მონაწილე სახელმწიფომ გაერთიანებული ერების გენერალური მდივნისათვის წერილობითი შეტყობინებით.

2. გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეა იღებს გადაწყვეტილებას ასეთი თხოვნის შესაბამისად საჭირო რაიმე ღონისძიებების განსახორციელებლად.

მუხლი 27

საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტები

1. ეს კონვენცია ძალაშია გაერთიანებული ერების გენერალური მდივნისათვის მეოცე სარატიფიკაციო სიგელის ან მიერთების დოკუმენტის გადაცემიდან ოცდამეათე დღეს.

2. ყოველი სახელმწიფოსათვის, რომელიც ამ კონვენციის რატიფიკაციას მოახდენს ან მიუერთდება მას მეოცე სარატიფიკაციო სიგელის ან მიერთების დოკუმენტის გადაცემის შემდეგ, ეს კონვენცია ძალაში შედის მისი სარატიფიკაციო სიგელის ან მიერთების დოკუმენტის გადაცემის ოცდამეათე დღეს.

მუხლი 28

1. გაერთიანებული ერების გენერალური მდივანი იღებს და ყველა სახელმწიფოს უგზავნის რატიფიკაციის ან მიერთების მომენტში სახელმწიფოთა მიერ გაკეთებულ დათქმათა ტექსტს.

2. დათქმა, რომელიც შეუთავსებელია ამ კონვენციის მიზნებსა და ამოცანებთან, არ მიიღება.

3. დათქმები შეიძლება გაუქმდეს ნებისმიერ დროს გენერალური მდივნის სახელზე გაგზავნილი შესაბამისი შეტყობინებით. გენერალური მდივანი ამის შესახებ აცნობებს ყველა მონაწილე სახელმწიფოს. ასეთი შეტყობინება ძალაში შედის მისი მიღების დღიდან.

მუხლი 29

1. თუ ორ ან რამდენიმე მონაწილე სახელმწიფოს შორის ამ კონვენციის განმარტებისა თუ გამოყენების თაობაზე არსებული დავა მოლაპარაკების გზით ვერ გადაწყდება, ერთ-ერთი მათგანის თხოვნით იგი არბიტრაჟისათვის გადაეცემა. თუ საარბიტრაჟო განხილვის თაობაზე განცხადების შეტანიდან 6 თვის განმავლობაში მხარეები ვერ შეთანხმდებიან საარბიტრაჟო განხილვის ორგანიზებაზე, ნებისმიერ მხარეს შეუძლია მოითხოვოს დავის საერთაშორისო სასამართლოში გადატანა, ამ სასამართლოს სტატუსის შესაბამისად.

2. ნებისმიერ მონაწილე სახელმწიფოს ამ კონვენციის ხელმოწერის ან რატიფიკაციის ან მასთან მიერთების დროს შეუძლია თავი შეიკავოს ამ მუხლის I პუნქტის დებულებების სავალდებულო ძალის აღიარებისაგან. სხვა მონაწილე სახელმწიფოებს არ ეკისრებათ ამ მუხლის მითითებული პუნქტიდან გამომდინარე ვალდებულებები იმ მონაწილე სახელმწიფოს მიმართ, რომელმაც ამგვარი დათქმა გააკეთა.

3. ნებისმიერ მონაწილე სახელმწიფოს, რომელმაც ამ მუხლის II პუნქტის თანახმად დათქმა გააკეთა, შეუძლია ნებისმიერ დროს გაერთიანებული ერების გენერალური მდივნისათვის შეტყობინებით გააუქმოს თავისი დათქმა.

მუხლი 30

ეს კონვენცია, რომლის თანაბრად ავტენტური ტექსტი შედგენილია

არაბულ, ესპანურ, ინგლისურ, რუსულ, ფრანგულ და ჩინურ ენებზე, დეპონირებულ უნდა იქნას გაერთიანებული ერების გენერალურ მდივანთან.



ბავშვის უფლებათა კონვენცია

პრეამბულა

წინამდებარე კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები

მიიჩნევენ რა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ დეკლარირებული პრინციპების შესაბამისად საზოგადოების ყველა წევრის ღირსების, თანასწორი და ხელშეუვალი უფლებების აღიარება არის დედამიწაზე თავისუფლების, სამართლიანობისა და მშვიდობის უზრუნველყოფის საფუძველი,

მხედველობაში იღებენ რა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ხალხებმანესდებაში ცხადყვეს თავიანთი ერთგულება ადამიანის ძირითადი უფლებების, ადამიანის პიროვნების ღირსებისა და ღირებულებისადმი და მტკიცედ აქვთ გადანყვეტილი მეტი თავისუფლების პირობებში ხელი შეუწყონ სოციალურ პროგრესსა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას, აღიარებენ რა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში და ადამიანის უფლებათა შესახებ საერთაშორისო პაქტებში გამოაცხადა, რომ ყოველ ადამიანს უნდა ჰქონდეს ამ დოკუმენტებში მითითებული ყველა უფლება და თავისუფლება განურჩევლად ისეთი ნიშნებისა, როგორცაა რასა, კანის ფერი, სქესი, ენა, რელიგია, პოლიტიკური თუ სხვა მრწამსი, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობა, ქონებრივი მდგომარეობა, დაბადება თუ სხვა ვითარებანი,

ითვალისწინებენ რა, რომ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ გამოაცხადა ბავშვთა უფლება, განსაკუთრებული მზრუნველობით იყვნენ გარემოსილნი, დარწმუნებული არიან რა, რომ ოჯახი, როგორც საზოგადოების ძირითადი უჯრედი და მისი წევრების, განსაკუთრებით კი ბავშვების, ზრდისა და კეთილდღეობის ბუნებრივი გარემო, აუცილებელად უნდა იყოს დაცული და მას აუცილებლად უნდა გაეწიოს თანადგომა, რათა მან თავის თავზე სრულად აიღოს საზოგადოებრივი ვალდებულებანი,

აღიარებენ რა, რომ ბავშვის პიროვნების სრული და ჰარმონიული ანვითარებისათვის აუცილებელია იგი იზრდებოდეს ოჯახურ გარემოში, ბედნიერების, სიყვარულის და ურთიერთგაგების ატმოსფეროში,

საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტები

მიაჩნიათ რა, რომ ბავშვი სრულყოფილად უნდა იყოს მომზადებული საზოგადოებაში დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის და აღიზარდოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებაში გაცხადებული იდეალების, განსაკუთრებით კი მშვიდობის, ადამიანის ღირსების პატივისცემის, შემწყნარებლობის, თავისუფლების, თანასწორობისა და სოლიდარობის სულისკვეთებით,

მხედველობაში იღებენ რა, რომ ბავშვის ასეთი განსაკუთრებული დაცვის აუცილებლობა გათვალისწინებულია ბავშვის უფლებათა შენევის 1924 წლის დეკლარაციით, 1959 წლის 20 ნოემბერს გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული ბავშვის უფლებათა დეკლარაციით და აღიარებულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით, მოქალაქეობრივი და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტით (კერძოდ, მისი 23-ე და 24-ე მუხლებით), ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტით (კერძოდ, მე-10 მუხლით), აგრეთვე ბავშვთა კეთილდღეობის საკითხებზე მომუშავე სპეციალიზებული დაწესებულებებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების შესაბამისი დოკუმენტებით,

მხედველობაში იღებენ რა ბავშვის უფლებათა დეკლარაციის მითითებას, რომ “ბავშვს, მისი ფიზიკური და გონებრივი მოუმნიფებლობის გამო, ესაჭიროება სპეციალური დაცვა და ზრუნვა, შესატყვისი სამართლებრივი დაცვის ჩათვლით, როგორც დაბადებამდე, ისე დაბადების შემდეგ”,

ეყრდნობიან რა დეკლარაციის დებულებებს იმ სოციალური და სამართლებრივი პრინციპების შესახებ, რომლებიც მოიცავს ბავშვების დაცვასა და კეთილდღეობას, განსაკუთრებით ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე ბავშვთა აღსაზრდელად გადაცემისა და შვილად აყვანისას, არასრულწლოვანთა მიმართ ართლმსაჯულების აღსრულების გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეულ მინიმალურ სტანდარტულ წესებს (“პეკინის წესები”), განსაკუთრებულ ვითარებაში და შეიარაღებული კონფლიქტების დროს ქალთა და ბავშვთა დაცვის შესახებ დეკლარაციას,

აღიარებენ რა, რომ მსოფლიოს ყველა ქვეყანაში არიან ბავშვები, რომლებიც ცხოვრობენ განსაკუთრებით რთულ პირობებში და რომ ასეთი ბავშვები საჭიროებენ განსაკუთრებულ ყურადღებას, სათანადოდ ითვალისწინებენ რა ბავშვის დაცვისა და ჰარმონიული განვითარებისათვის ყოველი ხალხის ტრადიციებისა და კულტურული ფასეულობების მნიშვნელობას,

აღიარებენ რა ყველა ქვეყანაში, კერძოდ, განვითარებად ქვეყნებში ბავშვთა ცხოვრების გაუმჯობესებისათვის საერთაშორისო თანამშრომლობის მნიშვნელობას,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1

წინამდებარე კონვენციის მიზნებისათვის ბავშვად ითვლება 18 წლამდე ასაკის ყოველი ადამიანი, თუკი რომელიმე ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით ბავშვი უფრო ადრე არ აღწევს სრულწლოვანებას.

მუხლი 2

1. მონაწილე სახელმწიფოები პატივს სცემენ და უზრუნველყოფენ მათი იურისდიქციის ფარგლებში მყოფი თითოეული ბავშვის ყველა უფლებას, რომელიც წინამდებარე კონვენციითაა გათვალისწინებული, ნებისმიერი სახის დისკრიმინაციის გარეშე, რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა მრწამსის, ეროვნული, ეთნიკური თუ სოციალური წარმოშობის, ქონებრივი მდგომარეობის, ბავშვის, მისი მშობლებისა და კანონიერი მეურვეების ჯანმრთელობისა და დაბადების მდგომარეობის ან სხვა რამ ვითარების განურჩევლად.

2. მონაწილე სახელმწიფოები ყოველგვარ აუცილებელ ზომას ღებულობენ დისკრიმინაციის ყველა იმ ფორმისა და სასჯელისაგან ბავშვის დაცვის უზრუნველსაყოფად, რომლებიც უკავშირდება ბავშვის, ბავშვის მშობლების, კანონიერი მეურვეების ან ოჯახის სხვა წევრთა სტატუსს, საქმიანობას, მათ მიერ გამოთქმულ შეხედულებებს და მათ გამჟღავნებულ მრწამსს.

მუხლი 3

1. ბავშვის მიმართ ნებისმიერ ქმედებათა განხორციელებისას, მიუხედავად იმისა, თუ ვინ არის მათი განმასხორციელებელი, - სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებები, რომლებიც მუშაობენ სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე, სასამართლოები, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანოები - უპირველესი ყურადღება ეთმობა ბავშვის ინტერესების დაცვის უკეთ უზრუნველყოფას.

2. მონაწილე სახელმწიფოები, ითვალისწინებენ რა ბავშვის მშობლის, ბავშვის მიმართ პასუხისმგებლობის მტვირთველი კანონიერი მეურვეებისა და სხვა პირების უფლებებსა და მოვალეობებს, ვალდებულებას იღებენ უზრუნველყონ ბავშვი ისეთი დაცვითა და მზრუნველობით, რომელიც აუცილებელია მისი კეთილდღეობისათვის და ამისათვის იღებენ ყველა საკანონმდებლო და ადმინისტრაციულ ზომას.

3. მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ ბავშვისათვის ზრუნვაზე ან მის დაცვაზე პასუხისმგებელი დაწესებულებები, სამსახურები ან ორგანოები შეესაბამებოდნენ კომპეტენტური ორგანოების მიერ დაწესებულ ნორმებს, კერძოდ, უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის სფეროში მათი პერსონალის რიცხოვნობისა და ვარგისიანობის, აგრეთვე კომპეტენტური ზედამხედველობის თვალსაზრისით.

მუხლი 4

მონაწილე სახელმწიფოები ღებულობენ ყველა აუცილებელ საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ და სხვაგვარ ზომას წინამდებარე

საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტები

კონვენციით აღიარებულ უფლებათა განსახორციელებლად. მონაწილე სახელმწიფოები ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა რეალიზაციისათვის ასეთ ზომებს ლეზულობენ მათ ხელთ არსებული რესურსების მაქსიმალური გამოყენებით, აუცილებლობის შემთხვევაში კი - საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში.

მუხლი 5

მონაწილე სახელმწიფოები პატივს მიაგებენ მშობლებისა და შესაბამის შემთხვევებში ადგილობრივი ადათ-წესების შესატყვისად ფართოდ გაგებული ოჯახის წევრების ან თემის, მეურვეებისა და სხვა პირების უფლებებსა და მოვალეობებს, რომლებიც კანონის მიხედვით პასუხისმგებელი არიან ბავშვზე, იმაზე, რომ სათანადოდ ხელმძღვანელობდნენ ბავშვს წინამდებარე კონვენციით აღიარებულ უფლებათა განხორციელებაში და აკეთებდნენ ამას ბავშვის უნართა განვითარების გათვალისწინებით.

მუხლი 6

1. მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ, რომ ყოველ ბავშვს აქვს სიცოცხლის ხელშეუხებელი უფლება.

2. მონაწილე სახელმწიფოები შესაძლებლობისამებრ მაქსიმალურად უზრუნველყოფენ ბავშვის სიცოცხლის შენარჩუნებასა და ჯანსაღ განვითარებას.

მუხლი 7

1. ბავშვი რეგისტრაციას გადის დაბადებისთანავე და მას დაბადებიდანვე გააჩნია უფლება, ჰქონდეს სახელი და შეიძინოს მოქალაქეობა, აგრეთვე, რამდენადაც ეს შესაძლებელია, უფლებამოსილია იცნობდეს თავის მშობლებს და გარემოსილი იყოს მათი მზრუნველობით.

2. მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ ამ უფლებათა განხორციელებას საკუთარი ეროვნული კანონმდებლობის შესატყვისად და თავისი მოვალეობების შესრულებას ამ სფეროში შესაბამისი საერთაშორისო დოკუმენტების თანახმად, კერძოდ, იმ შემთხვევაში, თუკი სხვაგვარად ბავშვს არ ექნება მოქალაქეობა.

მუხლი 8

1. მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულია იღებენ პატივი სცენ ბავშვის უფლებას, შეინარჩუნოს თავისი ინდივიდუალობა, მოქალაქეობის, სახელისა და ოჯახური კავშირების ჩათვლით, როგორც ეს გათვალისწინებულია კანონით და არ დაუშვან ამაში კანონსაწინააღმდეგო ჩარევა.

2. თუ ბავშვი უკანონოდ კარგავს თავისი ინდივიდუალობის ნაწილს ან მის ყველა ელემენტს, მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ მას აუცილებელი მფარველობით და დახმარებას აღმოუჩინენ მისი ინდივიდუალობის უსწრაფესი აღდგენისათვის.

მუხლი 9

1. მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ ბავშვი არ დაშორდეს თავის მშობლებს მათი სურვილის საწინააღმდეგოდ, იმ შემთხვევათა გამოკლებით, როცა კომპეტენტური ორგანოები, სასა-

მართლო გადაწყვეტილების თანახმად, სათანადო კანონისა და პროცედურის შესაბამისად განსაზღვრავენ, რომ ასეთი დაშორება აუცილებელია და უკეთ ემსახურება ბავშვის ინტერესებს. ეს შეიძლება აუცილებელი გახდეს ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში, მაგალითად, როცა მშობლები სასტიკად ექცევიან ბავშვს და არ ზრუნავენ მასზე, ან როცა მშობლები ცხოვრობენ ცალ-ცალკე და აუცილებელია ბავშვის საცხოვრებელი ადგილის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ნებისმიერი განხილვის დროს ყველა დაინტერესებულ მხარეს შესაძლებლობა ეძლევა, მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში და გამოთქვას საკუთარი მოსაზრებები.

3. მონაწილე სახელმწიფოები პატივს სცემენ ერთ ან ორივე მშობელს დაცვილებული ბავშვის უფლებას, რეგულარული პირადი ურთიერთობები და პირდაპირი კონტაქტები ჰქონდეს ორივე მშობელთან, იმ შემთხვევის გარდა, როცა ეს ეწინააღმდეგება ბავშვის ყველაზე ჭეშმარიტ ინტერესებს.

4. იმ შემთხვევაში, როცა ასეთი დაშორება გამომდინარეობს მონაწილე სახელმწიფოთა რომელიმე გადაწყვეტილებიდან, ანუ როცა საქმე ეხება, მაგალითად, ერთი ან ორივე მშობლის ან ბავშვის დაპატიმრებას, გასახლებას, დეპორტაციას ან სიკვდილს (მოცემული პირის სახელმწიფო გამგებლობაში ყოფნისას ნებისმიერი მიზეზით გამოწვეული სიკვდილის ჩათვლით), მონაწილე სახელმწიფო ასეთ მშობლებს, ბავშვს ან, თუ ეს აუცილებელია, ოჯახის სხვა წევრს მათი თხოვნით აძლევს აუცილებელ ინფორმაციას ოჯახიდან წასული წევრის/წევრების ადგილსამყოფელის შესახებ, თუ ამ ინფორმაციის მიცემა ზიანს არ აყენებს ბავშვის კეთილდღეობას. მონაწილე სახელმწიფოები შემდგომში უზრუნველყოფენ, რომ ასეთი თხოვნა თავისთავად არ იწვევდეს შესაბამისი პირისათვის (პირთათვის) არასასურველ შედეგებს.

მუხლი 10

1. მონაწილე სახელმწიფოთა მიერ მე-9 მუხლის 1-ლი პუნქტით თავის თავზე აღებული ვალდებულების შესაბამისად, ბავშვის ან მისი მშობლის განცხადება ოჯახის გამთლიანების მიზნით მონაწილე სახელმწიფოში შესვლის ან იქიდან გასვლის თაობაზე მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა განიხილონ პოზიტიურად, ჰუმანურად და ოპერატიულად. მონაწილე სახელმწიფოები შემდგომში უზრუნველყოფენ, რომ ასეთი თხოვნის წარდგენას არ მოჰყვეს არასასურველი შედეგები განმცხადებლის ან მათი ოჯახის წევრებისათვის.

2. ბავშვს, რომლის მშობლებიც სხვადასხვა სახელმწიფოში ცხოვრობენ, უფლება გააჩნია, განსაკუთრებული ვითარების გარდა, რეგულარული პირადი ურთიერთობები და პირდაპირი კონტაქტები ჰქონდეს ორივე მშობელთან. ამ მიზნით მონაწილე სახელმწიფოები, მე-9 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, პატივს სცემენ ბავშვისა და მისი მშობლების უფლებას დატოვონ ნებისმიერი ქვეყანა, საკუთარი ქვეყნის ჩათვლით,

საართაშორისო სამართლებრივი დოკუმენტები

და დაბრუნდნენ თავის ქვეყანაში. ნებისმიერი ქვეყნის დატოვების უფლების მიმართ მოქმედებს მხოლოდ ისეთი შეზღუდვები, რომლებიც დადგენილია კანონით და აუცილებელია სახელმწიფო უშიშროების, საზოგადოებრივი წესრიგის (ორდრე პუბლიც), მოსახლეობის ჯანმრთელობის ან ზნეობის, ან სხვა პირთა უფლებებისა და თავისუფლების დაცვისათვის და შეთავსებადია წინამდებარე კონვენციაში აღიარებულ სხვა უფლებებთან.

მუხლი 11

1. მონაწილე სახელმწიფოები ღებულობენ ზომებს ბავშვთა უკანონოდ გადაადგილების ან საზღვარგარეთ მათი უკანონოდ დატოვების წინააღმდეგ საბრძოლველად.

2. ამ მიზნით მონაწილე სახელმწიფოები ხელს უწყობენ ორმხრივი ან მრავალმხრივი შეთანხმებების დადებას ან მოქმედ შეთანხმებებთან შეერთებას.

მუხლი 12

1. მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ საკუთარი შეხედულებების ჩამოყალიბების უნარის მქონე ბავშვის უფლებას, თავისუფლად გამოთქვას თავისი შეხედულებები ნებისმიერ საკითხზე, რომელიც მას ეხება, ამასთან, ბავშვის შეხედულებებს სათანადო ყურადღება ეთმობა მისი ასაკისა და სიმწიფის შესაბამისად.

2. ამ მიზნით ბავშვს, კერძოდ, ეძლევა შესაძლებლობა, მოუსმინონ მას სასამართლო თუ ადმინისტრაციული წესით ნებისმიერი საქმის განხილვისას, რომელიც ბავშვს ეხება, როგორც უშუალოდ, ასევე წარმომადგენლის ან შესაბამისი ორგანოს მეშვეობით, ეროვნული კანონმდებლობის პროცესუალური ნორმებით გათვალისწინებული წესით.

მუხლი 13

1. ბავშვს უფლება აქვს თავისუფლად გამოთქვას თავისი აზრი; ეს უფლება მოიცავს თავისუფლებას, საზღვრების არსებობის მიუხედავად მოიძიოს, მიიღოს ან გადასცეს ნებისმიერი სახის ინფორმაცია ან იდეა ზეპირი, წერილობითი თუ ბეჭდური ფორმით, ბავშვის არჩევანისამებრ.

2. ამ უფლების განხორციელება, შესაძლოა, ერთგვარად შეიზღუდოს, მაგრამ ეს შეზღუდვა კანონით გათვალისწინებული და აუცილებელი უნდა იყოს:

- ა) სხვა პირთა უფლებებისა და რეპუტაციის პატივისცემისათვის;
- ბ) სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი წესრიგის (ორდრე პუბლიც), ან

მოსახლეობის ჯანმრთელობის ან ზნეობის დაცვისათვის.

მუხლი 14

1. მონაწილე სახელმწიფოები პატივს სცემენ ბავშვის აზრის, სინდისის და რელიგიური რწმენის თავისუფლებას.

2. მონაწილე სახელმწიფოები პატივს სცემენ მშობელთა და შესაბამის შემთხვევაში კანონიერ მეურვეთა უფლებებსა და მოვალეობებს, უხ-

ელმძღვანელონ ბავშვის მისი უფლებების იმ მეთოდით განხორციელებაში, რომელიც შეესაბამება ბავშვის განვითარებად უნარებს.

3. რელიგიური აღმსარებლობის ან რწმენის თავისუფლება შეიძლება დაექვემდებაროს მხოლოდ იმ შეზღუდვებს, რომლებიც დადგენილია კანონით და აუცილებელია სახელმწიფო უშიშროების, საზოგადოებრივი წესრიგის, მოსახლეობის ზნეობისა და ჯანმრთელობის ან სხვა პირთა ძირითადი უფლებებისა და თავისუფლების დაცვისათვის.

მუხლი 15

1. მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ ბავშვის უფლებას, სარგებლობდეს ასოციაციებისა და მშვიდობიანი შეკრებების თავისუფლებით.

2. მოცემული უფლების განხორციელების მიმართ არ შეიძლება დანესდეს რაიმე შეზღუდვა, გარდა შეზღუდვებისა, რომლებიც დანესდება კანონის შესაბამისად და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების, საზოგადოებრივი წესრიგის (ორდრე პუბლიც) ინტერესებისათვის, ან მოსახლეობის ჯანმრთელობის ან ზნეობის, ან სხვა პირთა უფლებებისა და თავისუფლების დაცვისათვის.

მუხლი 16

1. არც ერთი ბავშვი არ შეიძლება იყოს პირადი და ოჯახური ცხოვრების, საცხოვრებელი ბინის ხელშეუხებლობის ან კორესპონდენციის საიდუმლოების უფლებათა მის მიერ განხორციელებაში თვითნებური ან უკანონო ჩარევის, ან მისი ღირსებისა და რეპუტაციის უკანონო ხელყოფის ობიექტი.

2. ბავშვს უფლება აქვს, კანონით იყოს დაცული მსგავსი ჩარევის ან ხელყოფისაგან.

მუხლი 17

მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მნიშვნელოვან როლს და უზრუნველყოფენ ბავშვისათვის სხვადასხვა ეროვნული და საერთაშორისო წყაროებით გავრცელებული ინფორმაციისა და მასალების მისანდომობას, განსაკუთრებით ისეთი ინფორმაციისა და მასალებისა, რომლებიც მიმართულია ბავშვის სოციალური, სულიერი და მორალური კეთილდღეობისაკენ, აგრეთვე ჯანსაღი ფიზიკური და ფსიქიკური განვითარების ხელშეწყობისაკენ. ამ მიზნით მონაწილე სახელმწიფოები -

ა) ახდენენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით იმ ინფორმაციისა და მასალების გავრცელების ნახალისებას, რომელიც სასარგებლოა ბავშვის სოციალური და კულტურული განვითარების თვალსაზრისით და გამოხატავს 29-ე მუხლის სულისკვეთებას;

ბ) ახდენენ საერთაშორისო თანამშრომლობის ნახალისებას სხვადასხვა კულტურული, ეროვნული და საერთაშორისო წყაროებიდან მოპოვებული ამგვარი ინფორმაციისა და მასალების მომზადების, გაცე-

ლისა და გავრცელების მიზნით;

გ) ახდენენ საბავშვო ლიტერატურის გამოცემისა და გავრცელების ნახალისებას.

დ) ახდენენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ნახალისებას, რათა მათ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ იმ ბავშვის ენობრივ მოთხოვნილებებს, რომელიც მიეკუთვნება რომელიმე უმცირესობის ჯგუფს ან მკვიდრ მოსახლეობას;

ე) ახდენენ იმ სახის ინფორმაციისა და მასალებისაგან ბავშვის დაცვის სათანადო პრინციპების შემუშავების ნახალისებას, რომელიც საზიანოა მისი კეთილდღეობისათვის, მე-13 და მე-18 მუხლების დებულებათა გათვალისწინებით.

მუხლი 18

1. მონაწილე სახელმწიფოები ყველაფერს აკეთებენ, რათა უზრუნველყონ ბავშვის აღზრდასა და განვითარებაზე ორივე მშობლის საერთო და თანაბარი პასუხისმგებლობის პრინციპის აღიარება. მშობლებს ან შესაბამის შემთხვევებში კანონიერ მეურვეებს ეკისრებათ ძირითადი პასუხისმგებლობა ბავშვის აღზრდასა და განვითარებაზე, ბავშვის ყველაზე ჭეშმარიტი ინტერესები წარმოადგენს მათი ზრუნვის მთავარ საგანს.

2. წინამდებარე კონვენციაში გამოკვეთილ უფლებათა განხორციელების გარანტიის შექმნისა და ხელშეწყობის მიზნით მონაწილე სახელმწიფოები სათანადო დანხარებას უწევენ მშობლებსა და კანონიერ მეურვეებს მათი მოვალეობის შესრულებაში, აღზარდონ ბავშვი და უზრუნველყოფენ საბავშვო დაწესებულებათა ქსელის განვითარებას.

3. მონაწილე სახელმწიფოები ყველა აუცილებელ ზომას ღებულობენ იმის უზრუნველსაყოფად, რომ ბავშვებს, რომელთა მშობლებიც მუშაობენ, უფლება ჰქონდეთ ისარგებლონ მათთვის განკუთვნილი სამსახურებითა და დაწესებულებებით, რომელთაც ბავშვთა მოვლა-პატრონობა ეკისრებათ.

მუხლი 19

1. მონაწილე სახელმწიფოები ყველა აუცილებელ საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ, სოციალურ და საგანმანათლებლო ზომას ღებულობენ იმ მიზნით, რათა ბავშვი დაიცვან მშობლების, კანონიერი მეურვეების ან ბავშვზე მზრუნველი ნებისმიერი სხვა პირის მხრიდან ყველანაირი ფორმის ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ძალადობისაგან, შეურაცხყოფისა თუ ბოროტად გამოყენებისაგან, მზრუნველობის მოკლებისა თუ დაუდევარი მოპყრობისაგან, უხეში მოქცევისა თუ ექსპლუატაციისაგან, სექსუალური ბოროტების ჩათვლით.

2. დაცვის ასეთი ღონისძიებები აუცილებლობის შემთხვევაში მოიცავს ეფექტურ პროცედურებს სოციალური პროგრამების შემუშავებისათვის იმ მიზნით, რათა აუცილებელი მხარდაჭერა აღმოუჩინონ ბავშვს და იმ

პირებს, ვინც მასზე ზრუნავს, აგრეთვე ხელი შეუწყონ ბავშვთა მიმართ სასტიკი დამოკიდებულების ზემოთაღნიშნული გამოვლინებების თავიდან აცილების, ნინასნარი გამომჟღავნების, შეტყობინების, განსახილველად გადაცემის, გამოძიების, მკურნალობის და სხვა ღონისძიებების განხორციელებას, აუცილებლობის შემთხვევაში კი - სასამართლო პროცედურის აღძვრას.

მუხლი 20

1. ბავშვს, რომელიც დროებით ან მუდმივად მოკლებულია ოჯახურ გარემოს, ანდა, მისივე ყველაზე ჭეშმარიტი ინტერესებიდან გამომდინარე, არ შეიძლება დარჩეს ასეთ გარემოში, უფლება აქვს სახელმწიფოს განსაკუთრებული მფარველობითა და დახმარებით სარგებლობდეს.

2. მონაწილე სახელმწიფოები თავიანთი ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოფენ ასეთი ბავშვის მიმართ მზრუნველობის ფორმის შეცვლას.

3. ასეთი მზრუნველობა შეიძლება მოიცავდეს, კერძოდ, ბავშვის აღსაზრდელად გადაცემას, მუსლიმანური სამართლის “კაფალას”, შვილად აყვანას ან აუცილებლობის შემთხვევაში ბავშვთა მოვლა-პატრონობისათვის მონოდებულ შესაბამის დაწესებულებაში მის მოთავსებას. მზრუნველობის ფორმის შეცვლის ვარიანტების განხილვისას აუცილებელია სათანადოდ იქნეს გათვალისწინებული ბავშვის აღზრდის მემკვიდრეობითობის სასურველობა და მისი ეთნიკური წარმომავლობა, რელიგიური და კულტურული კუთვნილება და მშობლიური ენა.

მუხლი 21

მონაწილე სახელმწიფოები, რომლებიც აღიარებენ ან თანხმდებიან შვილად აყვანის სისტემის არსებობას, უზრუნველყოფენ, რომ ბავშვის ყველაზე ჭეშმარიტი ინტერესები გათვალისწინებული იქნეს უწინარეს ყოვლისა, და ისინი:

ა) უზრუნველყოფენ, რომ ბავშვის შვილად აყვანის ნებართვას იძლეოდეს მხოლოდ კომპეტენტური ხელისუფლება, რომელიც სათანადო კანონებისა და პროცედურების შესაბამისად და საქმესთან დაკავშირებული სარწმუნო ინფორმაციის საფუძველზე განსაზღვრავს, რომ შვილად აყვანა დასაშვებია მშობლებთან, ნათესავებთან და კანონიერ მეურვეებთან მიმართებაში ბავშვის სტატუსის გათვალისწინებით და რომ, თუ ეს საჭიროა, დაინტერესებული პირები შეგნებულად დათანხმდნენ შვილად აყვანას ისეთი კონსულტაციის საფუძველზე, როგორც შეიძლება აუცილებელი იყოს;

ბ) აღიარებენ, რომ შვილად აყვანა სხვა ქვეყანაში შეიძლება განხილული იქნეს, როგორც ბავშვის მოვლის ალტერნატიული საშუალება, თუ ბავშვი არ შეიძლება აღსაზრდელად გადაეცეს ან შეუერთდეს ოჯახს, რომელიც შეიძლება უზრუნველყო მისი აღზრდა ან შვილად აყვანა და თუ იმ ქვეყანაში, სადაც ბავშვი დაიბადა, შეუძლებელია მისი შესაფერისი რამენაირი მოვლა-პატრონობის უზრუნველყოფა;

გ) უზრუნველყოფენ, რომ სხვა ქვეყანაში ბავშვის შვილად აყვანის

საართაშორისო სამართლებრივი დოკუმენტაცია

შემთხვევაში არსებობდეს ისეთივე გარანტიები და ნორმები, როგორც არსებობს ქვეყნის შიგნით შვილად აყვანის დროს;

დ) იღებენ ყველა აუცილებელ ზომას იმის უზრუნველსაყოფად, რომ სხვა ქვეყანაში შვილად აყვანის დროს ამ საქმესთან დაკავშირებულ პირებს არ მიეცეთ გაუმართლებელი ფინანსური მოგების მიღების საშუალება;

ე) აუცილებელ შემთხვევაში ხელს უწყობენ წინამდებარე მუხლის მიზნების მიღწევას ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების დადების გზით და ცდილობენ ამ საფუძველზე უზრუნველყონ, რომ ბავშვის მონყობა სხვა ქვეყანაში ხორციელდებოდეს კომპეტენტური ხელისუფლების ან ორგანოების მიერ.

მუხლი 22

1. მონაწილე სახელმწიფოები აუცილებელ ზომებს იღებენ, რათა უზრუნველყონ, რომ ბავშვმა, რომელსაც სურს მიიღოს ლტოლვილის სტატუსი ან რომელიც შესატყვისი საერთაშორისო ან საშინაო სამართლისა და პროცედურების ძალით ითვლება ლტოლვილად და რომელსაც თან ახლავს ან არ ახლავს მშობლები ან ნებისმიერი სხვა პირი, ისარგებლოს სათანადო დაცვითა და ჰუმანიტარული დახმარებით წინამდებარე კონვენციაში და ადამიანის უფლებებისადმი მიძღვნილ იმ სხვა საერთაშორისო ან ჰუმანიტარულ დოკუმენტებში აღიარებული უფლებების გამოყენებისას, რომელთა მონაწილენი არიან აღნიშნული სახელმწიფოები.

2. ამ მიზნით მონაწილე სახელმწიფოები, როცა ამას აუცილებლად მიიჩნევენ, ხელს უწყობენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და იმ სხვა კომპეტენტური სამთავრობათაშორისო ან არასამთავრობო ორგანიზაციების მცდელობას, რომლებიც თანამშრომლობენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან, დაიცვან ასეთი ბავშვი, დაეხმარონ მას და მოძებნონ ნებისმიერი ლტოლვილი ბავშვის მშობლები თუ ოჯახის სხვა წევრები, რათა მიიღონ მისი ოჯახთან შეერთებისათვის აუცილებელი ინფორმაცია. იმ შემთხვევაში, როცა არ ხერხდება მშობლების ან ოჯახის სხვა წევრების მოძებნა, მაშინ ბავშვი, როგორც ამას ითვალისწინებს წინამდებარე კონვენცია, უზრუნველყოფილია ისეთივე დაცვით, როგორითაც სხვა ნებისმიერი ბავშვი, რომელიც რაიმე მიზეზის გამო მუდმივად ან დროებით მოკლებულია ოჯახურ გარემოს.

მუხლი 23

1. მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ, რომ გონებრივად ან ფიზიკურად უნარშეზღუდული ბავშვი სრულფასოვნად და ღირსეულად უნდა ცხოვრობდეს იმგვარ პირობებში, რომლებიც უძლიერებს მას ღირსების გრძნობას, საკუთარი თავის რწმენას და უადვილებს საზოგადოების ცხოვრებაში აქტიურ მონაწილეობას.

2. მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ უნარშეზღუდული ბავშვის

უფლებას, სარგებლობდეს განსაკუთრებული მზრუნველობით და სათანადო რესურსების არსებობის პირობებში, ახალისებენ და უზრუნველყოფენ ამ უფლების მქონე ბავშვისათვის და მის მიმართ მზრუნველობაზე პასუხისმგებელი პირებისათვის ისეთი დახმარების განწევას, როგორსაც ითხოვდნენ და რომელიც შეესაბამება ბავშვისა და მისი მშობლების, ან იმ სხვა პირთა მდგომარეობას, რომლებიც უზრუნველყოფენ ბავშვზე მზრუნველობას.

3. უნარმეზღუდული ბავშვის განსაკუთრებულ საჭიროებათა აღიარების ნიშნად, ნინამდებარე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, დახმარება, მშობლებისა და ბავშვზე მზრუნველობის უზრუნველმყოფი სხვა პირების ფინანსური რესურსების გათვალისწინებით შეძლებისდაგვარად უფასოა, და მიზნად ისახავს უნარმეზღუდულ ბავშვს მისცეს იმის ეფექტური შესაძლებლობა, რომ მან ისარგებლოს საგანმანათლებლო, სამედიცინო, ჯანმრთელობის აღმდგენი, პროფესიული და შრომითი საქმიანობისათვის მოსამზადებლად საჭირო მომსახურებით და დასვენების საშუალებებით, რაც ბავშვს მაქსიმალურად სრულად ჩართავს სოციალურ ცხოვრებაში და ხელს შეუწყობს მისი პიროვნების განვითარებას, რაც კულტურული და სულიერი თვალსაზრისით მის ზრდასაც მოიცავს.

4. მონაწილე სახელმწიფოები საერთაშორისო თანამშრომლობის სულისკვეთებით ხელს უწყობენ ინფორმაციის გავრცელებას უნარმეზღუდული ბავშვების პროფილაქტიკური ჯანდაცვისა და სამედიცინო, ფსიქოლოგიური და ფუნქციონალური მკურნალობის დარგში, სათანადო რეაბილიტაციის, ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული მომზადების მეთოდებზე ინფორმაციის გავრცელების ჩათვლით, აგრეთვე ამ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას იმისათვის, რომ მონაწილე სახელმწიფოებმა გაიფართოვონ ამ დარგში თავიანთი შესაძლებლობები, ცოდნა და გამოცდილება. ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს განვითარებადი ქვეყნების საჭიროებებს.

მუხლი 24

1. მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ ბავშვის უფლებას, ისარგებლოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის ყველაზე უფრო სრულყოფილი მომსახურებით და დაავადებათა მკურნალობისა და ჯანმრთელობის აღდგენის საუკეთესო საშუალებებით. მონაწილე სახელმწიფოები ცდილობენ უზრუნველყონ, რომ არც ერთ ბავშვს არ ჩამოერთვას უფლება, ისარგებლოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის ასეთი მომსახურებით.

2. მონაწილე სახელმწიფოები ცდილობენ მიაღწიონ მოცემული უფლების სრულ განხორციელებას და, კერძოდ, აუცილებელ ზომებს იღებენ:

ა) ჩვილთა სიკვდილიანობის დონისა და ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირებისათვის;

ბ) ყველა ბავშვისათვის აუცილებელი სამედიცინო დახმარებისა

საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტები

და ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფისათვის, იმისათვის, რომ უპირატესი ყურადღება დაეთმოს პირველადი სამედიცინო სანიტარული დახმარების განევას;

გ) დაავადებებთან და შიშობილობასთან ბრძოლისათვის, მათ შორის პირველადი სამედიცინო-სანიტარული დახმარების ფარგლებში, ადვილად ხელმისაწვდომი ტექნოლოგიისა და საკმაო სურსათითა და სასმელი წყლით მომარაგების გზით, გარემოს დაბინძურების საშიშროებისა და რისკის გათვალისწინებით;

დ) დედებისათვის მშობიარობამდე და მშობიარობის შემდგომ პერიოდში ჯანმრთელობის დაცვის სათანადო მომსახურების განევისათვის;

ე) საზოგადოების ყველა ფენის, კერძოდ, მშობლებისა და ბავშვებისათვის ბავშვთა ჯანმრთელობისა და კვების შესახებ ინფორმაციის მიწოდების, ძუძუთი კვების უპირატესობების გაცნობის უზრუნველყოფისათვის, ჰიგიენის, ბავშვის საცხოვრებელი გარემოს სანიტარიის დაცვისა და უბედური შემთხვევების თავიდან აცილების, აგრეთვე მათთვის განათლების ხელმისაწვდომობისა და ცოდნის გამოყენებაში დახმარების განევისათვის;

ვ) პროფილაქტიკური სამედიცინო დახმარების და ოჯახის დაგეგმვის სფეროში საგანმანათლებლო მუშაობის გაშლისა და მომსახურების განვითარებისათვის.

3. მონაწილე სახელმწიფოები ატარებენ ყოველგვარ ეფექტურ და აუცილებელ ზომებს იმ ტრადიციული პრაქტიკის აღმოფხვრისათვის, რომელიც უარყოფითად მოქმედებს ბავშვთა ჯანმრთელობაზე.

4. მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულია იღებენ ნაახალისონ საერთაშორისო თანამშრომლობა და განავითარონ იგი მოცემულ მუხლში აღიარებული უფლების სრული განხორციელების თანდათანობით მიღწევისათვის. ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს განვითარებადი ქვეყნების საჭიროებებს.

მუხლი 25

მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ კომპეტენტური ორგანოების მიერ მოვლის მიზნით სამეურვეოდ გამწესებული ბავშვის უფლებას, იყოს დაცული და ისარგებლოს ფიზიკური თუ ფსიქიკური მკურნალობით; აღიარებენ ბავშვის უფლებას, პერიოდულად ხდებოდეს მისთვის განეული მკურნალობის და მის მიმართ ასეთ მეურვეობასთან დაკავშირებული სხვა პირობების შეფასება.

მუხლი 26

1. მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ ყოველი ბავშვის უფლებას, ისარგებლოს სოციალური უზრუნველყოფის ყველა სიკეთით, სოციალური დაზღვევის ჩათვლით, და აუცილებელ ზომებს იღებენ ამ უფლების სრული განხორციელებისათვის თავიანთი ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად.

2. ეს შეღავათები ბავშვს ეძლევა აუცილებლობისამებრ, მისი და მის რჩენაზე პასუხისმგებელ პირთა რესურსებისა და შესაძლებლობების,

აგრეთვე ბავშვის მიერ ან მისი სახელით ამ შეღავათების მიღებასთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა მოსაზრების გათვალისწინებით.

მუხლი 27

1. მონაწილე სახელმწიფოები ცნობენ ყოველი ბავშვის უფლებას, უზრუნველყოფილი იყოს ცხოვრების ისეთი დონით, რომელიც აუცილებელია მისი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი, ზნეობრივი და სოციალური განვითარებისათვის.

2. მშობელს (მშობლებს) ან ბავშვის სხვა აღმზრდელებს ეკისრებათ ძირითადი პასუხისმგებლობა, თავისი უნარისა და ფინანსური შესაძლებლობების ფარგლებში უზრუნველყონ ბავშვის განვითარებისათვის საჭირო ცხოვრების პირობები.

3. მონაწილე სახელმწიფოები, ეროვნული პირობების შესაბამისად და თავიანთი შესაძლებლობების ფარგლებში, აუცილებელ ზომებს იღებენ იმისათვის, რათა დახმარება გაუწიონ მშობლებსა და ბავშვთა აღმზრდელ სხვა პირებს ამ უფლების განხორციელებაში, აუცილებლობის შემთხვევაში მატერიალურად ეხმარებიან და თანადგომას უწევენ პროგრამებს, უზინარესად საკვებით, ტანსაცმლითა და საცხოვრებლით უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

4. მონაწილე სახელმწიფოები ყველა აუცილებელ ზომას ახორციელებენ იმისათვის, რათა უზრუნველყონ მშობლების, ან ბავშვზე ფინანსურად პასუხისმგებელ სხვა პირთა მიერ ბავშვის რჩენის აღდგენა, როგორც მონაწილე სახელმწიფოს შიგნით, ისე მის საზღვრებს გარეთ. კერძოდ, თუ ბავშვზე ფინანსურად პასუხისმგებელი პირი და ბავშვი ცხოვრობენ სხვადასხვა სახელმწიფოში, მონაწილე სახელმწიფოები ხელს უწყობენ საერთაშორისო ხელშეკრულებებთან შეერთებას ან ასეთი ხელშეკრულებების დადებას, აგრეთვე სხვა შესაბამისი შეთანხმებების მიღწევას.

მუხლი 28

1. მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ, რომ ბავშვს აქვს განათლების უფლება და თანაბარი შესაძლებლობების საფუძველზე ამ უფლების თანდათანობით განხორციელების მიზნით ისინი, კერძოდ:

- ა) აწესებენ უფასო და სავალდებულო დანყებით განათლებას;
- ბ) ხელს უწყობენ როგორც ზოგადი, ისე პროფესიული საშუალო განათლების სხვადასხვა ფორმების განვითარებას, უზრუნველყოფენ ყველა ბავშვისათვის მათ ხელმისაწვდომობას და ლეზულობენ ისეთ აუცილებელ ზომებს, როგორიცაა უფასო განათლების შემოდება და აუცილებლობის შემთხვევაში ფინანსური დახმარების განევა;
- გ) ყველა აუცილებელი საშუალების გამოყენებით უზრუნველყოფენ უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობას ყველასათვის თითოეულის უნარის შესატყვისად;
- დ) უზრუნველყოფენ განათლებისა და პროფესიული მომზადების სფეროში ინფორმაციისა და მასალების ხელმისაწვდომობას ყველა ბავშვ-

ვისათვის;

ე) ღებულობენ ზომებს სკოლებში რეგულარული დასწრების ხელშესანყობად და სკოლიდან განთესილ მოსწავლეთა რიცხვის შესამცი-რებლად.

2. მონანღლე სახელმწიფოები ყველა აუცილებელ ზომას მიმართავენ, რათა უზრუნველყოთ სასკოლო დისციპლინის დაცვა იმ მეთოდებით, რომლებიც ბავშვის ადამიანური ღირსების პატივისცემასა და წინამდებარე კონვენციას ეფუძნება.

3. მონანღლე სახელმწიფოები ახალისებენ და ავითარებენ საერთაშორისო თანამშრომლობას იმ საკითხებში, რომლებიც ეხება განათლებას, კერძოდ, მთელ მსოფლიოში უმეცრებისა და წერა-კითხვის უცოდინარობის ღიკვიდაციისა და სამეცნიერო-ტექნიკური ცოდნისა და სწავლების თანამედროვე მეთოდების მისწავდომობის ხელშეწყობის მიზნით. ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს განვითარებადი ქვეყნების საჭიროებებს.

მუხლი 29

1. მონანღლე სახელმწიფოები ეთანახმებიან იმას, რომ ბავშვის განათლება მიმართული უნდა იყოს:

ა) ბავშვის პიროვნების, ნიჭის, გონებრივი და ფიზიკური უნარების სრული განვითარებისაკენ;

ბ) ბავშვისათვის ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებებისადმი, აგრეთვე გაართიანებული ერების ორგანიზაციის წესდებში განცხადებული პრინციპებისადმი პატივისცემის გაღვივებისაკენ;

გ) ბავშვისათვის თავისი მშობლებისადმი, თავისი კულტურული თვითმყოფადობის, ენის და ფასეულობების პატივისცემის ჩანერგვისაკენ; ბავშვის აღზრდისაკენ იმ ქვეყნის ეროვნული ფასეულობებისადმი პატივისცემის სულისკვეთებით, რომელშიც ის ცხოვრობს, ასევე იმ ქვეყნისა, საიდანაც იგი არის წარმომობით; ბავშვის პატივისცემის გაღვივებისაკენ მისი საკუთარი ცივილიზაციისაგან განსხვავებული ცივილიზაციისადმი;

დ) თავისუფალ საზოგადოებაში ურთიერთგაგების, მშვიდობის, შემწყნარებლობის, ქალისა და მამაკაცის, ყველა ხალხის, ეთნიკური, ეროვნული და რელიგიური ჯგუფების, მათ შორის მკვიდრი მოსახლეობის წარმომადგენელთა მიმართ თანასწორობისა და მეგობრობის სულისკვეთებით ბავშვის შეგნებული ცხოვრებისათვის მომზადებისაკენ;

ე) გარემოსადმი პატივისცემის სულისკვეთებით ბავშვის აღზრდისაკენ.

2. წინამდებარე ან 28-ე მუხლის არც ერთი ნაწილი არ ზღუდავს ცალკეული პირებისა და ორგანოების თავისუფლებას, შექმნან სასწავლო დაწესებულებები და უხელმძღვანელონ მათ წინამდებარე მუხლის პირველ პუნქტში მოცემული პრინციპების მუდმივი დაცვისა და იმ მოთხოვნის გათვალისწინებით, რომ ასეთ სასწავლო დაწესებულებებში

მიღებული განათლება შეესაბამებოდეს სახელმწიფოს მიერ დადგენილ მინიმალურ ნორმებს.

მუხლი 30

იმ სახელმწიფოებში, სადაც არსებობენ ეთნიკური, რელიგიური ან ენობრივი უმცირესობები ან პირები, რომლებიც მკვიდრ მოსახლეობას მიეკუთვნებიან, ბავშვს, რომელიც ასეთ უმცირესობას ან მკვიდრ მოსახლეობას მიეკუთვნება, არ შეიძლება უარი ეთქვას უფლებაზე, რომ თავისი ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად ეზიაროს საკუთარ კულტურას, აღიაროს თავისი რელიგია და შეასრულოს მისი წეს-ჩვეულებები, აგრეთვე გამოიყენოს მშობლიური ენა.

მუხლი 31

1. მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ, რომ ბავშვს გააჩნია დასვენებისა და თავისუფალი დროის ქონის უფლება, მისი ასაკისათვის შესაფერის თამაშობებსა და გასართობ ღონისძიებებში მონაწილეობის უფლება, აგრეთვე უფლება, თავისუფლად მონაწილეობდეს კულტურულ ცხოვრებაში, ეზიაროს ხელოვნებას.

2. მონაწილე სახელმწიფოები პატივს სცემენ და ახალისებენ ბავშვის უფლებას, ყოველმხრივი მონაწილეობა მიიღოს კულტურულ და შემოქმედებით ცხოვრებაში, ხელს უწყობენ მისთვის სათანადო და თანასწორი შესაძლებლობების შექმნას კულტურული და შემოქმედებითი საქმიანობისათვის, თავისუფალი დროით სარგებლობისა და დასვენებისათვის.

მუხლი 32

1. მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ ბავშვის უფლებას, დაცული იყოს ეკონომიკური ექსპლუატაციისა და ნებისმიერი ისეთი სამუშაოს შესრულებისაგან, რომელიც შეიძლება ემუქრებოდეს მის ჯანმრთელობას და ხელს უშლიდეს განათლების მიღებაში, ან ზიანს აყენებდეს მის ჯანმრთელობას, ფიზიკურ, გონებრივ, სულიერ, მორალურ და სოციალურ განვითარებას.

2. მონაწილე სახელმწიფოები ღებულობენ საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ და სოციალურ ზომებს, ატარებენ ღონისძიებებს განათლების სფეროში, რათა განხორციელდეს წინამდებარე მუხლი. ამ მიზნით, ხელმძღვანელობენ რა სხვა საერთაშორისო დოკუმენტების შესაბამისი ღებულებებით, მონაწილე სახელმწიფოები, კერძოდ:

ა) ადგენენ სამუშაოზე მიღების მინიმალურ ასაკს ან მინიმალურ ასაკებს;

ბ) განსაზღვრავენ სამუშაო დღის ხანგრძლივობასა და შრომის პირობებთან დაკავშირებულ აუცილებელ მოთხოვნებს;

გ) ითვალისწინებენ სასწავლის შესაბამის სახეობებს ან სხვა სანქციებს წინამდებარე მუხლის ეფექტური განხორციელების უზრუნველსაყოფად.

მუხლი 33

მონაწილე სახელმწიფოები ღებულობენ ყველა აუცილებელ ზომას, სა-

საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტები

კანონმდებლო, ადმინისტრაციული და სოციალური ზომების ჩათვლით, აგრეთვე ღონისძიებებს განათლების სფეროში, რათა დაიცვან ბავშვები შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულებებით განსაზღვრული ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ხმარებისაგან და არ დაუშვან ბავშვების გამოყენება ამ ნივთიერებათა კანონსაწინააღმდეგო წარმოებაში ან ვაჭრობაში.

მუხლი 34

მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულია კისრულობენ, დაიცვან ბავშვი სექსუალური ექსპლუატაციის და სექსუალური ცდუნების ყველა ფორმისაგან. ამ მიზნით მონაწილე სახელმწიფოები, კერძოდ, ორმხრივ და მრავალმხრივ ეროვნულ დონეებზე ლეზულობენ ყველა აუცილებელ ზომას, რათა თავიდან აიცილონ:

- ა) ბავშვის დაყოლიება ნებისმიერ უკანონო სექსუალურ ქმედებაზე ან ბავშვის იძულება, მონაწილეობდეს ასეთ ქმედებაში;
- ბ) ექსპლუატაციის მიზნით ბავშვის გამოყენება პროსტიტუციაში ან სხვა უკანონო სექსუალურ პრაქტიკაში;
- გ) ექსპლუატაციის მიზნით ბავშვის გამოყენება პორნოგრაფიასა და პორნოგრაფიულ მასალებში.

მუხლი 35

მონაწილე სახელმწიფოები ეროვნულ, ორმხრივ და მრავალმხრივ დონეებზე ლეზულობენ ყველა აუცილებელ ზომას, რათა თავიდან აიცილონ ბავშვთა მოტაცება, ბავშვებით ვაჭრობა ან მათი კონტრაბანდა ნებისმიერი მიზნებით და ნებისმიერი ფორმით.

მუხლი 36

მონაწილე სახელმწიფოები ბავშვს იცავენ ექსპლუატაციის ყველა სხვა ფორმისაგან, რომელიც ზიანს აყენებს ბავშვის კეთილდღეობის ნებისმიერ ასპექტს.

მუხლი 37

მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ:

- ა) არც ერთი ბავშვი არ იყოს წამების, საერთოდ, სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან სასჯელის მსხვერპლი. არც სიკვდილით დასჯა, არც მუდმივი პატიმრობა, რომელიც არ ითვალისწინებს განთავისუფლების შესაძლებლობას, არ შეიძლება შეეფარდოს 18 წლამდე ასაკის პირთა მიერ ჩადენილ დანაშაულებებს;
- ბ) არც ერთ ბავშვს არ უნდა აღეკვეთოს თავისუფლება უკანონოდ ან თვითნებურად. ბავშვის დაპატიმრება, დაკავება ან ციხეში მოთავსება ხორციელდება კანონის თანახმად და განიხილება, როგორც მხოლოდ უკიდურესი ზომა რაც შეიძლება ნაკლები პერიოდის განმავლობაში.
- გ) ყოველ თავისუფლებააღკვეთილ ბავშვს ეპყრობოდნენ ჰუმანურად და პიროვნების განუყრელი ღირსების პატივისცემით, ისე, რომ გათვალისწინებული იყოს მისი ასაკის პირთა მოთხოვნილებები. კერძოდ, ყოველი

თავისუფლება აღკვეთილი ბავშვი უნდა განცალკევდეს უფროსებისაგან, თუ არ მიიჩნევა, რომ ბავშვის ყველაზე ჭეშმარიტი ინტერესებისათვის ამის გაკეთება არ არის საჭირო; ბავშვს ჰქონდეს უფლება, კავშირი იქონიოს თავის ოჯახთან მიმონერის ან შეხვედრების ფორმით, განსაკუთრებულ გარემოებათა გამოკლებით;

დ) ყოველ თავისუფლება აღკვეთილ ბავშვს ჰქონდეს უფლება, დაუყოვნებლივ მიიღოს სამართლებრივი და სხვა შესაბამისი დახმარება, აგრეთვე უფლება, გააპროტესტოს მისი თავისუფლების აღკვეთის კანონიერება სასამართლოს ან სხვა კომპეტენტური დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ორგანოს წინაშე და რომ მათ დაუყოვნებლივ გამოიტანონ გადაწყვეტილება ნებისმიერი ასეთი პროცესუალური ქმედების თაობაზე.

მუხლი 38

1. მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულია იღებენ, პატივი სცენ შეიარაღებული კონფლიქტების დროს მათ მიმართ ძალის მქონე საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ბავშვებთან დაკავშირებულ ნორმებს და უზრუნველყონ მათი დაცვა.

2. მონაწილე სახელმწიფოები იღებენ ყველა შესაძლო ზომას, რათა უზრუნველყონ, რომ 15 წელს მიუღწეველი პირები პირდაპირ არ მონაწილეობდნენ სამხედრო მოქმედებებში.

3. მონაწილე სახელმწიფოები თავს იკავებენ თავიანთ შეიარაღებულ ძალებში ყველა იმ პირის განწევისაგან, რომელთაც არ მიუღწევიათ 15 წლის ასაკისათვის. 15 წელს გადაცილებულ იმ პირთა განწევისას, რომელთაც ჯერ არ შესრულებიათ 18 წელი, მონაწილე სახელმწიფოები ცდილობენ შეარჩიონ უფრო ასაკოვანი პირები.

4. შეიარაღებული კონფლიქტების დროს სამოქალაქო მოსახლეობის დაცვასთან დაკავშირებული საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის წინაშე თავისი ვალდებულებების შესაბამისად, მონაწილე სახელმწიფოები მოვალენი არიან მიიღონ ყველა აუცილებელი ზომა შეიარაღებულ კონფლიქტებში მოხვედრილ ბავშვთა დაცვისა და მოვლა-პატრონობის უზრუნველსაყოფად.

მუხლი 39

მონაწილე სახელმწიფოები ყველა ზომას იღებენ, რათა ხელი შეუწყონ იმ ბავშვის ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ გაჯანსაღებას და სოციალურ რეინტეგრაციას, რომელიც ნებისმიერი სახის უგულვებლყოფის, ექსპლუატაციის ან ბოროტად გამოყენების, წამების, სასტიკი, არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობის, სასჯელის ან შეიარაღებული კონფლიქტის მსხვერპლია. ასეთი გაჯანსაღება და რეინტეგრაცია უნდა ხორციელდებოდეს ბავშვის ჯანმრთელობის, საკუთარი თავის პატივისცემისა და ღირსების გრძნობის შენარჩუნების უზრუნველყოფის პირობებში.

მუხლი 40

1. მონაწილე სახელმწიფოები ცნობენ ყოველი ბავშვის უფლებას, რომელმაც, როგორც თვლიან, დაარღვია სისხლის სამართლის კანონმდებლობა, ბრალად ედება მისი დარღვევა ან აღიარებულია მის დამრღვევად, რომ მისდამი მოპყრობა ხელს უწყობდეს მისი ღირსებისა და საკუთარი მნიშვნელოვნების გრძნობის განვითარებას, განუმტკიცებდეს მას ადამიანის უფლებებისადმი და სხვათა ძირითადი თავისუფლებებისადმი პატივისცემას, ითვალისწინებდეს ბავშვის ასაკს და მისი რეინტეგრაციის, საზოგადოებაში მის მიერ სასარგებლო როლის შესრულებისათვის ხელშეწყობის სასურველობას.

2. ამ მიზნით და საერთაშორისო დოკუმენტების შესაბამისი დებულებების გათვალისწინებით მონაწილე სახელმწიფოები, კერძოდ, უზრუნველყოფენ, რომ:

ა) არც ერთი ბავშვი არ ითვლებოდეს სისხლის სამართლის კანონმდებლობის დამრღვევად, მას ბრალად არ დაედოს მისი დარღვევა და ის არ იქნეს აღიარებული დამნაშავედ იმ ქმედების ან არქმედების მიზეზით, რომლებიც მათი ჩადენის დროს არ იყო აკრძალული ეროვნული ან საერთაშორისო სამართლით;

ბ) ყოველ ბავშვს, რომელმაც, როგორც თვლიან, დაარღვია სისხლის სამართლის კანონმდებლობა, ან ბრალი ედება მის დარღვევაში, ჰქონდეს, სულ ცოტა, შემდეგი გარანტიები:

1) უდანაშაულობის პრეზუმპცია, სანამ მისი დანაშაული არ იქნება დამტკიცებული კანონის შესაბამისად;

2) მისი დაუყოვნებელი და უშუალო ინფორმირება - აუცილებლობის შემთხვევაში კი ინფორმირება მშობლების ან კანონიერი მეურვეების მეშვეობით — მისთვის წაყენებული ბრალდების შესახებ და სამართლებრივი ან სხვა აუცილებელი დახმარების მიღება თავისი დაცვის მომზადებისა და განხორციელებისათვის;

3) კომპეტენტური, დამოუკიდებელი ან მიუკერძოებელი ორგანოს ან სასამართლო ორგანოს მიერ სამართლიანი განხილვის შედეგად განსახილველ საკითხზე დაუყოვნებელი გადაწყვეტილების მიღება კანონის თანახმად, ადვოკატის ან სხვა შესაბამისი პირის თანდასწრებით და, თუკი ეს არ ეწინააღმდეგება ბავშვის ყველაზე ჭეშმარიტ ინტერესებს, მისი ასაკის ან მისი მშობლების ან კანონიერი მეურვეების მდგომარეობის გათვალისწინებით;

4) იმისაკენ მიმართული ძალდატანებისაგან თავისუფლება, რომ ბავშვმა მოწმის სახით მისცეს ჩვენება ან აღიაროს დანაშაული; ბრალდების მოწმეთა ჩვენებების შესწავლა ან დამოუკიდებლად, ან სხვა პირთა დახმარებით და დაცვის მოწმეთა თანასწორუფლებიანი მონაწილეობისა და მათი ჩვენებების შესწავლის უზრუნველყოფა;

5) თუ ითვლება, რომ ბავშვმა დაარღვია სისხლის სამართლის კანონმდებლობა, ზემდგომი კომპეტენტური, დამოუკიდებელი და მიუ-

კერძოებულის ორგანოს ან სასამართლო ორგანოს მიერ კანონის თანახმად შესაბამისი გადაწყვეტილების და მასთან დაკავშირებით მიღებული ნებისმიერი ღონისძიების ხელახალი განხილვა;

VI) თარჯიმნის უფასო დახმარება, თუ ბავშვს არ ესმის გამოყენებული ენა ან ვერ ლაპარაკობს ამ ენაზე;

VII) მისი პირადი ცხოვრების სრული პატივისცემა საქმის გარჩევის ყველა სტადიაზე.

3. მონაწილე სახელმწიფოები ცდილობენ ხელი შეუწყონ იმ ბავშვებთან უშუალო დამოკიდებულების მქონე კანონების, პროცედურების, ორგანოებისა და დაწესებულებების ჩამოყალიბებას, რომლებმაც, როგორც ითვლება, დაარღვიეს სისხლის სამართლის კანონმდებლობა, ბრალად ედებათ მისი დარღვევა ან აღიარებული არიან მის დამრღვევებად და, კერძოდ:

ა) მინიმალური ასაკის დადგენას, რომლის მიღწევამდეც, როგორც ითვლება, ბავშვებს არა აქვთ სისხლის სამართლის კანონმდებლობის დარღვევის უნარი;

ბ) როცა ეს აუცილებელი და სასურველია, ასეთი ბავშვების მიმართ ზომების მიღებას სასამართლო განხილვის გარეშე, ადამიანის უფლებათა და სამართლებრივი გარანტიების სრული დაცვით;

4. აუცილებელია ისეთი სხვადასხვაგვარი ღონისძიებები, როგორიცაა მოვლა, მეურვეობისა და მეთვალყურეობის დებულება, საკონსულტაციო მომსახურება, გამოსაცდელი ვადის დანიშვნა, აღზრდა, სწავლებისა და პროფესიული მომზადების პროგრამები და მოვლის ისეთი ფორმები, რომლებიც დაწესებულებებში მოვლას შეიძლება შეენაცვლოს. ამ ღონისძიებათა მიზანია ბავშვისადმი იმგვარი მოპყრობის უზრუნველყოფა, როგორც შეესაბამება ბავშვის კეთილდღეობის ინტერესებს, აგრეთვე მის მდგომარეობას და დანაშაულის ხასიათს.

მუხლი 41

წინამდებარე კონვენცია არ აბრკოლებს იმგვარ დებულებათა განხორციელებას, რომლებიც ყველაზე მეტად უწყობს ხელს ბავშვის უფლებათა რეალიზაციას და შეიძლება დაფიქსირებული იყოს:

ა) მონაწილე სახელმწიფოს კანონში;

ან

ბ) მოცემული სახელმწიფოს მიმართ მოქმედი საერთაშორისო სამართლის ნორმებში.

ნაწილი II

მუხლი 42

მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულია იღებენ, სათანადო და ქმედითი საშუალებების გამოყენებით ფართო ინფორმაცია მიაწოდონ როგორც მოზრდილებს, ასევე ბავშვებს კონვენციის პრინციპებისა და დებულებების თაობაზე.

მუხლი 43

1. მონაწილე სახელმწიფოების მიერ წინამდებარე კონვენციის შესაბამისად აღებული ვალდებულებების შესრულებაში მიღწეული პროგრესის განხილვის მიზნით ფუნდებმა ბავშვის უფლებების კომიტეტი, რომელიც ასრულებს ქვემოთ მითითებულ ფუნქციებს.

2. კომიტეტი შედგება ათი ექსპერტისაგან, რომლებსაც აქვთ მაღალი ზნეობრივი თვისებები და კომპეტენტურად არიან აღიარებულნი წინამდებარე კონვენციით მოცულ სფეროში. კომიტეტის წევრებს ირჩევენ მონაწილე სახელმწიფოები თავიანთ მოქალაქეთა შორის და ისინი წარმოდგენილი არიან დამოუკიდებელ პიროვნებათა სტატუსით, ამასთან, ყურადღება მახვილდება სამართლიან გეოგრაფიულ განაწილებაზე, აგრეთვე ძირითად სამართლებრივ სისტემებზე.

3. კომიტეტის წევრები აირჩევიან მონაწილე სახელმწიფოების მიერ წამოყენებულ, სიაში შეტანილ პირთაგან ფარული კენჭისყრით. ყოველ მონაწილე სახელმწიფოს შეუძლია წამოაყენოს ერთი პირი თავისი მოქალაქეებიდან.

4. კომიტეტში პირველი არჩევნები ტარდება წინამდებარე კონვენციის ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს ექვსი თვისა, შემდგომ კი - ორ წელიწადში ერთხელ. ყოველ არჩევნებამდე ოთხი თვით ადრე მაინც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი მონაწილე სახელმწიფოებს მიმართავს წერილით და სთავაზობს მათ წამოაყენონ თავიანთი კანდიდატურები ორი თვის ვადაში. შემდეგ გენერალური მდივანი ანბანის რიგის მიხედვით ადგენს ამგვარად დასახელებული ყველა კანდიდატის სიას, მიუთითებს რა მონაწილე სახელმწიფოებს, რომლებმაც წამოაყენეს ეს პირები, და ამ სიას წარუდგენს წინამდებარე კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებს.

5. არჩევნები ტარდება მონაწილე სახელმწიფოთა თათბირზე, რომელიც მოიწვევა გენერალური მდივნის მიერ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ცენტრალურ დანესებულებებში. ამ თათბირზე, სადაც მონაწილე სახელმწიფოთა ორი მესამედი ქმნის ქვორუმს, კომიტეტის შემადგენლობაში არჩეულად ჩაითვლებიან ის კანდიდატები, რომლებიც მიიღებენ დამსწრე და ხმის მიცემაში მონაწილე სახელმწიფოთა წარმომადგენლების ხმათა აბსოლუტურ უმრავლესობას.

6. კომიტეტის წევრები აირჩევიან ოთხწლიანი ვადით. მათ აქვთ უფლება, ხელახლა იქნენ არჩეული მათი კანდიდატურების განმეორებით დასახელების შემთხვევაში. პირველ არჩევნებში არჩეული ხუთი წევრის უფლებამოსილების ვადა მთავრდება ორწლიანი პერიოდის ბოლოს; პირველი არჩევნებისთანავე ამ ხუთ წევრს წილისყრით განსაზღვრავს თათბირის თავმჯდომარე.

7. კომიტეტის რომელიმე წევრის სიკვდილის ან გადადგომის შემთხვევაში, ან თუ მას რაიმე მიზეზით აღარ შეუძლია შეასრულოს კომიტეტის წევრის მოვალეობები, ამ წევრის წამომცენებელი მონაწილე სახელმწიფო

თავის მოქალაქეთაგან დარჩენილი ვადისათვის ნიშნავს სხვა ექსპერტს, კომიტეტის მიერ მისი მონონების შემთხვევაში.

8. კომიტეტი ადგენს პროცედურის საკუთარ წესებს.

9. კომიტეტი თავის თანამდებობის პირებს ირჩევს ორი წლის ვადით.

10. კომიტეტის სესიები, როგორც წესი, ტარდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ცენტრალურ დანესებულებებში ან კომიტეტის მიერ განსაზღვრულ ნებისმიერ სხვა შესაფერის ადგილას. კომიტეტი, როგორც წესი, თავის სესიებს ატარებს ყოველწლიურად. კომიტეტის სესიების ხანგრძლივობა განისაზღვრება და აუცილებლობის შემთხვევაში იცვლება წინამდებარე კონვენციის მონაწილე სახელმწიფოთა თათბირზე გენერალური ასამბლეის თანხმობით.

11. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი გამოყოფს აუცილებელ პერსონალსა და მატერიალურ საშუალებებს, რათა კომიტეტმა, წინამდებარე კონვენციის შესაბამისად, ეფექტურად განახორციელოს თავისი ფუნქციები.

12. წინამდებარე კონვენციის შესაბამისად დაფუძნებული კომიტეტის წევრები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სახსრებიდან ლებულობენ გენერალური ასამბლეის მიერ დანესებულ ანაზღაურებას გენერალური ასამბლეის მიერ დადგენილი წესითა და პირობებით.

მუხლი 44

1. მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულია იღებენ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მეშვეობით კომიტეტს წარუდგინონ მოხსენებები მათ მიერ მიღებული ზომების შესახებ კონვენციით განმტკიცებულ უფლებათა დამკვიდრებისა და ამ სფეროში მიღწეულ პროგრესთან დაკავშირებით:

ა) მონაწილე სახელმწიფოსათვის კონვენციის ძალაში შესვლიდან ორი წლის ვადაში;

ბ) ყოველ მომდევნო ხუთ წელიწადში;

2. წინამდებარე მუხლის მიხედვით წარდგენილ მოხსენებებში მითითებულია ფაქტორები და სირთულეები, თუკი ასეთი არსებობს, რომლებიც ზემოქმედებს ამ კონვენციის ვალდებულებათა შესრულების ხარისხზე. მოხსენებები აგრეთვე შეიცავს საკმარის ინფორმაციას იმისათვის, რათა კომიტეტისათვის სრულიად გასაგები იყოს, როგორ მოქმედებს კონვენცია მოცემულ ქვეყანაში.

3. მონაწილე სახელმწიფოს, რომელიც კომიტეტს წარუდგენს ყოველისმომცველ პირველად მოხსენებას, არ სჭირდება წინამდებარე მუხლის 1ბ პუნქტის მიხედვით წარდგენილ შემდგომ მოხსენებებში გაიმეოროს ადრე გადმოცემული ძირითადი ინფორმაცია.

4. კომიტეტს შეუძლია მონაწილე სახელმწიფოს მოსთხოვოს დამატებითი ინფორმაცია, რომელიც ეხება წინამდებარე კონვენციის განხორციელებას.

საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტები

5. მოხსენებები კომიტეტის საქმიანობის შესახებ ეკონომიკური და სოციალური საბჭოს მეშვეობით ორ წელიწადში ერთხელ წარედგინება გენერალურ ასამბლევას.

6. მონაწილე სახელმწიფოები საკუთარ ქვეყნებში უზრუნველყოფენ თავიანთი მოხსენებების ფართო საჯაროობას.

მუხლი 45

კონვენციის განხორციელებისათვის ეფექტური ხელშეწყობისა და წინამდებარე კონვენციით მოცულ სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის ნახალისების მიზნით:

ა) სპეციალიზებულ დანესებულებებს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა ფონდს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სხვა ორგანოებს უფლება აქვთ წარმოდგენილი იყვნენ წინამდებარე კონვენციის ისეთი დებულებების განხორციელების შესახებ საკითხთა განხილვაში, რომლებიც მათ უფლებამოსილებაში შედის. მიზანშეწონილად მიჩნევის შემთხვევაში კომიტეტს შეუძლია სპეციალიზებულ დანესებულებებს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა ფონდსა და სხვა კომპეტენტურ ორგანოებს შესთავაზოს, წარმოადგინონ ექსპერტთა დასკვნა კონვენციის განხორციელების თაობაზე იმ სფეროებში, რომლებიც შედის მათი შესაბამისი უფლებამოსილების ფარგლებში. კომიტეტს შეუძლია სპეციალიზებულ დანესებულებებს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა ფონდსა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სხვა ორგანოებს სთხოვოს, წარმოადგინონ მოხსენებები კონვენციის განხორციელების შესახებ იმ დარგებში, რომლებიც მათი საქმიანობის სფეროში შედის;

ბ) მიზანშეწონილად მიჩნევის შემთხვევაში კომიტეტი სპეციალიზებულ დანესებულებებში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა ფონდსა და სხვა კომპეტენტურ ორგანოებში გადაგზავნის მონაწილე სახელმწიფოების ნებისმიერ მოხსენებას, რომელიც შეიცავს თხოვნას ტექნიკური კონსულტაციის ან დახმარების შესახებ, ან მიუთითებს მის საჭიროებაზე, აგრეთვე კომიტეტის შენიშვნებსა და წინადადებებს მსგავსი თხოვნისა და მიუთითებების თაობაზე.

გ) კომიტეტს შეუძლია რეკომენდაცია გაუწიოს გენერალურ ასამბლევას, წინადადება მისცეს გენერალურ მდივანს, რათა მან ასამბლეის სახელით ჩაატაროს კვლევა ცალკული საკითხების შესასწავლად, რომლებიც ბავშვთა უფლებებს ეხება.

დ) კომიტეტს შეუძლია წარადგინოს წინამდებარე კონვენციის 44-ე და 45-ე მუხლების შესაბამისად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობილი ზოგადი ხასიათის წინადადებები და რეკომენდაციები. ასეთი ზოგადი ხასიათის წინადადებები და რეკომენდაციები ეგზავნება ნებისმიერ დაინტერესებულ მონაწილე სახელმწიფოს და ეცნობება გენერალურ ასამბლევას მონაწილე სახელმწიფოთა შენიშვნებთან ერთად, თუკი ასეთი რამ არსებობს.

წინაილი III

მუხლი 46

წინამდებარე კონვენცია ღიაა ყველა სახელმწიფოს მიერ ხელმოწერად.

მუხლი 47

წინამდებარე კონვენცია ექვემდებარება რატიფიკაციას. სარატიფიკაციო სიგელები შესაძლებელია ბარდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს.

მუხლი 48

წინამდებარე კონვენცია ღიაა მასთან ნებისმიერი სახელმწიფოს შეერთებისათვის. დოკუმენტები შეერთების შესახებ ბარდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს.

მუხლი 49

1. წინამდებარე კონვენცია ძალაში შედის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნისათვის მეოცე სარატიფიკაციო სიგელის ან შეერთების შესახებ დოკუმენტის შესაძლებელია ჩაბარებიდან ოცდამეათე დღეს.

2. ყოველი სახელმწიფოსათვის, რომელიც წინამდებარე კონვენციის რატიფიცირებას მოახდენს ან მას შეუერთდება მეოცე სარატიფიკაციო სიგელის ან შეერთების შესახებ დოკუმენტის შესაძლებელია ჩაბარების შემდეგ, წინამდებარე კონვენცია ძალაში შედის ასეთი სახელმწიფოს მიერ მისი სარატიფიკაციო სიგელის ან შეერთების შესახებ დოკუმენტის შესაძლებელია ჩაბარებიდან ოცდამეათე დღეს.

მუხლი 50

1. ნებისმიერ მონაწილე სახელმწიფოს შეუძლია შესწორების შეთავაზება და წარდგენა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნისათვის. ამის შემდეგ გენერალური მდივანი შესწორებას წარუდგენს მონაწილე სახელმწიფოებს თხოვნით - მიუთითონ, მხარს უჭერენ თუ არა ამ წინადადების განსახილველად და კენჭის საყრდელად მონაწილე სახელმწიფოების კონფერენციის მოწვევას. თუ ასეთი შეტყობინების მიღებიდან ოთხი თვის განმავლობაში მონაწილე სახელმწიფოების თუნდაც ერთი მესამედი მაინც მხარს დაუჭერს ასეთ კონფერენციას, გენერალური მდივანი იწვევს ამ კონფერენციას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით. ამ კონფერენციაზე დამსწრე და კენჭისყრაში მონაწილე სახელმწიფოთა უმრავლესობის მიერ მიღებული შესწორება დასამტკიცებლად წარედგინება გენერალურ ასამბლეას.

2. წინამდებარე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად მიღებული შესწორება ძალაში შედის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ მისი დამტკიცებისა და მონაწილე სახელმწიფოთა ორი მესამედის მომცველი უმრავლესობის მიერ მისი მიღების შემდეგ.

3. შესწორება ძალაში შესვლისთანავე ხდება სავალდებულო იმ

საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტები

მონაწილე სახელმწიფოებისათვის, რომლებმაც იგი მიიღეს, სხვა მონაწილე სახელმწიფოებისათვის კი სავალდებულო რჩება წინამდებარე კონვენციის დებულებები და ნებისმიერი წინა შესწორება, რომელიც მათ მიერ არის მიღებული.

მუხლი 51

1. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი ღებულობს და ყველა სახელმწიფოს უგზავნის რატიფიკაციის ან შეერთების მომენტში სახელმწიფოს მიერ გაკეთებული შენიშვნების ტექსტს.

2. არ დაიშვება შენიშვნა, რომელიც შეუთავსებელია წინამდებარე კონვენციის მიზნებთან და ამოცანებთან.

3. შენიშვნების მოხსნა შესაძლებელია ნებისმიერ დროს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნისათვის შესაბამისი შეტყობინების გაგზავნის გზით, რომელიც შემდეგ ამის თაობაზე აცნობებს ყველა სახელმწიფოს. ასეთი შეტყობინება ძალაში შედის გენერალური მდივნის მიერ მისი მიღების დღიდან.

მუხლი 52

ნებისმიერ მონაწილე სახელმწიფოს შეუძლია წინამდებარე კონვენციის დენონსირება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნისათვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით. დენონსირება ძალაში შედის გენერალური მდივნის მიერ შეტყობინების მიღებიდან ერთი წლის გასვლის შემდეგ.

მუხლი 53

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი ინიშნება წინამდებარე კონვენციის დეპოზიტარად.

მუხლი 54

წინამდებარე კონვენციის დედანი, რომლის ინგლისური, არაბული, ესპანური, ჩინური, რუსული და ფრანგული ტექსტები თანაბრად ავთენტიკურია, შესაძლებელია ბარდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს. რის დასამოწმებლადაც ქვემოთ ხელისმომწერი, თავიანთი შესაბამისი მთავრობების მიერ სათანადო რწმუნებით აღჭურვილი სრულყოფილებანი წარმომადგენლები, ხელს აწერენ წინამდებარე კონვენციას.



კონვენცია განათლების სფეროში დისკრიმინაციის წინააღმდეგ

მიღებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის გენერალურ კონფერენციაზე 1960 წლის 14 დეკემბერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის გენერალური კონფერენცია, რომელიც შეიკრიბა პარიზში, 1960 წლის 14 დეკემბრიდან 15 დეკემბერამდე მის მეთერთმეტე სესიაზე.

მოისხენიებს, რა რომ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია ახდენს დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის პრინციპის დეკლარირებას და ადასტურებს, რომ ყველა ადამიანს აქვს განათლების უფლება,

მიიჩნევს რა, რომ განათლების სფეროში დისკრიმინაცია არის ამ დეკლარაციაში გაცხადებული უფლებების დარღვევა,

მიიჩნევს რა, რომ მისი კონსტიტუციის პირობების შესაბამისად გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის მიზანია დაამკვიდროს ერებს შორის თანამშრომლობა ადამიანის უფლებების საყოველთაო პატივისცემის და განათლების სფეროში თანაბარი შესაძლებლობების დამკვიდრების ხელშეწყობის მიზნით,

აღიარებს რა, რომ გაეროს განათლების, მეცნიერების და კულტურის ორგანიზაცია, პატივს სცემს რა სახელმწიფო საგანმანათლებლო სისტემების მრავალფეროვნებას, ასევე მოვალეა არა მხოლოდ აკრძალოს განათლების სფეროში დისკრიმინაციის ნებისმიერი ფორმა, არამედ ხელი შეუწყოს განათლების მიღების თანასწორი შესაძლებლობების დამკვიდრებას და განათლების სფეროში თანასწორ მოპყრობას,

განიხილავს რა წინადადებებს, რომლებიც შეადგენს სესიის დღის წესრიგის 17.14 პუნქტს და რომლებიც ეხება განათლების სფეროში დისკრიმინაციის სხვადასხვა ასპექტებს,

გადაწყდა რა მის მეთათე სესიაზე, რომ ეს საკითხი უნდა გახდეს საერთაშორისო კონვენციის საგანი და ასევე შემუშავდეს რეკომენდაციები მონაწილე სახელმწიფოებსათვის,

იღებს ამ კონვენციას 1960 წლის 14 დეკემბერს.

მუხლი 1

1. ამ კონვენციის მიზნებისათვის ტერმინი “დისკრიმინაცია” მოიცავს ნებისმიერი სახის განსხვავებას, გამონაკლისს, შეზღუდვას ან უპირატესობის მონიჭებას, რომელიც გამოწვეულია რასობრივი წარმოშობით, ფერით, სქესით, ენით, რელიგიით, პოლიტიკური ან სხვაგვარი მოსაზრებით, ეროვნული ან სოციალური წარმოშობით, ეკონომიკური

საართაშორისო სამართლებრივი დოკუმენტები

პირობებით ან დაბადებით და აქვს განათლების სფეროში თანასწორი მოპყრობის შეფერხების ან უარყოფის მიზანი ან შედეგი,

კერძოდ:

ა) ნებისმიერ პირს ან პირთა ჯგუფს ართმევს ნებისმიერი ტიპის ან ნებისმიერი დონის განათლებაზე ხელმისაწვდომობის შესაძლებლობას;

ბ) ნებისმიერ პირს ან პირთა ჯგუფს ზღუდავს უფრო დაბალი სტანდარტის განათლების მიღების შესაძლებლობამდე;

გ) ამ კონვენციის მე-2 მუხლის შესაბამისად, ქმნის ან ინარჩუნებს განათლების განცალკავებულ სისტემებს ან ინსტიტუტებს პირების ან პირთა ჯგუფებისათვის, ან

დ) პირებს ან პირთა ჯგუფებს თავს ახვევს პირობებს, რომლებიც შეუფერებელია ადამიანის ღირსებისათვის.

2. ამ კონვენციის მიზნებისათვის, ტემინი “განათლება” ნიშნავს ყველა ტიპის და დონის განათლებას და მოიცავს განათლებაზე ხელმისაწვდომობას, განათლების სტანდარტსა და ხარისხს და იმ პირობებს, რომელთა საფუძველზედაც ხდება განათლების მიღება.

მუხლი 2

როდესაც სახელმწიფოში ნებადართულია, ამ კონვენციის 1-ლი მუხლით განსაზღვრულ დისკრიმინაციად არ მიიჩნევა შემდეგი სიტუაციები:

ა) ორი სქესის მოსწავლეებისათვის განცალკევებული საგანმანათლებლო სისტემის ან ინსტიტუტების შექმნა ან შენარჩუნება, თუ ეს სისტემები ან ინსტიტუტები უზრუნველყოფს განათლებაზე ეკვივალენტურ ხელმისაწვდომობას, მასწავლებლების კვალიფიკაციას ერთი და იმავე სტანდარტების შესაბამისად, ასევე ერთი და იმავე ხარისხის შენობებს და აღჭურვილობას და იმავე ან ეკვივალენტრი სასწავლო კურსების გავლის შესაძლებლობას;

ბ) რელიგიური ან ლინგვისტური მოსაზრებებით განცალკევებული საგანმანათლებლო სისტემების ან ინსტიტუტების შექმნა ან შენარჩუნება, რომლებიც უზრუნველყოფს განათლების, მოსწავლეების, მშობლების ან კანონიერი მეურვეების სურვილის შესაბამისად, თუ ასეთ სისტემებში მონაწილეობა ან ამ ინსტიტუტებში დასწება არჩევითია და მოწოდებული განათლება შეესაბამება კომპეტენტური ორგანოების მიერ დაწესებულ ან დამტკიცებულ სტანდარტებს, კერძოდ, იმავე დონის განათლებისათვის დაწესებულ სტანდარტებს.

გ) კერძო საგანმანათლებლო ინსტიტუტების შექმნა ან შენარჩუნება, თუ ამ ინსტიტუტების მიზანია არა რომელიმე ჯგუფის იზოლაცია, არამედ საჯარო დაწესებულებების მიერ უზრუნველყოფილი საშუალებების დამატებით სხვა საგანმანათლებლო საშუალებების უზრუნველყოფა, და თუ ეს ინსტიტუტები იმართება აღნიშნული მიზნით და განათლება ამ რომლის მიღებაც შესაძლებელია ამ ინსტიტუტებში, შეესაბამება იმ სტანდარტებს, რომლებიც შესაძლებელია დაწესდეს ან დამტკიცდეს კომპეტენტური ორგანოების მიერ, კერძოდ, - იმავე დონის

განათლებისათვის დაწესებულ სტანდარტებს.

მუხლი 3

ამ კონვენციის მიხედვით განსაზღვრული დისკრიმინაცია ალმოფხვრის და თავიდან აცილების მიზნით, ამ კონვენციის მონაწილე მხარეები იღებენ ვალდებულებას:

ა) გაუქმონ ნებისმიერი საკანონმდებლო აქტი და ადმინისტრაციული ინსტრუქცია და შეუნყვიტონ ნებისმიერი ადმინისტრაციული პრაქტიკა, რომელიც იწვევს დისკრიმინაციას განათლების სფეროში;

ბ) უზრუნველყონ, საჭიროების შემთხვევაში კანონმდებლობის საფუძველზე, რომ არ არსებობს დისკრიმინაცია მოსწავლეების საგანმანათლებლო დაწესებულებებში მიღებისას;

გ) არ დაუშვან საჯარო ხელისუფლების ორგანოების მიერ სახელმწიფოს მოქალაქეების მიმართ რაიმე სახის განსხვავებული მოპყრობა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს განსხვავებული მოპყრობა გამონეუულია დამსახურების ან სპეციალური საჭიროების გამო, სასკოლო გადასახადების გადახდის და სტიპენდიების გაცემის, მოსწავლეებისათვის სხვაგვარი ფორმებით დახმარების და საჭირო ნებართვების გაცემის, აგრეთვე სხვა საჭირო პირობების და საზღვარგარეთ სწავლის გაგრძელების უზრუნველყოფის შემთხვევაში;

დ) არ დაუშვან, საჯარო ხელისუფლების ორგანოების მიერ საგანმანათლებლო ინსტიტუტებისათვის დახმარების ნებისმიერი ფორმის შემთხვევაში, ნებისმიერი სახის შეძლუდვა ან უპირატესობის მინიჭება მხოლოდ იმ საფუძველზე, რომ მოსწავლეები მიეკუთვნებიან რომელიმე კონკრეტულ ჯგუფს;

ე) უზრუნველყონ უცხო ქვეყნების მოქალაქეები, რომლებიც ცხოვრობენ მათ ტერიტორიაზე, განათლებაზე ისეთივე ხელმისაწვდომობა, რომელიც გარანტირებულია მათი ქვეყნის მოქალაქეებისათვის.

მუხლი 4

ამ კონვენციის მონაწილე მხარეები ასევე იღებენ ვალდებულებას ჩამოაყალიბონ, განავითარონ და განახორციელონ სახელმწიფო პოლიტიკა, რომელიც არსებული გარემოებების და პრაქტიკის შესაბამისი მეთოდებით ხელს შეუწყობს განათლების საკითხებში თანაბარი შესაძლებლობებისა და თანასწორი მოპყრობის დამკვიდრებას, კერძოდ:

ა) გახდინან დაწყებით განათლებას სავალდებულო და უსასყიდლო: გახდინან სხვადასხვა ფორმის საშუალო განათლებას ზოგადად საყოველთაოდ ხელმისაწვდომს; გახდინან უმაღლეს განათლებას თანაბრად ხელმისაწვდომს ყველასათვის ინდივიდუალური შესაძლებლობების საფუძველზე; უზრუნველყოფენ, რომ სკოლაში კანონით დადგენილი დასწრების ვალდებულება სრულდება ყველას მიერ;

ბ) უზრუნველყოფენ, რომ განათლების სტანდარტები იყოს ეკვივალენტური ყველა ერთი და იმავე დონის საჯარო საგანმანათლებლო დაწესებულებებში, და აგრეთვე მიწოდებული განათლების ხარისხთან

საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტები

დაკავშირებული პირობები იყოს ასევე ექვივალენტური;

გ) შესაბამისი მეთოდებით ხელს შეუწყობენ და გააღრმავებენ იმ პირების განათლებას, რომლებსაც არ მიუღიათ რაიმე სახის დაწვრილებითი განათლება ან რომლებსაც არ დაუსრულებიათ ერთიანი დაწყებითი განათლების კურსი, აგრეთვე ამ პირების განათლების გაგრძელებას უნივერსიტეტული შესაძლებლობების საფუძველზე;

დ) დისკრიმინაციის გარეშე უზრუნველყოფენ მასწავლებლებელთა ტრენინგებს.

მუხლი 5

1. კონვენციის მონაწილე მხარეები თანხმდებიან, რომ:

ა) განათლების მიზანი იქნება ადამიანის პიროვნების სრულად განვითარება და ადამიანის უფლებების და ფუნდამენტური თავისუფლებების პატივისცემის გაძლიერება; ის ხელს შეუწყობს ურთიერთგაგებას, ტოლტანტობას და მეგობრობას ერებს შორის, ასევე რასობრივ ან რელიგიურ ჯგუფებს შორის და აგრეთვე ხელს შეუწყობს გაეროს საქმიანობას მშვიდობის შენარჩუნებისათვის;

ბ) პირველ რიგში აუცილებელი მშობელთა, და, საჭიროების შემთხვევაში, კანონირი მეურვეების უფლების პატივისცემა, აირჩიონ სასწავლო დაწესებულებები მათი შვილებისათვის, საჯარო ხელისუფლების ორგანოების დაწესებულებების გარდა, თუ ეს არჩეული დაწესებულებები შეესაბამება იმ მინიმალურ საგანმანათლებლო სტანდარტებს, რომლებიც შესაძლოა დაწესებული ან დამტკიცებული იქნეს, სახელმწიფოში არსებული კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების შესაბამისად, ბავშვების რელიგიური და მორალური განათლება მათი საკუთარი აღმსარებლობის შესაბამისად: და პირი ან პირთა ჯგუფი არ უნდა იყვნენ იძულებულნი მიიღონ რელიგიური ინსტრუქციები, რომლებიც მათ რწმენას არ შეესაბამება;

გ) აუცილებელია ეროვნული უმცირესობების წევრების უფლებების აღიარება, რათა მათ აწარმოონ მათი საკუთარი საგანმანათლებლო საქმიანობა და ჰქონდეთ საკუთარი სკოლები, და თითოეული სახელმწიფოს საგანმანათლებლო პოლიტიკის შესაბამისად, სწავლების დროს გამოიყენონ საკუთარი ენა, იმ პირობით, რომ:

დ) ეს უფლება არ ხორციელდება ისე, რომ ამ უმცირესობების წევრებს არ ესმოდეთ მთელი საზოგადოების ენა და კულტურა და ვერ მიიღონ მონაწილეობა მის საქმიანობაში; ან განაწყობს ისინი ეროვნული სუვერენიტეტის წინააღმდეგ;

ე) განათლების სტანდარტი არ არის უფრო დაბალი, ვიდრე კომპეტენტური ორგანოს მიერ დაწესებული ან დამტკიცებული ზოგადი სტანდარტი; და

ვ) ასეთ სკოლებში დასწერება არჩევითია;

2. ამ კონვენციის მონაწილე მხარეები იღებენ პასუხისმგებლობას მიიღონ ყველა საჭირო ზომა ამ მუხლის 1-ლი პარაგრაფით განსაზღვრული

პრინციპების გამოყენების უზრუნველყოფის მიზნით.

მუხლი 6

ამ კონვენციის გამოყენებისას, მისი მონაწილე მხარეები იღებენ პასუხისმგებლობას, მნიშვნელოვანი ყურადღება მიაქციონ იმ რეკომენდაციებს, რომლებიც მიღებული იქნება გაეროს განათლების, მეცნიერების და კულტურის ორგანიზაციის გენერალური კონფერენციის მიერ და რომლებითაც განისაზღვრება განათლების სფეროში დისკრიმინაციის სხვადასხვა ფორმების წინააღმდეგ მისაღები ზომები, განათლების სფეროში თანაბარი შესაძლებლობების და თანასწორი მოპყრობის უზრუნველყოფის მიზნით.

მუხლი 7

ამ კონვენციის მონაწილე მხარეები გაეროს განათლების, მეცნიერების და კულტურის ორგანიზაციის გენერალური კონფერენციისათვის ან კონფერენციის მიერ დადგენილი ფორმით და თარიღით წარდგენილ პერიოდულ ანგარიშებში მიუთითებენ ან კონვენციის განსახორციელების მიზნით მათ მიერ მიღებული საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ზომების შესახებ, აგრეთვე მათ მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ, მათ შორის, იმ ზომების შესახებ, რომლებიც მიღებულია მე-4 მუხლით განსაზღვრული სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირების და განვითარების მიზნით, აგრეთვე მიღწეული შედეგებისა და იმ დაბრკოლებების შესახებ, რომლებიც აწყდებიან ისინი ამ პოლიტიკის განხორციელებისას.

მუხლი 8

ამ კონვენციის ინტერპრეტაციასთან ან გამოყენებასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა, რომლებიც შესაძლოა წარმოიშვას ამ კონვენციის მონაწილე ორ ან მეტ მხარეს შორის და რომელიც ვერ გადაწყდება მოლაპარაკებების გზით, მას შემდეგ, რაც ამოიწურება დავის მოგვარების სხვა გზები, დავის მონაწილე მხარეების მოთხოვნით განსახილველად გადაეცემა მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს.

მუხლი 9

ამ კონვენციის მიმართ დათქმები არ დაიშვება.

მუხლი 10

ეს კონვენცია არ შეამცირებს პირების ან პირთა ჯგუფების იმ უფლებებს, რომლებიც შეიძლება სარგებლობდნენ ისინი ორ ან მეტ სახელმწიფოს შორის დადებული შეთანხმებების საფუძველზე, როდესაც ასეთი უფლებები არ ეწინააღმდეგება ამ კონვენციას.

მუხლი 11

ეს კონვენცია შედგენილია ინგლისურ, ფრანგულ, რუსულ და ესპანურ ენებზე. ოთხივე ტექსტს აქვს თანაბარი ძალა.

მუხლი 12

1. ეს კონვენცია ექვემდებარება რატიფიცირებას ან დამტკიცებას გაეროს განათლების, მეცნიერების და კულტურის ორგანიზაციის

საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტები

წვერი სახელმწიფოების მიერ, მათი კონსტიტუციური პროცედურების შესაბამისად.

2. რატიფიცირების ან მიღების ოფიციალური დოკუმენტები დეპონირებული იქნება გაეროს განათლების, მეცნიერების და კულტურის ორგანიზაციის გენერალურ დირექტორთან.

მუხლი 13

ეს კონვენცია ძალში შევა რატიფიცირების, შეერთების ან მიღების მესამე ოფიციალური დოკუმენტის დეპონირების თარიღიდან სამი თვის შემდეგ, მაგრამ მხოლოდ იმ სახელმწიფოების მიმართ, რომელთაც მოახდინეს მათი შესაბამისი ოფიციალური დოკუმენტის დეპონირება ამ თარიღამდე ან ამ თარიღისათვის. ნებისმიერი სხვა სახელმწიფოსათვის ეს კონვენცია ძალაში შევა მათ მიერ რატიფიცირების, შეერთების ან მიღების ოფიციალური დოკუმენტის დეპონირებიდან სამი თვის შემდეგ.

მუხლი 15

ამ კონვენციის მონაწილე მხარეები აღიარებენ, რომ ეს კონვენცია გამოიყენება არა მხოლოდ მათ ძირითად ტერიტორიებზე, არამედ არათვითმმართველ ტერიტორიებზე, მათი მმართველობის ქვეშ მყოფ ტერიტორიებზე, კოლონიებსა და სხვა ტერიტორიებზე, რომელთა საერთაშორისო ურთიერთობებზედაც არიან პასუხისმგებლნი; ისინი იღებენ პასუხისმგებლობას საჭიროების შემთხვევაში გაუწიონ კონსულტაციები ამ ტერიტორიების მთავრობებს ან სხვა კომპეტენტურ ორგანოებს რატიფიცირების, მიღების ან შეერთების დროს ამ მანამდე, ამ ტერიტორიებზე ამ კონვენციის გამოყენების უზრუნველყოფის მიზნით, და შეატყობინონ გაეროს განათლების, მეცნიერების და კულტურის ორგანიზაციის გენერალურ დირექტორს იმ ტერიტორიების შესახებ, რომლებზედაც გავრცელდება ეს კონვენცია. შესაბამისად, შეტყობინება ძალაში შევა სამი თვის შემდეგ მისი მიღების თარიღიდან.

მუხლი 16

1. ამ კონვენციის თითოეულ მონაწილე მხარეს შეუძლია მოახდინოს ამ კონვენციის დეპონირება საკუთარი სახელით ან იმ ტერიტორიის სახელით, რომლის საერთაშორისო ურთიერთობებზედაც არის იგი დამოკიდებული.

2. დენონსირების შესახებ შეტყობინება გაკეთდება წერილობით, ოფიციალური დოკუმენტით, რომელიც დეპონირებული იქნება გაეროს განათლების, მეცნიერების და კულტურის ორგანიზაციის გენერალურ დირექტორთან.

3. დენონსირება ძალში შევა დენონსირების შესახებ ოფიციალური დოკუმენტის მიღების თარიღიდან 12 (თორმეტი) თვის შემდეგ.

მუხლი 17

გარეოს განათლების, მეცნიერების და კულტურის ორგანიზაციის გენერალური დირექტორი მიაწოდებს ინფორმაციას ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოებს, აგრეთვე მე-13 მუხლით განსაზღვრულ იმ სახელმ-

ნიფოებს, რომლებიც არ არიან ორგანიზაციის წევრები და ასევე გაეროს, მე-12 და მე-13 მუხლებით განსაზღვრული რატიფიკაციის, მიღების და შეერთების ყველა ოფიციალური დოკუმენტის დეპონირების შესახებ და აგრეთვე მე-15 და მე-16 მუხლებით განსაზღვრული შეტყობინებების და დენონსირებების შესახებ.

მუხლი 18

1. ეს კონვენცია შეიძლება შესწორებული იქნეს გაეროს განათლების, მეცნიერების და კულტურის ორგანიზაციის გენერალური კონფერენციის მიერ. თითოეული ასეთი შესწორება სავალდებულო იქნება მხოლოდ იმ სახელმწიფოებისათვის, რომლებიც გახდებიან შესწორებული კონვენციის მონაწილე მხარეები.

2. თუ გენერალური კონფერენცია მიიღებს ახალ კონვენციას, რომლის საფუძველზედაც ხდება ამ კონვენციის სრულად ან ნაწილობრივ შესწორება, თუ ახალი კონვენცია სხვაგვარად არ განსაზღვრავს, ეს კონვენცია აღარ იქნება ღია რატიფიცირების, მიერთების ან მიღებისათვის იმ თარიღიდან, როდესაც ახალი შესწორებული კონვენცია შევა ძალაში.

მუხლი 19

გაეროს ქარტია 102-ე მუხლის შესაბამისად, ეს კონვენცია დარეგისტრირდება გაეროს სეკრეტარიატში გაეროს განათლების, მეცნიერების და კულტურის ორგანიზაციის გენერალური დირექტორის მოთხოვნით.

შესრულებულია პარიზში, 1960 წლის 15 დეკემბერს, ორ ორიგინალად, რომლებიც ხელმოწერილია გენერალური კონფერენციის მეთერთმეტე სესიის პრეზიდენტის და გაეროს განათლების, მეცნიერების და კულტურის ორგანიზაციის გენერალური დირექტორის მიერ, და რომლებიც დეპონირებული იქნება გაეროს განათლების, მეცნიერების და კულტურის ორგანიზაციის არქივში და მათი დამონმებული ნამდვილი ასლები გადაეცემა მე-12 და მე-13 მუხლებით განსაზღვრულ ყველა სახელმწიფოს და ასევე გაეროს.

ზემოთ აღნიშნული არის ამ კონვენციის ნამდვილი ტექსტი, რომელიც სათანადოდ არის მიღებული გაეროს განათლების, მეცნიერების და კულტურის ორგანიზაციის გენერალური კონფერენციის მიერ მისი მეთერთმეტე სესიის დროს, რომელიც გაიმართა პარიზში და გამოცხადდა დახურულად 1960 წლის 15 დეკემბერს.

ამის დასტურად 1960 წლის 15 დეკემბერს ხელს ვანერთ.



ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია

რომი, 1950 წლის 4 ნოემბერი

ქვემოთ ხელმომწერმა მთავრობებმა, არიან რა ევროპის საბჭოს წევრები;

გაითვალისწინეს რა 1948 წლის 10 დეკემბერს გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ გამოცხადებული ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია;

გაითვალისწინეს რა, რომ ეს დეკლარაცია მიზნად ისახავს მასში გაცხადებულ უფლებათა საყოველთაო და ეფექტიანი აღიარებასა და დაცვის უზრუნველყოფას;

გაითვალისწინეს რა, რომ ევროპის საბჭოს მიზანია მის წევრებს შორის უფრო მეტი ერთიანობის მიღწევა და, რომ ამ მიზნის მიღწევის ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვა და მათი შემდგომი რეალიზაცია;

კვლავ ადასტურებენ რა თავიანთ ღრმა რწმენას იმ ძირითადი თავისუფლებებისა, რომლებიც არის მსოფლიოში სამართლიანობისა და მშვიდობის საფუძველი და, რომელთა განმტკიცება საუკეთესო საშუალებით ხდება, ერთი მხრივ, ეფექტიანი დემოკრატიული პოლიტიკითა და მეორე მხრივ, ადამიანის უფლებათა საერთო გაგებითა და მათი დაცვით, რაზეც ისინი დამოკიდებულნი არიან;

გადაწყვიტეს რა, როგორც ევროპული ქვეყნების მთავრობებმა, რომელნიც არიან თანამოაზრენი და აქვთ პოლიტიკური ტრადიციების, იდეალების, თავისუფლებისა და სამართლის უზენაესობის საერთო მემკვიდრეობა, გადადგან პირველი ნაბიჯები, საყოველთაო დეკლარაციაში დადგენილ, ცალკეულ უფლებათა კოლექტიური განხორციელებისათვის,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1

ადამიანის უფლებათა პატივისცემის ვალდებულება მაღალი ხელშემკვრელი მხარეები, თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში, ყველასათვის უზრუნველყოფენ ამ კონვენციის I ნაწილში განსაზღვრულ უფლებებსა და თავისუფლებებს.

ნაწილი I - უფლებები და თავისუფლებები

მუხლი 2 სიცოცხლის უფლება

1. ყოველი ადამიანის სიცოცხლის უფლება დაცულია კანონით.

არავის შეიძლება წაერთვას სიცოცხლე განზრახ, გარდა კანონით გათვალისწინებული დანაშაულისათვის, პირის მსჯავრდების შემდგომ სასამართლოს განაჩენის აღსრულებისას.

2. სიცოცხლის წართმევა არ ჩაითვლება ამ მუხლის საწინააღმდეგოდ ჩადენილ ქმედებად, როდესაც იგი არა უმეტეს აბსოლუტურად აუცილებელი ძალის გამოყენების შედეგია:

- ა) ნებისმიერი პირის არამართლზომიერი ძალადობისაგან დაცვა;
- ბ) უკანონო დაკავების ან კანონიერად დაპატიმრებული პირის გაქცევისთვის ხელის შეშლა;
- გ) აჯანყების ან ამბოხების ჩახშობისათვის კანონიერად განხორციელებული მოქმედება.

მუხლი 3 წამების აკრძალვა

არავინ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას ან არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას ან დასჯას.

მუხლი 4 მონობისა და იძულებითი შრომის აკრძალვა

- 1. არავინ შეიძლება იყოს მონობაში ან ყმობაში;
- 2. არავის შეიძლება მოეთხოვოს იძულებითი ან სავალდებულო სამუშაოს შესრულება;

3. ამ მუხლის მნიშვნელობით ტერმინი იძულებითი ან სავალდებულო სამუშაო არ მოიცავს:

ა) ნებისმიერ სამუშაოს, რომელიც უნდა შესრულდეს ამ კონვენციის მე-5 მუხლის დებულებების შესაბამისად, ჩვეული წესით განხორციელებული თავისუფლების აღკვეთისას ან ასეთი თავისუფლების აღკვეთისაგან პირობით გათავისუფლების განმავლობაში;

ბ) სამხედრო ხასიათის ნებისმიერ სამსახურს, ან სავალდებულო სამხედრო სამსახურის ნაცვლად დაკისრებულ სამსახურს იმ ქვეყნებში, სადაც შინაგანი მრწამსის თანახმად, სამხედრო სამსახურის გავლის მოწინააღმდეგენი აღიარებულნი არიან;

გ) ნებისმიერ სამსახურს, რომელიც დაკისრებულია საგანგებო მდგომარეობის ან უბედური შემთხვევის დროს, რაც საფრთხეს უქმნის საზოგადოების სიცოცხლეს ან კეთილდღეობას;

დ) ნებისმიერ სამუშაოს ან სამსახურს, რომელიც შეადგენს ჩვეულებრივ სამოქალაქო ვალდებულებათა ნაწილს.

მუხლი 5 თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება

1. ყველას აქვს თავისუფლებისა და პიროვნული უსაფრთხოების უფლება. არავის შეიძლება აღეკვეთოს თავისუფლება, გარდა შემდგომი შემთხვევებისა და კანონით განსაზღვრული პროცედურის თანახმად:

ა) კომპეტენტური სასამართლოს მიერ მსჯავრდების შემდგომ პირის კანონიერი დაპატიმრება;

ბ) პირის კანონიერი დაკავება ან დაპატიმრება სასამართლოს კანო-

საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტები

ნიერი გადანყვეტილების შეუსრულებლობისათვის ან კანონით გათვალისწინებული ნებისმიერი ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად;

ვ) პირის კანონიერი დაკავება ან დაპატიმრება კომპეტენტური სასამართლო ორგანოს წინაშე წარდგენის მიზნით, თუ არსებობს სამართალდარღვევის ჩადენის საფუძვლიანი ეჭვი ან, როდესაც ეს საფუძვლიანად მიჩნეულია აუცილებლად, პირის მიერ დანაშაულის ჩადენის ან ჩადენის შემდგომ მისი გაქცევის თავიდან ასაცილებლად;

დ) არასრულწლოვანის დაკავება კანონიერი გადანყვეტილების საფუძველზე საგანმანათლებლო ზედამხედველობის მიზნით ან მისი კანონიერი დაკავება უფლებამოსილი კომპეტენტური სასამართლო ორგანოს წინაშე მისი წარდგენის მიზნით;

ე) ინფექციურ დაავადებათა გავრცელების თავიდან ასაცილებლად პირების, აგრეთვე სულით ავადმყოფების, ალკოჰოლიკების, ნარკომანების ან მანანალების კანონიერი დაკავება;

ფ) პირის კანონიერი დაკავება ან დაპატიმრება ქვეყანაში მისი უნებართვოდ შესვლის აღსაკვეთად ან იმ პირისა, რომლის წინააღმდეგაც ხორციელდება ღონისძიებები მისი დეპორტაციის ან ექსტრადიციის მიზნით.

2. ყველა დაკავებულს მისთვის გასაგებ ენაზე დაუყოვნებლივ ეცნობება მისი დაკავების მიზეზები და მის წინააღმდეგ წაყენებული ყველა ბრალდება.

3. ამ მუხლის 1-ლი პუნქტის (ვ) ქვეპუნქტის დებულებების თანახმად, დაკავებული ან დაპატიმრებული ყველა პირი დაუყოვნებლივ წარედგინება მოსამართლეს ან სასამართლო ხელისუფლების განხორციელებაზე კანონით უფლებამოსილ სხვა მოხელეს და მას უფლება აქვს სასამართლო პროცესის გონივრულ ვადაში ჩატარებაზე ან პროცესის განმავლობაში გათავისუფლებაზე. გათავისუფლება შეიძლება განპირობებული იყოს სასამართლო პროცესზე გამოცხადების გარანტიებით.

4. დაკავებით ან დაპატიმრებით თავისუფლება აღკვეთილ ყველა პირს უფლება აქვს სასამართლო პროცესზე, რომლითაც სასამართლოს მიერ სწრაფად გადანყდება დაპატიმრების კანონიერება და გაიცემა ბრძანება გათავისუფლებაზე, თუ დაპატიმრება არ არის კანონიერი.

5. ყველას, ვინც არის დაკავების ან დაპატიმრების მსხვერპლი ამ მუხლის დებულებათა დარღვევით, აქვს აღსრულებადი უფლება კომპენსაციაზე.

მუხლი 6 სამართლიანი განხილვის უფლება

1. სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა ან სისხლის სამართლებრივი ნებისმიერი ბრალდების განსაზღვრისას, ყველას აქვს უფლება კანონით შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს

მიერ გონივრულ ვადაში სამართლიან და საჯარო მოსმენაზე. სასამართლო გადაწყვეტილება ცხადდება საჯაროდ, მაგრამ დემოკრატიულ საზოგადოებაში ზნეობის, საზოგადოებრივი წესრიგის ან ეროვნული უშიშროების ინტერესებიდან გამომდინარე, პრესა და საზოგადოება შეიძლება არ დაიშვას სასამართლო განხილვის მთელ ან მის ნაწილზე, თუ ამას მოითხოვს არასრულწლოვანთა ინტერესები ან მხარეთა პირადი ცხოვრების დაცვა, ან სასამართლოს შეხედულებით, განსაკუთრებულ გარემოებებში, მკაცრი აუცილებლობის ზღვრამდე, თუ საჯაროობა ზიანს მიაყენებდა მართლმსაჯულების ინტერესებს.

2. ყველა, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, ითვლება უდანაშაულოდ, სანამ მისი ბრალეულობა დამტკიცდება კანონის შესაბამისად.

3. ყველას, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, აქვს უფლებათა შემდეგი მინიმუმი:

ა) დაუყოვნებლივ და დეტალურად ეცნობოს მისთვის გასაგებ ენაზე წაყენებული ბრალდების არსი და მიზეზი;

ბ) მიეცეს საკმარისი დრო და შესაძლებლობა დაცვის მოსამზადებლად;

გ) დაიცვას თავი პირადად ან მის მიერ არჩეული დამცველის მეშვეობით ან, თუ მას არ გააჩნია საკმარისი სახსრები სამართლებრივი დახმარების ასანაზღაურებლად, მიეცეს ამის შესაძლებლობა უფასოდ, როდესაც მართლმსაჯულების ინტერესები ამას მოითხოვს;

დ) დაკითხოს ან დაკითხონ მის წინააღმდეგ ჩვენების მიმცემი მოწმეები და უზრუნველყოფილ იქნეს დაცვის მოწმეთა დასწრებით და დაკითხვით მის წინააღმდეგ ჩვენების მიმცემ მოწმეთა თანაბარ პირობებში;

ე) მიიღოს თარჯიმნის უფასო დახმარება, თუ მას არ შეუძლია გაიგოს ან ილაპარაკოს ენაზე, რომელსაც იყენებს სასამართლო.

მუხლი 7 არავითარი სასჯელი კანონის გარეშე

1. არავინ იქნება ცნობილი ბრალეულად სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში, იმ მოქმედების ან უმოქმედობის გამო რომელიც ჩადენის დროს, ეროვნული ან საერთაშორისო სამართლის თანახმად, არ წარმოადგენდა სისხლის სამართლის დანაშაულს. არც იმაზე უფრო მკაცრი სასჯელი შეიძლება შეეფარდოს ვინმეს, ვიდრე ის სასჯელი, რომელიც გამოიყენებოდა სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის დროს.

2. ეს მუხლი ხელს არ შეუშლის ნებისმიერი პირის გასამართლებას და დასჯას ნებისმიერი მოქმედების ან უმოქმედობისათვის, რაც მისი ჩადენის დროისათვის იყო დანაშაული ცივილიზებული სახელმწიფოების მიერ აღიარებული სამართლის ზოგადი პრინციპების მიხედვით.

მუხლი 8 პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება

საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტები

1. ყველას აქვს უფლება პატივი სცენ მის პირად და ოჯახურ ცხოვრებას, მის საცხოვრებელსა და მის მიმონერას;

2. დაუშვებელია საჯარო ხელისუფლების ჩარევა ამ უფლების განხორციელებაში, გარდა ისეთი ჩარევისა, რაც დაშვებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესებისათვის ან უნესრიგობის ან დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, ჯანმრთელობის ან ზნეობის ან სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დაცვისათვის.

მუხლი 9 აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება

1. ყველას აქვს უფლება აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებაზე; ეს უფლება მოიცავს რელიგიის ან რწმენის შეცვლის თავისუფლებას და თავისუფლებას როგორც მარტომ, ისე სხვებთან ერთად და საჯაროდ ან კერძოდ, გააცხადოს თავისი რელიგია ან რწმენა აღმსარებლობით, სწავლებით, რიტუალების შესრულებითა და დაცვით.

2. რელიგიის ან რწმენის გაცხადების თავისუფლება ექვემდებარება მხოლოდ ისეთ შეზღუდვებს, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, საზოგადოებრივი წესრიგის, ჯანმრთელობის ან ზნეობის ან სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დაცვისათვის.

მუხლი 10 სიტყვის თავისუფლება

1. ყველას აქვს უფლება სიტყვის თავისუფლებაზე. ეს უფლება მოიცავს პირის თავისუფლებას ჰქონდეს შეხედულებები, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და მოსაზრებები საჯარო ხელისუფლების მიერ ჩარევის გარეშე და მიუხედავად საზღვრებისა. ეს მუხლი არ უშლის ხელს სახელმწიფოებს, მოითხოვონ რადიოსამაუწყებლო, სატელევიზიო ან კინემატოგრაფიულ წარმოებათა ლიცენზირება;

2. ამ თავისუფლებათა განხორციელება, რამდენადაც იგი აკისრებს მას ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობას, შეიძლება დაექვემდებაროს ისეთ ფორმალობებს, პირობებს, შეზღუდვებს ან სანქციებს, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, უნესრიგობის ან დანაშაულის თავიდან აცილებისათვის, ჯანმრთელობის ან ზნეობის დაცვისათვის, სხვათა რეპუტაციის ან უფლებათა დაცვისათვის, საიდუმლო ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან აცილების ან სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტისა და მიუყერძობლობის შენარჩუნებისათვის.

მუხლი 11 შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება

1. ყველას აქვს უფლება მშვიდობიანი შეკრების თავისუფლებასა და სხვებთან გაერთიანების თავისუფლებაზე, თავისი ინტერესების დასაცავად პროფესიული კავშირების შექმნისა და მასში გაერთიანების უფლების ჩათვლით.

2. დაუშვებელია რაიმე შეზღუდვის დაწესება ამ უფლებათა განხორციელებაზე, გარდა იმისა, რაც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, უნესრიგობის ან დანაშაულის თავიდან აცილებისათვის, ჯანმრთელობის ან ზნეობის ან სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დაცვისათვის. ეს მუხლი ხელს არ უშლის შეიარაღებული ძალების, პოლიციის ან სახელმწიფო ადმინისტრაციის წევრების მიერ ამ უფლებათა განხორციელებაზე კანონიერი შეზღუდვების დაწესებას.

მუხლი 12 ქორწინების უფლება

საქორწინო ასაკს მიღწეულ მამაკაცებსა და ქალებს აქვთ უფლება დაქორწინდნენ და შექმნან ოჯახი ამ უფლების განხორციელების მარეგულირებელი ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 13 უფლება სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალებაზე

ყველას, ვისაც დაერღვა ამ კონვენციით გათვალისწინებული უფლებები და თავისუფლებები, აქვს სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალება სახელმწიფო ხელისუფლების წინაშე, მიუხედავად იმისა, რომ ეს დარღვევა ჩადენილია პირთა მიერ, სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას.

მუხლი 14 დისკრიმინაციის აკრძალვა

კონვენციით გათვალისწინებულ უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელება უზრუნველყოფილია დისკრიმინაციის გარეშე ისეთ საფუძველზე, როგორცაა სქესი, რასა, კანის ფერი, ენა, რელიგია, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებები, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობა, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილება, ქონება, დაბადება თუ სხვა სტატუსი.

მუხლი 15 გადახვევა საგანგებო მდგომარეობის დროს

1. ომის ან სხვა საზოგადოებრივი საგანგებო მდგომარეობის დროს, რაც ემუქრება ერის სიცოცხლეს, ნებისმიერ მაღალ ხელშემკვრელ მხარეს შეუძლია გაატაროს ღონისძიებები, რომლებიც უხვევენ ამ კონვენციიდან გამომდინარე მის ვალდებულებებს, იმ ზღვრამდე რაც მკაცრად მოითხოვება მდგომარეობის სიმწვავეთ და იმ პირობით, რომ საერთაშორისო სამართლის მიხედვით ამგვარი ღონისძიებები არ არის შეუსაბამოებაში მხარის სხვა ვალდებულებებთან.

2. ამ დებულების საფუძველზე დაუშვებელია გადახვევა მე-2 მუხ-

საპარტაშორისო სამართლებრივი დოკუმენტები

ლიდან, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გარდაცვალება მართლ-ზომიერ საომარ მოქმედებათა შედეგია, ისევე, როგორც მე-3, მე-4 (1-ლი პუნქტი) და მე-7 მუხლებიდან.

3. ნებისმიერი მაღალი ხელშემკვრელი მხარე, რომელიც იყენებს გადახვევის ამ უფლებას, აწვდის ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს სრულ ინფორმაციას მის მიერ გატარებული ღონისძიებებისა და მათი მიზეზების შესახებ. იგი ასევე აცნობებს ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს, როდის შეწყვიტა ამ ღონისძიებებმა მოქმედება და კვლავ სრულად ამოქმედდა კონვენციის დებულებები.

მუხლი 16 შეზღუდვები უცხოელთა პოლიტიკურ საქმიანობაზე

მე-10, მე-11 და მე-14 მუხლებში არაფერი განიხილება ხელშემშლელად უცხოელთა პოლიტიკურ საქმიანობაზე, მაღალი ხელშემკვრელი მხარეების მიერ, შეზღუდვების დაწესებისაგან.

მუხლი 17 უფლებათა ბოროტად გამოყენების აკრძალვა

ამ კონვენციაში არაფერი არ შეიძლება განიმარტოს იმგვარად, რომ გულისხმობდეს რომელიმე სახელმწიფოს, ჯგუფის ან პირის უფლებას, მონაწილეობდეს რაიმე საქმიანობაში ან განახორციელოს რაიმე ქმედება, რომელიც მიზნად ისახავს კონვენციით გათვალისწინებულ უფლებათა და თავისუფლებათა განადგურებას ან ამ უფლებათა და თავისუფლებათა იმაზე მეტად შეზღუდვას, ვიდრე ეს დადგენილია კონვენციით.

მუხლი 18 უფლებებზე შეზღუდვათა გამოყენების ფარგლები

ხსენებულ უფლებათა და თავისუფლებათა კონვენციით დაშვებული შეზღუდვები არ გამოიყენება სხვა, თუ არა მათთვის გათვალისწინებული მიზნებისათვის.

ნაწილი II - ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლო

მუხლი 19 სასამართლოს დაარსება

კონვენციითა და მისი ოქმებით მაღალი ხელშემკვრელი მხარეების მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების უზრუნველსაყოფად, არსდება ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლო, შემდგომში მოხსენიებული როგორც “სასამართლო”. სასამართლო ფუნქციონირებს მუდმივ საფუძველზე.

მუხლი 20 მოსამართლეთა რაოდენობა

სასამართლო შედგება მოსამართლეთა იმ რაოდენობისაგან, რომელიც მაღალ ხელშემკვრელ მხარეთა რაოდენობის თანაბარია.

მუხლი 21 კრიტერიუმები თანამდებობისათვის

1. მოსამართლეები უნდა ხასიათდებოდნენ მაღალი ზნეობრივი თვისებებით და ფლობდნენ მოსამართლის მაღალი თანამდებობის დაკავებისათვის აუცილებელ კვალიფიკაციას ან იყვნენ აღიარებული კომპეტენტურობის იურისკონსულტები.

2. მოსამართლეები სასამართლოს წევრები არიან პიროვნულად.

3. მათი უფლებამოსილების ვადის განმავლობაში მოსამართლეები არ უნდა ჩაებნენ მათ დამოუკიდებლობასთან, მიუკერძოებლობასთან ან სრულგანაკვეთიანი სამსახურის მოთხოვნებთან შეუსაბამო რაიმე საქმიანობაში; ყველა საკითხი, რომელიც წამოიჭრება ამ პუნქტის გამოყენებასთან დაკავშირებით, წყდება სასამართლოს მიერ.

მუხლი 22 მოსამართლეთა არჩევა

1. მოსამართლეები თითოეული მაღალი ხელშემკვრელი მხარიდან აირჩევიან საპარლამენტო ასამბლეის მიერ ხმების უმრავლესობით, მაღალი ხელშემკვრელი მხარის მიერ წარდგენილი სამი კანდიდატურისაგან შემდგარი სიიდან.

2. იგივე პროცედურა გამოიყენება სასამართლოს დასაკომპლექტებლად კონვენციაზე ახალი ხელშემკვრელი მხარის შეერთების შემთხვევაში და გაუთვალისწინებელი ვაკანსიების შევსებისას.

მუხლი 23 უფლებამოსილების ვადები

1. მოსამართლეები აირჩევიან ექვსი წლის ვადით. ისინი შეიძლება ხელახლა არჩეულ იქნენ. თუმცა, პირველ არჩევნებზე არჩეულ მოსამართლეთა ნახევრის უფლებამოსილების ვადა იწურება სამი წლის გასვლის შემდეგ.

2. მოსამართლეები, რომელთა უფლებამოსილების ვადა იწურება პირველი სამწლიანი პერიოდის ბოლოს, დაუყოვნებლივ, მათი არჩევის შემდეგ, შეირჩევიან კენჭისყრით ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის მიერ.

3. იმისათვის, რათა მოსამართლეთა ნახევრის უფლებამოსილების ვადის განახლება ყოველ სამ წელიწადში შეძლებისდაგვარად იყოს უზრუნველყოფილი, საპარლამენტო ასამბლეას, შემდგომი არჩევნების ჩატარებამდე, შეუძლია გადაწყვიტოს ერთი ან მეტი ასარჩევი მოსამართლის უფლებამოსილების ვადა ან ვადები არ განისაზღვროს ექვსი წლით და განისაზღვროს არა უმეტეს ცხრა და არანაკლებ სამი წლით.

4. იმ შემთხვევებში, როდესაც საკითხი ეხება უფლებამოსილების ერთზე მეტ ვადას და საპარლამენტო ასამბლეა იყენებს წინა პუნქტს, უფლებამოსილების ვადები გადანაწილდება ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის მიერ კენჭისყრის ჩატარებით, დაუყოვნებლივ არჩევნების შემდგომ.

5. იმ მოსამართლის შესაცვლელად არჩეული მოსამართლე, რომლის უფლებამოსილების ვადა ამონურული არ არის, იკავებს თანამდებობას მისი წინამორბედის უფლებამოსილების ვადით.

6. მოსამართლეთა უფლებამოსილების ვადა იწურება, როდესაც ისინი მიაღწევენ 70 წლის ასაკს.

7. მოსამართლეებს თანამდებობა უკავიათ მათ შეცვლამდე. თუმცა

საპარტაშორისო სამართლებრივი დოკუმენტები

ისინი აგრძელებენ იმ საქმეთა განხილვას, რომელთაც მანამდე განიხილავდნენ.

მუხლი 24 დათხოვნა

არც ერთი მოსამართლე არ შეიძლება, დაითხოვონ თანამდებობიდან, თუ სხვა მოსამართლეები ხმების ორი მესამედის უმრავლესობით არ გადაწყვეტენ, რომ იგი აღარ აკმაყოფილებს ნაყენებულ პირობებს.

მუხლი 25 სამდივნო და იურიდიული მდივნები

სასამართლოს აქვს სამდივნო, რომლის ფუნქციები და ორგანიზაცია დადგენილია სასამართლოს რეგლამენტით. სასამართლოს დახმარებას უწევენ იურიდიული მდივნები.

მუხლი 26 სასამართლო პლენუმი

სასამართლო პლენუმი

ა) ირჩევს სასამართლოს თავმჯდომარეს და თავმჯდომარის ერთ ან ორ მოადგილეს სამი წლის ვადით; ისინი შეიძლება ხელახლა იქნენ არჩეული;

ბ) აარსებს პალატებს, რომლებიც იქმნება დროის განსაზღვრული პერიოდით;

გ) ირჩევს სასამართლო პალატების თავმჯდომარეებს; ისინი შეიძლება ხელახლა იქნენ არჩეული;

დ) იღებს სასამართლოს რეგლამენტს; და

ე) ირჩევს სამდივნოს უფროსს და სამდივნოს უფროსის ერთ ან ორ მოადგილეს.

მუხლი 27 კომიტეტები, პალატები და დიდი პალატა

1. გადაცემულ საქმეთა განსახილველად სასამართლო ქმნის სამი მოსამართლისაგან შემდგარ კომიტეტებს, შვიდი მოსამართლისაგან შემდგარ პალატებსა და ჩვიდმეტი მოსამართლისაგან შემდგარ დიდ პალატას. სასამართლოს პალატები აარსებენ კომიტეტებს დროის განსაზღვრული პერიოდით.

2. მოსამართლე, რომელიც არჩეულია შესაბამისი მონაწილე სახელმწიფოდან, მონაწილეობს პალატისა და დიდი პალატის სხდომებში, როგორც ენ ოფფიცირი წევრი, ან თუ ასეთი მოსამართლე არ ან ვერ მონაწილეობს, სახელმწიფოს მიერ შერჩეული პირი ახორციელებს მოსამართლის უფლებამოსილებას.

3. დიდი პალატა ასევე შედგება სასამართლოს თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილეების, პალატების თავმჯდომარეებისა და სხვა მოსამართლეებისაგან, რომლებიც შეირჩევიან სასამართლოს რეგლამენტის შესაბამისად. როდესაც საქმე განსახილველად გადაეცემა დიდ პალატას 43-ე მუხლის თანახმად, იმ პალატის არც ერთი მოსამართლე, რომელმაც გამოიტანა საბოლოო გადაწყვეტილება, არ უნდა მონაწილეობდეს დიდი პალატის სხდომაში, გარდა პალატის თავმჯდომარისა და იმ მონაწილე

სახელმწიფოს მოსამართლისა, რომელიც არის დავის მხარე.

მუხლი 28 კომიტეტების მიერ განაცხადის დაუშვებლად გამოცხადება

კომიტეტს შეუძლია, ერთსულოვანი გადაწყვეტილებით, შეტანილი განაცხადი გამოაცხადოს დაუშვებლად ან ამოიღოს განსახილველ საქმეთა სიიდან 34-ე მუხლის შესაბამისად, როდესაც ასეთი გადაწყვეტილება შეიძლება მიიღონ შემდგომი განხილვის გარეშე. გადაწყვეტილება საბოლოოა.

მუხლი 29 პალატების გადაწყვეტილებები განაცხადის დაშვებასა და არსებითად განხილვაზე

1. თუ გადაწყვეტილება არ არის მიღებული 28-ე მუხლის შესაბამისად, პალატა იღებს გადაწყვეტილებას 34-ე მუხლის თანახმად წარდგენილ ინდივიდუალურ განაცხადთა დაშვებადობასა და არსებითად განხილვაზე.

2. პალატა იღებს გადაწყვეტილებას 33-ე მუხლის თანახმად წარდგენილ სახელმწიფოთაშორის განაცხადთა დაშვებადობასა და არსებითად განხილვაზე.

3. გადაწყვეტილება დაშვებადობაზე მიიღება განცალკევებულად, თუ სასამართლო, გამონაკლის შემთხვევებში, სხვაგვარად არ წყვეტს.

მუხლი 30 უარის განაცხადება იურისდიქციაზე დიდი პალატის სასარგებლოდ

როდესაც პალატის განხილვაში მყოფი საქმე წამოჭრის სერიოზულ საკითხს, რომელიც გავლენას ახდენს კონვენციისა და მისი ოქმების განმარტებაზე, ან პალატის მიერ საკითხის გადაწყვეტას შეიძლება მოჰყვეს სასამართლოს მიერ მანამდე მიღებულ საბოლოო გადაწყვეტილებასთან შეუთავსებელი შედეგი, პალატას უფლება აქვს საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე ნებისმიერ დროს უარი განაცხადოს იურისდიქციაზე დიდი პალატის სასარგებლოდ, თუ საქმის ერთ-ერთი მხარე არ არის წინააღმდეგი.

მუხლი 31 დიდი პალატის უფლებამოსილებანი

დიდი პალატა

ა) წყვეტს 33-ე ან 34-ე მუხლების თანახმად წარმოდგენილ განაცხადებს, რომელთა იურისდიქციაზეც პალატამ განაცხადა უარი 30-ე მუხლის შესაბამისად ან როდესაც განაცხადი მას გადაეცემა 43-ე მუხლის შესაბამისად; და

ბ) განიხილავს 47-ე მუხლის შესაბამისად წარმოდგენილ თხოვნებს საკონსულტაციო დასკვნების შესახებ.

მუხლი 32 სასამართლოს იურისდიქცია

1. სასამართლოს იურისდიქცია ვრცელდება კონვენციისა და მისი ოქმების განმარტებასა და გამოყენებასთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე, რომელიც მას გადაეცემა, როგორც ეს გათვალისწინებულია

33-ე, 34-ე და 47-ე მუხლებით.

2. დავის შემთხვევაში, აქვს თუ არა სასამართლოს იურისდიქცია, გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო.

მუხლი 33 სახელმწიფოთაშორისი საქმეები

ნებისმიერ მაღალ ხელშემკვრელ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მაღალი ხელშემკვრელი სხვა მხარის მიერ კონვენციისა და მისი ოქმების ნებისმიერი დარღვევის მტკიცებით.

მუხლი 34 ინდივიდუალური განაცხადი

სასამართლოს შეუძლია მიიღოს განაცხადები ნებისმიერი პირის, არასამთავრობო ორგანიზაციის ან პირთა ჯგუფისაგან, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ისინი არიან ერთ-ერთი მაღალი ხელშემკვრელი მხარის მიერ კონვენციით ან მისი ოქმებით გათვალისწინებული უფლებების დარღვევის მსხვერპლნი. მაღალი ხელშემკვრელი მხარეები კისრულობენ ვალდებულებას, არანაირად არ შეუშალონ ხელი ამ უფლების ეფექტიან განხორციელებას.

მუხლი 35 დაშვებადობის კრიტერიუმები

1. სასამართლოს შეუძლია საქმე განსახილველად მიიღოს მხოლოდ მას შემდეგ, რაც ამოიწურება შინასახელმწიფოებრივი დაცვის ყველა საშუალება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმის შესაბამისად, და ექვსი თვის ვადაში – საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების დღიდან.

2. სასამართლო არ მიიღებს განსახილველად 34-ე მუხლის შესაბამისად შეტანილ არც ერთ განაცხადს, რომელიც:

ა) არის ანონიმური; ან

ბ) არის არსებითად იგივე საკითხი, რომელიც უკვე განხილულია სასამართლოს მიერ ან გადაეცა საერთაშორისო გამოძიების ან მოგვარების სხვა პროცედურას და არ შეიცავს შესაბამის რაიმე ახალ ინფორმაციას.

3. სასამართლო დაუშვებლად აცხადებს 34-ე მუხლის შესაბამისად შეტანილ ინდივიდუალურ განაცხადს, რომელსაც მიიჩნევს შეუთავსებლად კონვენციისა და მის ოქმებთან, აშკარად დაუსაბუთებლად, ან სასამართლოსათვის მიმართვის უფლების ბოროტად გამოყენებად.

4. სასამართლო უარყოფს ნებისმიერ განაცხადს, რომელსაც იგი მიიჩნევს დაუშვებლად ამ მუხლის შესაბამისად. სასამართლოს შეუძლია ამის განხორციელება სამართალწარმოების ნებისმიერ ეტაპზე.

მუხლი 36 მესამე მხარის მონაწილეობა

1. პალატის ან დიდი პალატის განხილვაში მყოფ ყველა საქმეში, მაღალ ხელშემკვრელ მხარეს, რომლის ერთ-ერთი მოქალაქეც არის განმცხადებელი, უფლება აქვს წარადგინოს წერილობითი კომენტარები და მონაწილეობა მიიღოს საქმის მოსმენებში.

2. მართლმსაჯულების სათანადოდ განხორციელების ინტერესებიდან გამომდინარე, სასამართლოს თავმჯდომარეს შეუძლია მიიწვიოს ნებისმიერი მაღალი ხელშემკვრელი მხარე, რომელიც არ არის პროცესის მონაწილე ან ნებისმიერი დაინტერესებული პირი, რომელიც არ არის განმცხადებელი, წერილობითი კომენტარების წარსადგენად ან საქმის მოსმენებში მონაწილეობის მისაღებად.

მუხლი 37 განაცხადის ამოღება

1. სასამართლოს შეუძლია სამართალწარმოების ნებისმიერ ეტაპზე გადაწყვიტოს, ამოიღოს განაცხადი საქმეთა სიიდან, როდესაც გარემოებებს იგი მიჰყავს დასკვნამდე, რომ:

ა) განმცხადებელს არა აქვს განზრახული ბოლომდე მიჰყვეს თავის განაცხადს;

ბ) საქმე მოგვარდა; ან

გ) სასამართლოს მიერ დადგენილი ნებისმიერი სხვა მიზეზით აღარ არის გამართლებული განაცხადის განხილვის გაგრძელება.

თუმცა, სასამართლო აგრძელებს განაცხადის განხილვას, თუ კონვენციითა და მისი ოქმებით განსაზღვრული ადამიანის უფლებათა პატივისცემა ამას მოითხოვს.

2. სასამართლოს შეუძლია გადაწყვიტოს აღადგინოს განაცხადი საქმეთა სიაში, თუ იგი ჩათვლის, რომ გარემოებები ამართლებს ამგვარ ქმედებას.

მუხლი 38 საქმის განხილვა და მორიგების პროცედურა

1. თუ სასამართლო აცხადებს განაცხადს დაშვებულად, იგი:

ა) აგრძელებს საქმის განხილვას მხარეთა წარმომადგენლებთან ერთად და, საჭიროების შემთხვევაში, აწარმოებს გამოძიებას, რომლის ეფექტიანად წარმართვისათვის შესაბამისი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ ყველა აუცილებელი პირობით;

ბ) სთავაზობს შესაბამის მხარეებს თავის სამსახურს საქმეზე მორიგების უზრუნველყოფის მიზნით, ადამიანის უფლებათა პატივისცემის საფუძველზე, როგორც ეს განსაზღვრულია კონვენციასა და მის ოქმებში.

2. 1-ლი პუნქტის (ბ) ქვეპუნქტის შესაბამისად წარმოებული პროცედურა კონფიდენციალურია.

მუხლი 39 მორიგების მიღწევა

თუ მიღწეულია მორიგება, სასამართლო საქმეს იღებს საქმეთა სიიდან გადაწყვეტილების გზით, რომელიც შემოიფარგლება ფაქტებისა და მიღწეული გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვით.

მუხლი 40 საჯარო მოსმენები და დოკუმენტებზე ხელმისაწვდომობა

1. სასამართლო მოსმენები ღიაა, თუ სასამართლო გამონაკლის შემთხვევებში სხვაგვარად არ წყვეტს.

2. სამდივნოს უფროსთან შენახული დოკუმენტები ხელმისაწვდომია

საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტები

საზოგადოებისათვის, თუ სასამართლოს თავმჯდომარე სხვაგვარად არ წყვეტს.

მუხლი 41 სამართლიანი დაკმაყოფილება

თუ სასამართლო დაადგენს, რომ დაირღვა კონვენცია და მისი ოქმები, და, თუ შესაბამისი მაღალი ხელშემკვრელი მხარის შინასახელმწიფოებრივი სამართალი იძლევა ზიანის მხოლოდ ნაწილობრივი ანაზღაურების შესაძლებლობას, სასამართლო, საჭიროების შემთხვევაში, ანიჭებს დაზარალებულ მხარეს სამართლიან დაკმაყოფილებას.

მუხლი 42 პალატების საბოლოო გადაწყვეტილებები

პალატების გადაწყვეტილებები საბოლოო ხდება 44-ე მუხლის მე-2 პუნქტის დებულებების შესაბამისად.

მუხლი 43 დიდი პალატისათვის გადაცემა

1 პალატის მიერ საბოლოო გადაწყვეტილებების მიღების დღიდან სამი თვის ვადაში, საქმის მონაწილე ნებისმიერ მხარეს, გამონაკლის შემთხვევაში, შეუძლია ითხოვოს საქმის დიდი პალატისათვის გადაცემა.

2. დიდი პალატის ხუთი მოსამართლისაგან შემდგარი კოლეგია იღებს თხოვნას იმ შემთხვევაში, თუ საქმე წამოჭრის სერიოზულ საკითხს, რომელიც გავლენას ახდენს კონვენციისა და მისი ოქმების განმარტებასა და გამოყენებაზე ან ზოგადი მნიშვნელობის სერიოზულ საკითხებს.

3. თუ კოლეგია მიიღებს თხოვნას, დიდი პალატა საქმეს წყვეტს საბოლოო გადაწყვეტილების მიღების გზით.

მუხლი 44 საბოლოო გადაწყვეტილება

1. დიდი პალატის გადაწყვეტილება საბოლოოა.

2. პალატის გადაწყვეტილება საბოლოო ხდება

ა) როდესაც, მხარეები აცხადებენ, რომ არ მოითხოვენ საქმის გადაცემას დიდი პალატისათვის; ან

ბ) პალატის საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანიდან სამი თვის შემდეგ, თუ დიდ პალატაში საქმის გადაცემის თხოვნა არ გაკეთებულა; ან

გ) როდესაც დიდი პალატის კოლეგია უარს აცხადებს, 43-ე მუხლის შესაბამისად, გადაცემის თხოვნის მიღებაზე.

3. საბოლოო გადაწყვეტილება ქვეყნდება.

მუხლი 45 სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებებისა

და გადაწყვეტილებების დასაბუთება

1. სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებების, ისევე როგორც გადაწყვეტილებები, რომლებიც განაცხადებს დასაშვებად ან დაუშვებლად აცხადებენ, უნდა იქნეს დასაბუთებული.

2. თუ საბოლოო გადაწყვეტილება მთლიანად ან ნაწილობრივ არ გამოხატავს მოსამართლეთა ერთსულოვან აზრს, ნებისმიერ მოსამართლეს უფლება აქვს გამოხატოს განსხვავებული აზრი.

მუხლი 46 საბოლოო გადაწყვეტილების სავალდებულო ძალა და

აღსრულება

1. მაღალი ხელშემკვრელი მხარეები ვალდებულია კისრულობენ შეასრულონ სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებები ნებისმიერ საქმეზე, რომლის მხარეებიც ისინი არიან.

2. სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებები გადაეცემა მინისტრთა კომიტეტს, რომელიც ზედამხედველობს მის აღსრულებას.

მუხლი 47 საკონსულტაციო დასკვნები

1. მინისტრთა კომიტეტის თხოვნით სასამართლოს შეუძლია გასცეს საკონსულტაციო დასკვნები სამართლებრივ საკითხებზე, რომლებიც ეხება კონვენციისა და მისი ოქმების განმარტებას.

2. ამგვარი დასკვნები არ უნდა ეხებოდეს კონვენციის ნაწილსა და მის ოქმებში განსაზღვრულ უფლებათა და თავისუფლებათა შინაარსთან ან ფარგლებთან დაკავშირებულ არც ერთ საკითხს, ან სხვა ისეთ საკითხს, რომელიც სასამართლოს ან მინისტრთა კომიტეტს შესაძლოა უნდა განეხილა ნებისმიერი ისეთი პროცესის შედეგად, რომელიც შეიძლება დაწყებულიყო კონვენციის შესაბამისად.

3. მინისტრთა კომიტეტის გადაწყვეტილებები სასამართლოსათვის საკონსულტაციო დასკვნის თხოვნის თაობაზე საჭიროებს კომიტეტში დასწრების უფლების მქონე წარმომადგენელთა ხმების უმრავლესობას.

მუხლი 48 სასამართლოს საკონსულტაციო იურისდიქცია

სასამართლო წევრებს შედის თუ არა მის კომპეტენციაში მინისტრთა კომიტეტის მიერ წარდგენილი თხოვნა საკონსულტაციო დასკვნის შესახებ, როგორც ეს განსაზღვრულია 47-ე მუხლით.

მუხლი 49 საკონსულტაციო დასკვნების დასაბუთება

1. სასამართლოს საკონსულტაციო დასკვნები დასაბუთებულ უნდა იქნეს.

2. თუ საკონსულტაციო დასკვნა მთლიანად ან ნაწილობრივ არ გამოხატავს მოსამართლეთა ერთსულოვან აზრს, ნებისმიერ მოსამართლეს უფლება აქვს გამოხატოს განსხვავებული აზრი.

3. სასამართლოს საკონსულტაციო დასკვნები გადაეცემა მინისტრთა კომიტეტს.

მუხლი 50 სასამართლოს შენახვის ხარჯები

სასამართლოს შენახვის ხარჯებს ფარავს ევროპის საბჭო.

მუხლი 51 მოსამართლეთა პრივილეგიები და იმუნიტეტები

თავიანთი ფუნქციების განხორციელებისას მოსამართლეები სარგებლობენ პრივილეგიებითა და იმუნიტეტებით, რომლებიც გათვალისწინებულია ევროპის საბჭოს წესდების მე-40 მუხლით და მის საფუძველზე დადებული შეთანხმებებით.

ნაწილი III - სხვადასხვა დებულებები

მუხლი 52 გენერალური მდივნის მოთხოვნები

ევროპის საბჭოს გენერალური მდივნისაგან მოთხოვნის მიღების-

საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტები

თანავე ნებისმიერი მაღალი ხელშემკვრელი მხარე წარუდგენს მას ახსნა-განმარტებას იმის შესახებ, თუ რა გზით უზრუნველყოფს მისი შინასახელმწიფოებრივი სამართალი კონვენციის ნებისმიერი დებულების ეფექტიან განხორციელებას.

მუხლი 53 ადამიანის არსებული უფლებების დაცვა

ამ კონვენციაში არაფერი განიმარტება როგორც შეზღუდვა ან გადახვევა ადამიანის რომელიმე უფლებისა და ძირითადი თავისუფლებისაგან, რომლებიც შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს ნებისმიერი მაღალი ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობით ან სხვა შეთანხმებით, რომლის მხარეც ის არის.

მუხლი 54 მინისტრთა კომიტეტის უფლებამოსილებანი

ამ კონვენციაში არაფერი ზღუდავს ევროპის საბჭოს წესდებით მინისტრთა კომიტეტისათვის მინიჭებულ უფლებამოსილებას.

მუხლი 55 დავების მოგვარების სხვა საშუალებათა გამორიცხვა

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები თანხმდებიან, რომ სპეციალური შეთანხმების გარდა ისინი არ ისარგებლებენ მათ შორის ძალაში მყოფი ხელშეკრულებებით, კონვენციებითა და დეკლარაციებით იმ მიზნით, რომ განსახილველად გადაეცეს ამ კონვენციის განმარტებასთან ან გამოყენებასთან დაკავშირებით წამოჭრილი დავა მოგვარების სხვა საშუალებებს, გარდა იმისა, რაც გათვალისწინებულია ამ კონვენციაში.

მუხლი 56 ტერიტორიული გამოყენება

